გ. ქვანია

ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს გოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

სახელგამი
1 9 თბილისი 5 7

თ ა ვ ი I

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში

(1917 წლის მარტი — ოქტომბერი)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო ისტორიაში პირველი ნამდვილად სახალხო რევოლუცია. იგი წარმოადგენდა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ბედნიერი მომავლისათვის, თვითმპყრობელურ-მემამულური წყობილების დანგრევისათვის ჩვენი ქვეყნის მუშებისა და მშრომელი გლეხობის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით ახალი ერა დაიწყო რუსეთის ისტორიაში, მთელი კაცობრიობის ისტორიაში. მან ბოლო მოუღო ჩვენს ქვეყანაში — დედამიწის ერთმეექვსედ ნაწილზე შუასაუკუნეობრივ რეჟიმს და დაამკვიდრა სახალხო ხელისუფლება, ე. ი. მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების სული და გული იყო ცარიზმის წინააღმდეგ ისტორიული ბრძოლების მედროშე — რუსი ხალხი. მასთან ერთად ამ რევოლუციის გამარჯვებისათვის იბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ ამიერკავკასიის ხალხები, ისევე როგორც რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ყველა დანარჩენი ხალხები. მაგრამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეიქმნა ისეთი ისტორიული პირობები, რომ ამ მხარის ხალხებს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მოუხდათ ხანგრძლივი, შეუპოვარი და მძიმე ბრძოლები საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტიების — ქართველი მენშევი-

კების, აზერბაიჯანელი მუსავატელების და სომეხი დაშნაკების წინააღმდეგ, რომლებმაც. წინააღმდეგ ხალხის ნებისა, ძალით მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს ამიერკავკასია და მასში აღადგინეს და კიდევ უფრო სისხლიან ფორმებში დაამკვიდრეს იმპერიალისტური „დემოკრატიული“ რეჟიმი.

1917 წლის თებერვალში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა მშრომელი და უღარიბესი მოსახლეობის უფართოეს მასებთან ერთად მოახდინა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელმაც დაამსხვრია ცარიზმის თვითმპყრობელური მონარქია და შექმნა ორი ხელისუფლება: ბურჟუაზიისა — დროებითი მთავრობის სახით, და პროლეტარიატისა და გლეხობის — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სახით.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიაში დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა შეიქმნა, როგორიც რუსეთში. რევოლუციის გამარჯვებამ ამიერკავკასიაში გააუქმა სამეფისნაცვლო თავისი ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური აპარატით და შექმნა ორი ხელისუფლება: ბურჟუაზიულ-მემამულური — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) სახით და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. პირველი მათგანი შეიქმნა დროებითი მთავრობის 9 მარტის დადგენილებით[1]. მას ევალებოდა ამიერკავკასიაში „სასწრაფო წესრიგის დამყარება“ და დროებითი მთავრობის დირექტივების გატარება. მეორე, — მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები წარმოიშვნენ რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში. მას ჰქმნიდნენ თბილისის მუშები და ჯარისკაცები ბოლშევიკების ინიციატივით. თბილისის შემდეგ საბჭოები შეიქმნა ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში და საქართველოს სხვა ადგილებში.

მაგრამ პროლეტარიატისა და გლეხობის არასაკმაო შეგნე-

---

[1] ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი მუშაობას შეუდგა 18 მარტიდან.

ბულობისა და დარაზმულობის გ

ამ საბჭოებში, ისევე რიგორც პეტერბურგისა და მოსკოვის საბჭოებში, ადგილების უმრავლესობა ხელთ ჩაიგდეს მენშევიკებმა და ესერებმა. ამის გამო საბჭოები, მიუხედავად იმისა, რომ ფლობდნენ ფაქტიურ ძალაუფლებას, ვერ ახორციელებენ რაიმე განსაკუთრებულ რევოლუციურ ღონისძიებას. საბჭოები პეტერბურგსა და მოსკოვში ნებაყოფლობით უთმობენ ძალაუფლებას დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას, ხოლო საქართველოში თანდათანობით თვითონ ხდებიან ბურჟუაზიულ-მემამულური კლასების ინტერესების გამომხატველ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებად. დაბალი პოლიტიკური შეგნებულობის გამო ამ ორგანოს საქართველოში დიდხანს უპერდნენ მხარს ხალხის საკმაოდ ფართო მასებში. მასებს სჯეროდათ, რომ კერენსკის მთავრობის ადგილობრივი ორგანო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები მალე განახორციელებდნენ ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებულ მთელ რიგ ღონისძიებებს. მაგრამ ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც იდგა პროლეტარიატისა და გლეხობის წინაშე, კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და მისი ადგილობრივი ორგანოები მიუხედავად ურიცხვი დაპირებებისა, ახორციელებდნენ მხოლოდ თავიანთ კლასობრივ პოლიტიკას. ეს გარემოება მოითხოვდა რევოლუციის შემდგომ განვითარებას, მის გადაზრდას სოციალისტურ რევოლუციაში. ამ უდიდესი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო იყო მასების მობილიზაცია, მისი მოამზადება სოციალისტური რევოლუციისათვის. ამ მიმართულებით მთელს გიგანტურ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ნაშრომობას ეწეოდა ბოლშევიკური პარტია რევოლუციის გენიის — ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

ბოლშევიკები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის მთელს თავიანთ მოღვაწეობას წარმართავდნენ იმ სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმის საფუძველზე, რომელიც შეიმუშავა და

ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში“, რომელიც შეიცავს აპრილის განთქმულ თეზისებს, და აგრეთვე მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში ძირითად მოთხოვნად წამოაყენა პარლამენტური რესპუბლიკის შეცვლა საბჭოების რესპუბლიკით, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ერთადერთი შესაძლებელი ფორმით, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმით.

თავის განთქმულ თეზისებში ლენინმა განსაზღვრა ომისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულების საკითხი. ეს იყო იმ პერიოდში ერთ-ერთი გადაუდებელი, უაღრესად არსებითი და უაღრესად საჭირბოროტო საკითხი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ომი, რომელიც წარმოიშვა მსოფლიო კაპიტალის ნახევარსაუკუნოვანი განვითარებით, მილიარდობით მისი ქსელისა და კავშირურთიერთობის წყალობით, დროებითი მთავრობის დროსაც უეჭველად რჩებოდა მძარცველურ იმპერიალისტურ ომად ამ მთავრობის ბურჟუაზიული ხასიათის გამო. ამის გამო ლენინი „რევოლუციური ობორონცობისათვის“ ოდნავ ეათმობასაც კი თვლიდა სოციალიზმის ღალატად, ინტერნაციონალიზმის სრულ უარყოფად, რა ლამაზი ფრაზებით რა „პრაქტიკული“ მოსაზრებითაც უნდა ყოფილიყო იგი გამართლებული.

რევოლუციის დიდი სტრატეგის ლენინის ამ მოთხოვნის საფუძველზე ბოლშევიკურმა პარტიამ „რევოლუციური ობორონცობისა“ და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ გაშალა ფრიად ფართო და თანმიმდევრული პროპაგანდა მასებში და მოქმედ არმიაში. პარტია ლენინის სიტყვებით განუმარტავდა მასებს, რომ „სოციალიზმის გარეშე კაცობრიობა ვერ იხსნის თავს ომების, შიმშილისა და კვლავ მილიონობით ადამიანთა დაღუპვისაგან“.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში დროებითი მთავრობის მიმართ წამოაყენა ლოზუნგი „არავითარი მხარისდაჭერა დროებით მთავრობას!“ ეს იყო ბოლშევიკური პარტიის რე-

ვოლუციური ლოზუნგი. ლენინის ეს ლოზუნგი ითვალისწინებდა დროებით მთავრობის, როგორც ოლიგარქიულის, ბურჟუაზიულისა და არა საყოველთაო-სახალხო მთავრობის დამხობას. მაგრამ ამავე დროს ლენინი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ამ მთავრობის დამხობა მაშინ არ შეიძლებოდა, რადგან მას ზურგს უმაგრებდა პირდაპირი და არაპირდაპირი, ფორმალური და ფაქტიური შეთანხმება მუშათა დეპუტატების საბჭოებთან და უწინარეს ყოვლისა მთავარ, პიტერის საბჭოსთანო, რომელსაც სათავეში ედგნენ მენშევიკები და ესერები.

ვ. ი. ლენინი ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა, რომ მოთმინებით, სისტემატურად, დაჟინებით განემარტათ მასებისათვის შემთანხმებლური პარტიების — მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკის ანტიხალხური, მოღალატური, გამცემლური არსი, მოეხდინათ მენშევიკებისა და ესერების იზოლირება მასებისაგან და მოეპოვებინათ უმრავლესობა საბჭოებში, რათა საბჭოების საშუალებით შეცვლილიყო ბურჟუაზიული მთავრობის შემადგენლობა და პოლიტიკა.

ეს იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გეზი.

აპრილის თეზისებში ლენინმა დასახა სოციალიზმზე გადასვლის კონკრეტულ ეკონომიური ღონისძიებანი. ლენინმა თეზისებში წამოაყენა უმნიშვნელოვანესი შინაპარტიული ამოცანები: პარტიის ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა, პარტიის პროგრამის შეცვლა, სადაც ლაპარაკი იყო უმთავრესად იმპერიალიზმის, იმპერიალისტური ომისა და სახელმწიფოსაღმი დამოკიდებულების საკითხებზე, პარტიის სახელწოდების შეცვლა. დასასრულ, ლენინმა თავის თეზისებში წამოაყენა ახალი რევოლუციური ინტერნაციონალის, სოციალ-შოვინისტებისა და „ცენტრის“ წინააღმდეგ მიმართული ინტერნაციონალის დაარსების ამოცანა.

ასეთი იყო აპრილის თეზისებში პარტიის ბელადის ვ. ი.. ლენინის მიერ განვითარებული ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურზე გადასვლის ნათელი რევოლუციური ხაზი.

ბოლშევიკებისათვის უდიდესი სახელმძღვანელო მნიშვნე-

ლობა ჰქონდა რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციას, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 24—29 აპრილს (7—12 მაისს). ეს იყო პროლეტარული პარტიის პირველი ლეგალური კონფერენცია, რომელსაც პარტიული ყრილობის მნიშვნელობა ჰქონდა.

კონფერენციამ განიხილა და მოიწონა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის ლენინური გეგმა და შეიმუშავა პარტიის ხაზი ომისა და რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში[1].

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, ისევე როგორც მთელმა ჩვენმა პარტიამ, წინააღმდეგ მენშევიკებისა და ესერების, პარტიის ოპორტუნისტული ელემენტებისა, უდიდესი კმაყოფილებით მიიღეს ლენინის აპრილის თეზისები, პარტიის მეშვიდე კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ისინი საფუძვლად დაუდეს მთელს თავიანთ მოღვაწეობას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლის პერიოდში.

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებისა და პარტიის მეშვიდე კონფერენციის შედეგები განხილულ იქნა თბილისის ბოლშევიკების საქალაქო კრებაზე, რომელიც ჩატარდა 1917 წლის 5 მაისს. მოსმენილ იქნა კონფერენციის მონაწილეების მ. ცხაკაიას და ფ. მახარაძის ღრმა შინაარსიანი მოხსენებები. კრების მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს ლენინის აპრილის თეზისები და კონფერენციის გადაწყვეტილებები.

უფრო ადრე, 28 აპრილს თბილისის ბოლშევიკების საერთო საქალაქო კრებამ მისალმება გაუგზავნა პარტიის VII კონფერენციას. „ჩვენ დარწმუნებული ვართ,—ნათქვამია მისალმებაში,— რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი გახ-

---

[1] კონფერენციის რეზოლუციები (11-დან 9 რეზოლუცია ლენინის მიერ იყო დაწერილი) კრებულის სახით გამოცემულ იქნა რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტის მიერ. კრებულს წამძღვარებული ჰქონდა ლენინის მიერ დაწერილი „შესავალი რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებისა“.

დება თავისი იდეალების განხორციელებისათვის პროლეტარიატის ბრძოლის საიმედო სახელმძღვანელო"[1].

მისალმება მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ჩვენი სახელოვანი ბელადი ამხანაგი ლენინი, რომელიც მიჩვეულია ცარიზმის წთავრობის მხრივ დევნასა და შევიწროებას, მისთვის ჩვეული სიმტკიცით უკუაგდებს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და ყველა მის მსახურთა ყოველგვარ თავდასხმას".

საქართველოს ბოლშევიკები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისევე, როგორც მთელი ჩვენი პარტია. ისინი აჩაღებენ ნაყოფიერ მუშაობას რევოლუციის შემდგომი გაშლისათვის, საბჭოებში უმრავლესობის მოსაპოვებლად, სოციალისტური რევოლუციისადმი მშრომელი გლეხობის მისამხრობად.

რევოლუციის შემდგომი გაშლისათვის მზადებასთან ერთად საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების წინაშე დაისახა საარსებო ამოცანა — შეეგროვებინათ და ორგანიზაცია ეყოთ რეაქციისა და იმპერიალისტური ომის გავლენით გაფანტული საკუთარი ძალებისათვის და შეექმნათ დამოუკიდებელი ორგანიზაციები, როგორც ეს მათ ჰქონდათ პრაღის მეექვსე პარტიული კონფერენციიდან მოყოლებული. ასეთი ამოცანა დაისახა არა მხოლოდ ამიერკავკასიის ბოლშევიკების წინაშე, არამედ მთელი ჩვენი პარტიის წინაშე.

მაგრამ პარტიის წევრთა რიცხვის სიმცირის[2], ზოგიერთი წევრის გამაერთიანებელი განწყობილებისა[3] და აგრეთვე რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროსთან — პარტიის ხელმძღვანელ ცენტრთან რეგულარული კავშირისა და მისგან სათანადო დირექტივების უქონლობის გავლენით

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", 1917 წლის 5 მაისი.

[2] იმ პერიოდში ბოლშევიკური პარტიის წევრთა რიცხვი ამიერკავკასიაში 500 კაცს არ აღემატებოდა. მენშევიკების ორგანიზაციათა წევრების რიცხვი კი 2000-ს აღწევდა. იხ. რსდმპ(ბ) მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის ოქმები, გვ. 244, 1934 წ.

[3] საქართველოში გაერთიანებული ორგანიზაციების შექმნის ყველაზე თავგამოდებული მომხრე იყო ფ. მახარაძე. მაგრამ აპრილის კონფერენციის შემდეგ იგი გადაჭრით მოითხოვდა დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნას.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარტ-აპრილში იქმნებიან მენშევიკებთან გაერთიანებული ორგანიზაციები. ასეთი ორგანიზაციები იქმნებოდნენ რუსეთის ბევრ სხვა ადგილებშიც.

ამიერკავკასიაში პირველი გაერთიანებული ორგანიზაცია შეიქმნა თბილისში მარტის პირველ რიცხვებში. შემდეგ ასეთი ორგანიზაციები იქმნება ბაქოში, ქუთაისში, ბათუმში და ამიერკავკასიის მთელი რიგ სხვა ადგილებში. გაერთიანებული ორგანიზაციების შექმნასთან ერთად იქმნება დროებითი კომიტეტები, რომლებიც უმთავრესად მენშევიკებისაგან შედგებოდა. ასე მაგალითად, რსდმპ თბილისის კომიტეტის 15 წევრიდან მხოლოდ 3 იყო ბოლშევიკი[1].

მიუხედავად გაერთიანებისა, ბოლშევიკები არ ჩქმალავენ მენშევიკებთან პრინციპულ უთანხმოებებს რევოლუციის საარსებო საკითხებში და ამავე დროს დამოუკიდებლად ინარჩუნებენ საკუთარ კადრებს პარტიული მუშაობის სხვადასხვა დარგისათვის. იქმნება ბოლშევიკთა ბიუროები, რომლებიც დამოუკიდებლად აწყობენ საკუთარ კრებებს, ეწევიან რევოლუციურ მუშაობას მასებში და სცემენ საკუთარ ბეჭდვით ორგანოებს. 1917 წლის 11 მარტიდან თბილისში გამოსვლას იწყებს გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, რომლის მუშაობაში ხელმძღვანელ მონაწილეობას ღებულობდნენ ს. ქავთარაძე (რედაქტორი), მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. კრასნოვი, მ. ტოროშელიძე, ა. ნაზარეტიანი და სხვ. გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები, აგრეთვე სტალინის, ოლმინსკის, შაუმიანის, ცხაკაიას, მახარაძის, ქავთარაძის, კასიანის, ნაზარეტიანის, ლუნაჩარსკის, იაროსლავსკის, ტოროშელიძის და სხვათა სტატიები.

„კავკაზსკი რაბოჩი“ მალე გადაიქცა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელ ცენტრად. „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქციის ინიციატივით 4 ივნისიდან მ. ცხაკაიას და ფ. მახარაძის რედაქტორობით გამოსვლას იწყებს გაზეთი „ბრძოლა“. 29 ივნისიდან რსდმპ(ბ) თბილისის

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917 წლის 25 აპრილი.

კომიტეტი სომხურ ენაზედაც სცემს გაზეთს „ბანვორი კრივის“ („მუშის ბრძოლა“) სახელწოდებით, რომლის მუშაობაში ხელმძღვანელ მონაწილეობას ღებულობდნენ ს. ხასოიანი, ს. შაუმიანი, ა. მიქოიანი, ასკ. მრავიანი, ს. კასიანი და სხვ.

ასე რომ გაერთიანება ამიერკავკასიაში ატარებდა ფორმალურ ხასიათს. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკების მიერ მენშევიკებთან გაერთიანებული ორგანიზაციების შექმნა არ იყო სწორი ნაბიჯი. მან ერთგვარად გააძნელა, როგორც პარტიული ნუშაობა, ისე მენშევიკებისა და ესერების „ობოროონცული“ პოლიტიკის მხილების საქმე ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიაში გაერთიანებული ორგანიზაციების შიგნით მალე იჩინა თავი მწვავე უთანხმოებამ. მენშევიკები სულ უფრო და უფრო ააშკარავებდნენ თავიანთ ოპორტუნიზმს, აშკარად დგებოდნენ „ობოროონცულ“ პოზიციებზე, დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისათვის მხარის დაჭერის პოზიციებზე. ისინი „სამოქალაქო სიმშვიდის შენარჩუნების მიზნით“ უარს აცხადებდნენ საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მიეღოთ ღონისძიებები. მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მოუწოდებდნენ მუშებს მეწარმეებთან ეკონომიური და სხვა სახის კონფლიქტების „შეთანხმების გზით“ მოგვარებისაკენ, „დამნაშავედ“ სთვლიდნენ იმ მუშებს, რომლებიც გაფიცვებს აწყობდნენ. ცხადი იყო, რომ ფორმალურადაც შეუძლებელი ხდებოდა მენშევიკებთან ერთ ორგანიზაციაში ყოფნა. ამიტომ ბოლშევიკებმა, გამოდიოდნენ რა რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე კონფერენციის გადაწყვეტილებიდან, რომელიც მენშევიკებთან გაერთიანებას თვლიდა „ყოვლად შეუძლებლად“[1], გადაჭრით დააყენეს საკითხი მენშევიკებთან ყოველგვარი კავშირის საბოლოოდ გაწყვეტის შესახებ.

ამ მიმართულებით პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციებმა. მაისის ბოლო რიცხვებში თბილისში მოწვეულ იქნა სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკების საქალაქო კრება, რომელმაც ერთხმად გამო-

[1] რსდმპ(ბ) მეშვიდე (აპრილის) კონფერენციის ოქმები, გვ. 244, 1934 წ.

სთქვა აზრი მენშევიკებთან გათიშვის შესახებ და შეუერთდა სრულიად რუსეთის მეშვიდე პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს და აირჩია თბილისის პირველი ლეგალური ბოლშევიკური კომიტეტი.

6 ივნისს თბილისის კომიტეტმა საქალაქო კრების სახელით თავის ორგანოში — „კავკაზსკი რაბოჩი" — გამოაქვეყნა ვრცელი მიმართვა შუშებისადმი აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებების მოწონებისა და მენშევიკებისაგან გამოყოფის შესახებ. მიმართვაში ნათქვამია: „მომენტის სერიოზულობა და წამოყენებულ ამოცანათა სწორად გადაჭრის უდიდესი სიძნელე დაჟინებით გვიკარნახებენ პროლეტარიატისა და მისი პარტიის ორგანიზაციული შემჭიდროების საჭიროებას სოციალიზმის ღროშის ირგვლივ, სოციალიზმისა, რომელიც აშუქებს გარედან შემოტანილი წვრილბურჟუაზიული მეტყეობისაგან თავისუფალი წმინდა პროლეტარული პოლიტიკის დაცვის ეკლიან და მძიმე გზას... მენშევიკები მხარს უჭერენ დროებითს მთავრობას, რომელიც აქტიურად რაზმავს კონტრრევოლუციას და შეტევითს იმპერიალისტურ ომს აწარმოებს; ისინი მხარს უჭერენ ეგრეთწოდებულ „თავისუფლების სესხს" და ეწინააღმდეგებიან ჯარისკაცთა დაძმობილებას ფრონტზე; ისინი ცდილობენ ინტერნაციონალის აღდგენას არა იმპერიალისტებთან კავშირის გაწყვეტის ნიადაგზე, არამედ შეიდემანებთან ერთად, რომლებიც ბურჟუაზიას მიეყიდნენ.

ჩვენი პარტია, იმ მიზნით, რომ დაიცვას პროლეტარიატი მისთვის უცხო გავლენებისაგან, რევოლუციური ობოროონცობისადმი ვერავითარ დათმობაზე ვერ წავა და გადაჭრით სწყვეტს მასთან ყოველგვარ კავშირს.

აქედან კრებამ დაადგინა კავშირი გასწყვიტოს ობოროონცობის თვალსაზრისზე მდგომ მენშევიკურ ორგანიზაციებთან, გამოიწვიოს იქიდან ყველა ჩვენი თანამოაზრე ბოლშევიკი და შეჰქმნას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე მდგომი ცალკე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია"[1].

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", 1917 წლის 6 ივნისი.

მენშევიკებისაგან დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები თბილისის შემდეგ იქმნება ქუთაისში, ბათუმში, ფოთში; სოხუმში იქმნება რსდმპ(ბ) საოლქო კომიტეტი[1], რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ე. ე'ძბა, გ. ათარბეგოვი, ს. კუხალეიშვილი, ე. დომენია და სხვ. უკვე 1917 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციები თითქმის ყველგან დამოუკიდებლად არსებობენ.

საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს დამოუკიდებლად გაფორმების პირველი დღეებიდანვე მოუხდათ უაღრესად სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა. ორგანიზაციებმა მეტი სიძლიერით და სისრულით გააჩაღეს ჯერ კიდევ აღრე, დამოუკიდებელ ორგანიზაციად გაფორმებამდე დაწყებული ფართო სააგიტაციო მუშაობა შუშებში, გლეხებში და ჯარის ნაწილებში. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ფართო გავრცელებას პოულობს მუშათა ბრძოლის ისეთი ნაცადი ფორმები, როგორიცაა გაფიცვები, მიტინგები, დემონსტრაციები. საქართველოში გაფიცვებმა მოიცვა სხვადასხვა დარგისა და პროფესიის მუშები და მოსამსახურეები. გაფიცვებს ადგილი ჰქონდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში, თბილისის საფაროვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, სამრეწველო-საკაჭრო დაწესებულებებში, თბილისის სამრეცხაოებსა, სამღებროებსა და აბანოებში, კლუბების მუშა-მოსამსახურეებს შორის, სპილენძის საგლინავ ქარხანაში და სხვ.

ხშირად გაისმოდა პროტესტის ხმები გლეხობის მხრიდან. ბოლშევიკური მოწოდებები — დაუყოვნებლივ ხელში ჩაეგდოთ მემამულეთა მიწები და მათი კონფისკაცია მოეხდინათ, სულ უფრო და უფრო მეტ გამოძახილს პოულობდა სოფლად. გლეხები ხშირად იღებდნენ თავიანთ ხელში მიწის საკითხის გადაწყვეტას[2].

---

[1] გ. ძ ი ძ ა რ ი ა, „1917 წელი აფხაზეთში", იხ. დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის შრომები XXV, გვ. 95.

[2] კ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, გვ. 61, 1948 წ.

ბოლშევიკები განსაკუთრებით ნაყოფიერ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ ჯარის ნაწილებში. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ჯარისკაცთა 25—30 ათასიანი მიტინგი ღებულობდა ბოლშევიკურ რეზოლუციებს. ჯარის ნაწილებში ბოლშევიკური გავლენის ასეთ ზრდას ხელი შეუწყო იმანაც, რომ თბილისში იდგა პეტროგრადის გარნიზონის სამხედრო ნაწილების ერთი ბატალიონი (სატყვიამფრქვევო), რომელიც ივლისის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის დროებითი მთავრობის განკარგულებით მთელ გარნიზონთან ერთად დაშლილ იქნა. ამ ბატალიონის უმრავლესობას შეადგენდნენ კომუნისტები (300 კაცი), რომლებიც დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ პარტიის თბილისის ორგანიზაციაში.

ბოლშევიკები გაძლიერებულ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე ახალგაზრდობას შორის. უფრო გვიან, 1917 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში პარტიის თბილისის კომიტეტის ინიციატივით, პირადად ანასტას მიქოიანისა და ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა „სპარტაკის“ ორგანიზაცია. ეს იყო ახალგაზრდობის პირველი რევოლუციური ორგანიზაცია საქართველოში. ოქტომბერ-ნოემბერში „სპარტაკის“ ორგანიზაციები იქმნება ქუთაისში და აბაშაში. „სპარტაკის“ ქუთაისის ორგანიზაცია სცემდა გაზეთ „მესამე ინტერნაციონალს“. მომდევნო 1918—1919 წლებში „სპარტაკის“ ორგანიზაციების ქსელით იფარება მთელი საქართველო.

განსაკუთრებით მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ პარტიის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ მ. ცხაკაია, ა. მიქოიანი, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ს. ქავთარაძე. თბილისის კომიტეტი ფაქტიურად იყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ცენტრი.

ბოლშევიკების მიერ საქართველოში დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნის დაწყება მალე გახდა აგრეთვე მენშევიკების მიერ ბოლშევიკების წინააღმდეგ იდეური ბრძოლიდან აშკარა რეპრესიებზე გადასვლის დასაწყისი. მენშევიკები,

სარგებლობდნენ რა თავიანთი უმრავლესობით თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში[1], ბოლშევიკების წინააღმდეგ მთელ რიგ რეპრესიულ ღონისძიებებს ახორციელებდნენ. მენშევიკების ინიციატივით ჯერ კიდევ აპრილის ბოლოს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება პეტროგრადის მუშების მიერ კავკასიის ფრონტის ჯარებისათვის გამოგზავნილი „პრავდის“ ნომრების კონფისკაციის შესახებ. კონფისკებულ იქნა გაზეთის 40 ათასი ეგზემპლარი. „პრავდის“ ნომრების კონფისკაციამ დიდი პროტესტი გამოიწვია ბოლშევიკების მხრივ. ბოლშევიკებმა „ქანდარმები“ უწოდეს მენშევიკებს გაზეთის ნომრების კონფისკაციისათვის.

ცნობას „პრავდის“ ნომრების კონფისკაციის შესახებ დიდი პროტესტით შეხვდნენ ჯარის ნაწილებში, მუშებში და საქართველოს მთელს მოწინავე ახალგაზრდობაში, რომლებშიც განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა გაზეთი „პრავდა“.

მრავალთაგან ერთ საპროტესტო წერილში, რომელიც „პრავდის“ კონფისკაციასთან დაკავშირებით გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩში“ დაიბეჭდა, ვკითხულობთ: „ჩვენ, ქუთაისის მოსწავლე მარქსისტები — ბოლშევიკები აღშფოთებულნი ვართ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით გაზ. „პრავდის“ კონფისკაციის შესახებ... მუშათა გაზეთ „პრავდას“ დევნიდნენ რეაქციის პერიოდში ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, და, ბოლოს, თითქოს დადგა დრო, რომ იზეიმოს მუშათა კლასის ინტერესების ყველაზე საუკეთესო დამცველმა. მაგრამ, აი, თავისუფალ რუსეთში იგი დევნას განიცდის... რუსეთის შეგნებული პროლეტარიატი ამას არ დაუშვებს. „პრავდა“ ჩვენი უცილობელი ძახილია, „პრავდა“ ღარიბების ორგანოა. გაუმარჯოს „პრავდას“[2].

პროტესტის ტალღამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო,

---

[1] თბილისში ცალ-ცალკე არსებობდნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

[2] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917 წლის 25 აპრილი.

რომ მენშევიკები იძულებულნი გახდნენ თვითონ დაეყენებინათ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე საკითხი „პრავდის“ ნომრების კონფისკაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებაზე.

მენშევიკები მრავალჯერ შეეცადნენ დაეხურათ ამიერკავკასიის ბოლშევიკების მებრძოლი ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი“, ან კიდევ შეეფერხებინათ მისი ნორმალურად გამოსვლა. მენშევიკების ინიციატივით ყოველდღიურად, აღმასრულებელი კომიტეტის ყოველ სხდომაზე ისმებოდა საკითხი „კავკაზსკი რაბოჩის“ დახურვის შესახებ[1]. მაგრამ გაზეთის დახურვა 1917 წელს მათ ვერ განახორციელეს. მხოლოდ მუშების, გლეხების და ჯარის ნაწილების, როგორც მატერიალური, ისე მორალური მხარდაჭერის შედეგად. გაზეთი თითქმის რეგულარულად და შეუფერხებლად გამოდიოდა.

მენშევიკების ინიციატივით ხშირად ხდებოდა ბოლშევიკების მიერ მოწყობილ მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგების დარბევა. ივნისის პირველ რიცხვებში თბილისის მენშევიკურ-ესერული საბჭოების წარმომადგენლების მიერ მოეწყო ბოლშევიკების დაპატიმრებები.

რეპრესიები კიდევ უფრო გაძლიერდა დროებითი მთავრობის მიერ 3—5 ივლისს პეტროგრადში მუშათა და ჯარისკაცთა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ. მენშევიკებმა თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დააყენეს საკითხი შეიარაღებული ძალების შექმნისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ უფრო „მტკიცე პოლიტიკის“ გატარების შესახებ. „ჩვენს წინააღმდეგ დევნა დაიწყო უპირველეს ყოვლისა თბილისში, მისი წამოწყება ეკუთვნის თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს“[2],— მოახსენებდა პარტიის VI ყრილობას ს. ქავთარაძე, რომლის დელეგატიც იგი იყო თბილისის ორგანიზაციიდან.

ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიკებს დიდ სამსახურს უწევდა მათი ორგანოები „ბორბა“ და „ერთობა“,

---

[1] რსდმპ(ბ) მეექვსე ყრილობის ოქმები, გვ. 93, 1934 წ.

[2] იქვე. გვ. 92.

რომელთა ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ბოლშევიკებისა და მათი ბეჭდვითი ორგანოების, პირველ რიგში „კავკაზსკი რაბოჩის“ წინააღმდეგ იდეური ბრძოლა. „ბრძოლა, დაუნდობელი ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ“—ასეთი იყო გაზეთ „ბორბას“ დევიზი.

თუმცა რეპრესიები ძლიერ აფერხებდა მუშაობას, მაინც ბოლშევიკები ამიერკავკასიაში იყენებდნენ რა ორგანიზაციული და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის სხვადასხვა ფორმებს, გაათკეცებული ენერგიით ეწეოდნენ მუშაობას მასების მისამხრობად, მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის განსამტკიცებლად, მენშევიკებისა და ესერების იზოლაციისათვის.

ბოლშევიკების მიერ მასების მიმხრობის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თებერვლის რევოლუციის ნახევარი წლისთავისადმი მიძღვნილმა მიტინგებმა და კრებებმა, რომლებიც რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით 27 აგვისტოს ჩატარდა თბილისსა და ამიერკავკასიის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და სოფლებში. თბილისის კომიტეტმა ამ დღეს გამოსცა ვრცელი პროკლამაცია, რომელშიც მოცემული იყო თებერვლის რევოლუციიდან განვლილი პერიოდის შედეგების შეფასება და ხაზგასმული იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის აუცილებლობა. მიტინგებზე და კრებებზე ღებულობდნენ ბოლშევიკურ რეზოლუციებს დროებითი მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებისა და საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადაცემის შესახებ[1].

მასების მიმხრობისათვის ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას ახალი გაქანება მისცა რსდმპ(ბ) VI ყრილობამ, რომელმაც გეზი აიღო შეიარაღებული აჯანყებისაკენ ბურჟუაზიისა და მისი კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ. ყრილობის შემდეგ ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, ისევე როგორც მთელმა პარტიამ, ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს შეიარაღებული აჯანყებისათვის

---

[1] ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ კვლავ რჩებოდა ამიერკავკასიაში, როგორც რევოლუციის შემდგომი განვითარების ლოზუნგი.

მუშებისა და გლეხების, ჯარის ნაწილების, რევოლუციის ველა ძალის მობილიზაციისათვის, ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ადგილობრივი ორგანიზაციების მტკიცე და ურყევ ძალად დარაზმვისათვის.

ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად შეიცვალა მდგომარეობა კორნილოვშჩინის განადგურების შემდეგ, რაც გახდა ერთ-ერთი შემობრუნების მომენტი სოციალისტური რევოლუციისათვის მზადების ისტორიაში. კორნილოვშჩინის ლიკვიდაციის შემდეგ ამიერკავკასიაშიც იწყება მუშებისა და ჯარის ნაწილების ჩამოცილება მენშევიკებისა და ესერებისაგან, მაგრამ ეს პროცესი კვლავ ნელი ტემპით მიმდინარეობს. სექტემბერსა და ოქტომბერში მენშევიკები ჯერ კიდევ პოულობენ მხარდაჭერას მოსახლეობის დიდ ნაწილში. ისინი კვლავ უაღრესად მოხერხებულად იყენებდნენ მასების უმრავლესობის სუსტ პოლიტიკურ შეგნებულობას. მენშევიკები უსინდისოდ ატყუებდნენ მასებს ლამაზი ფრაზებით, უზომო აღთქმებით, ურიცხვი დაპირებებით.

პარტიის VI ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა მხარის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პარტიული ორგანიზაციები სახავდნენ და ახორციელებდნენ სულ ახალ-ახალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ხასიათის ღონისძიებებს.

1917 წლის 22 აგვისტოს მოწვეულ იქნა რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტის გაფართოებული სხდომა მ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით. სხდომას ესწრებოდნენ თბილისის, ბაქოს, ქუთაისის და საქართველოს მთელი რიგი სხვა ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სხდომაზე მოსმენილ იქნა ბაქოსა და ქუთაისის ორგანიზაციების წარმომადგენლების მოხსენებები ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, შემდეგ განხილულ იქნა საკითხები კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ყრილობის მოწვევისა და პარტიული პრესის შესახებ. განხილულ იქნა სულ 7 საკითხი.

ყრილობის მოწვევის შესახებ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა ბაქოს ორგანიზაციის დელე-

ნ-ტი ა. ჯაფარიძე. მისი წინადადებით გადაწყდა კავკასიის პარტიული ყრილობის მოწვევა სექტემბრის შუა რიცხვებში. თათბირზე განსაზღვრულ იქნა ყრილობის დღის წესრიგის ძირითადი საკითხები. არჩეულ იქნა საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც ევალებოდა ყრილობის მოწვევის ორგანიზაცია. ბიუროს შემადგენლობაში შედიოდნენ ს. ქავთარაძე, ს. კასიანი, ა. მრავიანი და მ. ტოროშელიძე. თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე აგვისტოს ბოლოს ბაქოს ორგანიზაციამ აირჩია საკუთარი ბიურო, რომელსაც დახმარება უნდა გაეწია ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროსათვის და მოეწყო ყრილობისათვის დელეგატების არჩევნები ბაქოს გუბერნიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა, საჭირო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, რომელიც მიმდინარეობდა სექტემბრის განმავლობაში, გაიხსნა 2 ოქტომბერს. ყრილობას დაესწრო 26 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, და 3 სათათბირო ხმით, რომლებიც პარტიის 8.636 წევრს წარმოადგენდნენ[1].

ყრილობამ თავის საპატიო თავმჯდომარედ მეუხარე ოვაციით აირჩია ვ. ი. ლენინი, რომელიც ამ დროს დროებითი მთავრობის მიერ დევნილი, იძულებული იყო ღრმა იატაკქვეშ დამალულიყო.

ყრილობა შეიკრიბა ჩვენი პარტიის მიერ შეიარაღებული აჯანყების პრაქტიკული განხორციელებისათვის გაჩაღებული მუშაობის პერიოდში. ამიტომ ყრილობის დღის წესრიგის ყველა ძირითადი საკითხი და გადაწყვეტილება გამომდინარეობდა ამ პერიოდში პარტიის წინაშე მდგარი ამოცანებიდან. ყრილობის ძირითადი საკითხები იყო მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, მოხსენებები ადგილებიდან, ნაციონალური და აგრარული საკითხები, პარტიული პრესა, ორგანიზაციული საკითხი, არჩევნები. ყრილობამ გააერთიანა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები კავკასიის სამხარეო ორგანიზაციად და აირჩია ხელმძღვანელი ცენტრი—კავკასიის

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ 1917 წლის 5 ოქტომბერი.

სამხარეო კომიტეტი: ს. შაუმიანის, მ. ცხაკაიას, ა. ჯაფარიძის, ფ. მახარაძის, ს. ქავთარაძის, მ. ორახელაშვილის, მ. ტორო-შელიძის, ა. ნაზარეტიანის, მ. ყორღანოვის, ა. ათაბეგოვის, ნ. ჟუნნეცოვის, დ. შაეერდოვის, ს. კასიანის, ნ. ალაჯალოვას და სხვ. შემადგენლობით.

ყრილობის გადაწყვეტილებით გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი" გახდა კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების ორგანო. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება გაზეთების „ბრძოლის" და „ბანვორ კრივის" ყოველდღიურ გაზეთებად გადაკეთებისა და პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების მიერ ერთად გამოცემის შესახებ.

რსდმპ კავკასიის სამხარეო ყრილობამ მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინს. „კავკასიის სოც. დემ. ორგანიზაციების ბოლშევიკების პირველმა ყრილობამ,— ნათქვამი იყო მისალმებაში,— დაამთავრა რა თავისი მუშაობა, მხურვალე სალამს უძღვნის რუსეთის რევოლუციის სახელოვან ბელადს, III ინტერნაციონალის საუკეთესო წარმომადგენელს, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის უენერგიულეს მებრძოლს — ამხანაგ ლენინს"[1].

თავის მისალმებაში ყრილობა ზიზღს გამოსთქვამდა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მიმართ, რომელმაც ცილისწამება და დევნა მოაწყო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ. მისალმების დასასრულს ნათქვამი იყო: „ყრილობა მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავიანთი ახალი რევოლუციით დაამხობენ მილიუკოვებისა და მათი ლაქიების — კერენსკების ბატონობას და შექმნიან შესაძლებლობას ამხ. ლენინისთვისაც გამოვიდეს იატაკქვეშეთიდან და აშკარად დაიკავოს თავისი პოსტი ჩვენი პარტიის ბელადისა, რუსეთის რევოლუციის ბელადისა"[2].

ყრილობის დადგენილებები დაუყოვნებლივ გაეგზავნა

---

1 „რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები", გვ. 16, 1925 წ.

2 „რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები", გვ. 17, 1925 წ.

რსდმპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომლის მხრივაც მათ დიდი მოწონება ჰპოვეს. კავკასიის სამხარეო კომიტეტისათვის 29 ოქტომბერს გამოგზავნილ წერილში ცენტრალური კომიტეტი წერდა: „მივესალმებით კავკასიის სამხარეო კომიტეტს და უძღვნით საუკეთესო სურვილებს პარტიის გაერთიანებასა და მშენებლობაში რევოლუციის ამ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მომენტში“[1].

ყრილობის დამთავრებისთანავე დელეგატები წავიდნენ ადგილებზე და შეუდგნენ მის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის წარმართვას. ახალი ძალით გაჩაღდა თბილისში, ბაქოში, ერევანში, და სხვა ქალაქებში სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდა მუშებში, ჯარის ნაწილებში და გლეხებს შორის. ეწყობა მიტინგები და კრებები, სადაც ღებულობენ ბოლშევიკურ რეზოლუციებს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებისა და ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ.

კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, ასრულებდა რა ყრილობის გადაწყვეტილებას, თავის მრავალმხრივ მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო საგამომცემლო მუშაობას, კერძოდ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოების გაფართოებას. მაგრამ ამ გზაზე იგი წააწყდა მთელ რიგ დაბრკოლებებს. მრავალთაგან ერთ-ერთი იყო საკუთარი სტამბების უქონლობა. მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, საკუთარი სტამბის მოწყობა კავკასიის სამხარეო კომიტეტმა იმ ხანებში ვერ უზრუნველყო. სამხარეო კომიტეტი იძულებული ხდება თხოვნით მიმართოს რსდმპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს საბეჭდი მანქანისა და მისი მოწყობილობების გამოგზავნის შესახებ.

„საქმე გადადებას ვერ ითმენს,—ვკითხულობთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის 19 ოქტომბრის წერილში,— სამხარეო კომიტეტს სჭირდება საგამომცემლო მოღვაწეობის ფართოდ გაშლა და ამისათვის ჰქონდეს მას საკუთარი სტამბა სწორედ ახლა, როცა ადგილობრივი მასების ლტოლვა ჩვენსკენ ძლიე-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, აღწ. 1, საქმე 79, ფ. 162.

რია, როცა პოლიტიკური მოწინააღმდეგენი უკიდურეს ზომებს მიმართავენ ჩვენს წინააღმდეგ და გვიქმნიან ყველა შესაძლებელ დაბრკოლებას"[1].

რსდმპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 29 ოქტომბერს გამოუგზავნა საპასუხო წერილი კავკასიის სამხარეო კომიტეტს. თავის წერილში ცენტრალური კომიტეტი წერდა იმ სიძნელეებზე, რომლებიც შეუძლებელს ან თითქმის შეუძლებელს ხდიდნენ პეტროგრადიდან სტამბის გამოგზავნას. ამავე დროს ცკ-ი იმედს გამოთქვამდა, რომ მალე გაიმარჯვებდა რევოლუცია საქართველოში და ბოლშევიკებს მიეცემოდათ შესაძლებლობა დაეკავებინათ თბილისში არსებული ბურჟუების დიდი სტამბები და გამოეშვათ იქ ქართული და სომხური გაზეთები[2].

ამრიგად, ვერ მოხერხდა პეტროგრადიდან საბეჭდი მანქანისა და მისი მოწყობილობების მიღება. მაგრამ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მალე უზრუნველყო საკუთარი ძალებით სტამბის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა და საგამომცემლო მუშაობის გაშლა.

იმ დროს, როცა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები შეიარაღებულნი რსდმპ(ბ) VI ყრილობისა და კავკასიის ორგანიზაციების I ყრილობის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით, ეწეოდნენ დიდ მუშაობას ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის მასების მოსამზადებლად, პეტროგრადში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ვ. ი. ლენინის მეთაურობით 24 ოქტომბერს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. აჯანყების ლენინური გეგმა იმდენად მოფიქრებული და იმდენად ოპერატიული იყო, რომ მისმა განხორციელებამ უზრუნველყო პეტროგრადის პროლეტარიატის გამარჯვება რაღაც რამდენიმე საათში და ისიც თითქმის უსისხლოდ. 25 ოქტომბრის დილისათვის მთელი პეტროგრადი ბოლშევიკების ხელში იყო. ამავე

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, აღწ. 1, საქმე 335, ფ. 3.

[2] იქვე, ფ. 17, აღწ. 1, საქმე 79, ფ. 162.

დღეს კრეისერმა „ავრორამ“ ქვემეხების ქუხილით ქვეყანას ამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერა.

საღამოს 10 საათსა და 45 წუთზე სმოლნში გაიხსნა საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლა. ყრილობამ ლენინის მოხსენებების გამო მიიღო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ. 26 ოქტომბერს ყრილობამ შეადგინა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა მთავრობა, საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

ასეთი იყო რევოლუციის ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის ძალა, ბოლშევიკების ხელოვნებისა და სამმაგი გამბედაობის ძალა.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მკვეთრად შესცვალა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. „მან ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და დააყენა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს!“ მეხივით დაიჭუხა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები“[1].

* *

ცნობა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ამიერკავკასიაში. რევოლუციის გამარჯვების მეორე დღიდანვე ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ადგილებში, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, ჯარის ნაწილებში ეწყობა ხალხმრავალი მიტინგები და კრებები მიძღვნილი პეტროგრადის პროლეტარიატის ისტორიული გამარჯვებისადმი. 1917 წლის ორ უკანასკნელ თვეში საქართველოში დაახლოებით 100-დე ასეთი მიტინგი და კრება ჩატარდა. მიტინგებისა და კრებების მონაწილეები ღებულობდნენ რეზოლუციებს, სადაც აღფრთოვანებით მიესალმებოდნენ რევოლუციის გამარჯ-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 57.

ვებას, მის მედროშეს — პეტროგრადის პროლეტარიატს და პირობას დებდნენ, რომ მთელი ძალღონით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ მისთვის მხარის დასაჭერად.

აი რამდენიმე მათგანი:

„პეტროგრადში დამყარებული საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მთავრობა,— ნათქვამია არსენალის რაიონის კლუბის მიერ მოწყობილ მიტინგის მონაწილეთა მიერ 27 ოქტომბერს მიღებულ რეზოლუციაში,— ეს არის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მთავრობა, რომლის დასაცავადაც ჩვენ ფიცსა ვდებთ რკინის კედელივით აღვიმართოთ და თავდადებით ვიბრძოლოთ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ყველა ძალისა და მის ნებითსა და დაქირავებულ მსახურთა — სახალხო თავისუფლების ჯალათების წინააღმდეგ“[1].

„ვუგზავნით ძმურ სალამს რუსეთის რევოლუციის მოწინავე რაზმს — პეტროგრადის მუშებს და სალდათებს მათ ბრძოლაში და ახალ გამარჯვებაში კონტრრევოლუციონურ მთავრობასთან“[2],— ვკითხულობთ 30 ოქტომბერს თბილისის სტამბის მუშებისა და გამგეობის გაერთიანებული სხდომის მიერ მიღებულ რეზოლუციაში.

„ჩვენ მზათ ვართ,— ნათქვამია 5 ნოემბერს ხონის (ამჟამად წულუკიძე) საზოგადო კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში,— ყოველივე ძალღონით, თუ საჭიროება მოითხოვს იარაღით ხელში, მედგრათ დაუჭიროთ მხარი ახალ რევოლუციონურ მთავრობას და დავიცვათ იგი“[3].

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებით რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ნოემბრის პირველ რიცხვებში მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომელშიც გამოხატავდა რა კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ნებას, რსდმპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს უცხა-

---

1 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917 წლის 31 ოქტომბერი.
2 გაზ. „ბრძოლა“ 1917 წლის 1 ნოემბერი.
3 გაზ. „ბრძოლა“, 1917 წლის 10 ნოემბერი.

ლებდა „სრულ ნდობას და სოლიდარობას გაჩაღებული სოციალური რევოლუციის ყველა ნაბიჯსა და ღონისძიებაში“[1].

თავის რეზოლუციაში კავკასიის სამხარეო კომიტეტი მიესალმა ვ. ი. ლენინს, რომელმაც როგორც რეზოლუციაშია ნათქვამი, ჩასწერა „...კაცობრიობის ისტორიის მატიანეში პროლეტარული გმირობის და ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის საქმისათვის უსაზღვრო და ურყევი თავდადების ნიმუშის დიდებით მოსილი ფურცლები“[2].

კავკასიის სამხარეო კომიტეტის ეს რეზოლუცია გაეგზავნა რსდმპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს პეტროგრადში.

„ძვირფასო ამხანაგებო!— ვკითხულობთ ცენტრალური კომიტეტის 10 დეკემბრის წერილში,— თქვენი რეზოლუცია მივიღეთ და მოგესალმებით თქვენი ხაზის სიმტკიცის გამო. მხოლოდ ასეთი გაერთიანებული და ერთსულოვანი მუშაობით მივაღწევთ ჩვენს საბოლოო მიზანს — სოციალიზმს. მისი ანრდილი ცარიზმს ისე არ აშინებდა, როგორც მისი განხორციელების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები აფრთხობს ბურჟუაზიას, და ამიტომ იგი ყოველ ღონეს ხმარობს ჩვენი რიგების დასარღვევად. მით უფრო დასაფასებელია ისეთი მსხვილი ორგანიზაციის მხრივ მხარდაჭერა, როგორც რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტია, მაშინ როცა საპასუხისმგებლო პოსტებზე მყოფი ამხანაგების ნაწილი მარჯვნივ გადაიხარა. მაშ კვლავინდებურად ერთსულოვნად ფეხაწყობილებმა გავწიოთ წინ ნათელი მომავლისაკენ — სოციალიზმისაკენ“[3].

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას ასე როდი შეხვედნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიები, პირველ რიგში ქართველი მენშევიკები.

მართალია, მათ ისევე მალე გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისადმი, როგორც ამიერკავკასიის მშრომელებმა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რე-

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, აღწ. 1, საქმე 335, ფ. 1.

2 იქვე, გვ. 2.

3 იქვე.

ვოლუციის გამარჯვებამ მათში გააფთრება და გაბოროტება გამოიწვია. ისინი გრძნობდნენ, რომ პეტროგრადში რევოლუციის გამარჯვებას აუცილებლად მოჰყვებოდა რევოლუციის ძალების ამოქმედება ამიერკავკასიაში, მათი ანტიხალხური პოლიტიკის საბოლოო ჩაფუშვა.

მაგრამ ქართველი მენშევიკები იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლება სულ მალე, ერთი თუ ორი კვირის შემდეგ საკუთარი სიკვდილით მოკვდებოდა. მათ ოდნავადაც ეეჭვი არ ეპარებოდათ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების მალე დაცემის გარდუვალობაში. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისადმი ყველაზე სრულად გამოხატა ნ. ჟორდანიამ რევოლუციის მესამე დღეს, 28 ოქტომბერს პეტროგრადის ამბებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო საბჭოს სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, სადაც მან განაცხადა: „აჯანყება პეტროგრადში სულს ღაფავს. იგი თავიდანვე იყო განწირული დასამარცხებლად იმიტომ, რომ შეთქმულების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება ეწინააღმდეგება რევოლუციის განვითარების ბუნებრივ მსვლელობას“.

ასე ფიქრობდნენ არა მარტო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიები, ან კიდევ ქართველი მენშევიკების ლიდერი ნ. ჟორდანია, არამედ რეაქციის ყველა ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. იმ დღეებში ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიები ხშირად „ამარცხებდნენ“ თავიანთი პრესის ფურცლებზე საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში.

მაგრამ, რადგან საბჭოთა ხელისუფლება განაგრძობდა არსებობას და განმტკიცებას, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა შეძლებულ კლასებთან კავშირში მალე თავიანთი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გაიხადეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

1917 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც თავიდანვე განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ხელი აეღოთ საბჭოთა

რუსეთისაკენ ორიენტაციაზე და მოეძებნათ „უკეთესი და ახალი ორიენტაცია“. მენშევიკები თავიანთ ამ გადაწყვეტილებას იმით ამართლებდნენ, რომ ვითომც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთში არ არსებობდა საყოველთაოდ აღიარებული ცენტრალური ხელისუფლება, რომ რუსეთში სუფევდა სულ უფრო და უფრო მზარდი ანარქია, რომელიც შეიძლებოდა ამიერკავკასიაშიც გავრცელებულიყო და ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ ვითომც პირველმა თვითონ მოისურვა ამიერკავკასიასთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა და სხვ.

მენშევიკები რუსეთის ანარქიის, რუსეთში იმპერიალისტური რეაქციის დამკვიდრების შესახებ და სხვ. ამგვარი ცილისმწამებლური „მტკიცებების“ საშუალებით ცდილობდნენ მუშებისა და გლეხების რევოლუციური ენთუზიაზმის მოდუნებას.

11 ნოემბერს მენშევიკების ინიციატივით თბილისში მოწვეულ იქნა თათბირი ამიერკავკასიაში ხელისუფლების ახალი ორგანოს „შესაქმნელად“[1]. თათბირზე წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიის ყველა კონტრრევოლუციური პარტია.

მოიწვიეს ბოლშევიკების წარმომადგენლებიც. მათ ეს იმისათვის ესაჭიროებოდათ, რომ ბოლშევიკებთან ერთად ჯანეხორციელებინათ თავიანთი ბინძური საქმე: მოეწყვიტათ ამიერკავკასია რუსეთისაგან, დაეთრგუნათ მუშების წინააღმდეგობა, რომლებიც სულ უფრო მეტად „ბედავდნენ“ რევოლუციური მოთხოვნების წამოყენებას, დაეთრგუნათ გლეხები, რომლებიც გადაჭრით აყენებდნენ მიწის რეფორმის საკითხს. პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესახებ, მაგრამ არა კონტრრევოლუციურ პარტიებთან ორგანული მუშაობისათვის, არამედ იმისათვის, რომ გამოეყენებია იგი ამ პარტიების სამხილებლად. თათბირს დაესწრნენ მ. ცხაკაია და ა. ნაზარეტიანი. მ. ცხაკაიამ თათბირზე მოკლე შესავალი სი-

---

[1] რუსეთში დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამარცხების შემდეგ გაუქმდა მის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი.

ტყვის შემდეგ წაიკითხა მის მიერ შედგენილი და კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მოწონებული დეკლარაცია, რომელიც ამხელდა რევოლუციისადმი ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების საბოლოო ღალატის ფაქტს, რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორების მავნებლობას და მოითხოვდა საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შედგენილი პირველი საბჭოთა მთავრობისათვის მხარის დაჭერას[1].

დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ ცხაკაიამ და ნაზარეტიანმა დატოვეს თათბირი და განაცხადეს, რომ უარს ამბობენ მის მუშაობაში მონაწილეობაზე.

თათბირის გადაწყვეტილებით ამიერკავკასიის მმართველობის ფუნქცია დაეკისრა, ე. წ. საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტს, რომელიც შედგენილ იქნა ამიერკავკასიის ყველა კონტრრევოლუციური პარტიების წარმომადგენლებისაგან. რამდენიმე დღის შემდეგ, 15 ნოემბერს ქართველმა მენშევიკებმა მემარჯვენე ესერებთან, აზერბაიჯანელ ხანებთან, მუსავატელებთან და სომეხ დაშნაკებთან ერთად შექმნეს ამიერკავკასიის კომისარიატი, რაც ფაქტიურად ნიშნავდა ანტისაბჭოთა კოალიციის შექმნას ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა ეს იყო საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორების პირველი ნაბიჯი.

პარტიის სამხარეო კომიტეტმა თავისი დამოკიდებულება ამიერკავკასიის კომისარიატისადმი ზუსტად განსაზღვრა გაზეთ „ბრძოლის“ 17 ნოემბრის ნომერში კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების სახელით დაბეჭდილ სარედაქციო სტატიაში — „ამიერკავკასიის მთავრობა“.

„არავითარი ნდობა მენშევიკ-დაშნაკცაკან-ესერ-კადეტების მიერ ხალხის ზურგს უკან შექმნილ მთავრობას!“— ნათქვამი იყო ამ სტატიაში. აქვე იყო აგრეთვე განსაზოვრული ამიერკავკასიის ბოლშევიკების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი: „მუშებო, გლეხებო, სალდათებო, ყველა მშრომელნო, მხარი დაუჭირეთ მუშებისა და გლეხების მთავრობას, შეუერთდით რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს,

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1917 წლის 16 ნოემბერი.

სრული ნდობა გამოუცხადეთ მის მთავრობას! გვერდში აქოუ-
ლექით და ენერგიულად დაეხმარეთ მის გმირულ ბრძოლას!".

ამიერკავკასიის კომისარიატისა და მის შექმნასთან დაკავ-
შირებით მენშევიკების გამცემლობის მხილებას მრავალი სტა-
ტია მიუძღვნეს გაზეთებმა „კავკაზსკი რაბოჩიმ" და „ბანვოო
კრივიმ". გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩიმ" ამიერკავკასიის კომ-
ისარიატის შექმნა შეაფასა, როგორც თავის „საბოლოოდ შერ-
ცხვენა" მენშევიკების მხრივ.

საქართველოს ბოლშევიკებს ამიერკავკასიის კონტრრევო-
ლუციური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად მთე-
ლი ყურადღების ცენტრი გადააქვთ ძალაუფლების ხელში
ჩაგდებისაკენ, როგორც უშუალო პრაქტიკული ამოცანისაკენ
და ამ მიზნით მათ მიერ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის
გამარჯვების პირველი დღეებიდანვე განხორციელებულ იქნა
მთელი რიგი გაბედული ღონისძიებები.

რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების
ინიციატივით თბილისის გარნიზონის ნაწილების წარმომა-
დგენლებისაგან 22 ოქტომბერს შეიქმნა ჯარისკაცთა პირველი
ბოლშევიკური საბჭო „დელეგატთა კრების" სახელწოდებით.
იგი დამკვიდრდა არტილერიის საწყობებსა და არსენალში,
სადაც საბრძოლო იარაღის დიდი მარაგი იყო თავმოყრილი.
„დელეგატთა კრების" შექმნა ეს იყო ძალაუფლებისათვის
ბრძოლის გზაზე ბოლშევიკების პირველი დიდი გამარჯვება.

მაგრამ პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტე-
ტებმა ეს გაბედულად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიი-
ყვანეს. საქმე იმაში იყო, რომ თბილისის მუშათა და ჯარის-
კაცთა დეპუტატთა მენშევიკურ-ესერულმა საბჭომ 4 ნოემ-
ბრის სხდომაზე „რევოლუციური წესრიგის" დაცვის მიზნით
„დელეგატთა კრება" დაშლილად გამოაცხადა. ბოლშევიკებმა
ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა მენშევიკებს და 12
ნოემბერს მენშევიკებმა შეიარაღებული გზით ხელთ იგდეს
არტილერიის საწყობები და არსენალი. ეს იყო ბოლშევიკები-
სათვის უდიდესი დარტყმა. მენშევიკების მიერ არსენალის
ხელში ჩაგდების შემდეგ იწყება მენშევიკებისა და ამიერკავ-
კასიის ყველა სხვა კონტრრევოლუციური პარტიების მხრივ

ხმირი რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთა ავტორიტეტი და გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა.

როცა პარტიის სამხარეო კომიტეტის მიერ 1917 წლის დეკემბერს პეტერბურგში სპეციალურად გაგზავნილმა წარმომადგენელმა ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გაუკეთა ლენინს და აცნობა მენშევიკების მიერ არსენალის ხელში ჩაგდების ფაქტი, ლენინმა გაკვირვებით იკითხა: „მაშ, არსენალი მენშევიკებს მიეცით?", ხოლო როცა კავკასიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელი შეეცადა მიზეზების განმარტებას, ლენინმა იგი შეაჩერა და ხელმეორედ ჰკითხა: „არსენალი ხომ მაინც ჩააბარეთ მენშევიკებს?!"[1].

ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს თუ რა დიდ შეცდომად ჩაუთვალა მან კავკასიის სამხარეო კომიტეტს მენშევიკებისათვის არსენალის უბრძოლველად, ან თითქმის უბრძოლველად დათმობა.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ პირველ წარუმატებლობას ოდნავადაც არ შეუცვლია ბოლშევიკების გადაწყვეტილება ბოლომდე მიეყვანათ ძალაუფლებისათვის დაწყებული ბრძოლა. პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ახლა გადასწყვიტა ამიერკავკასიის კომისარიატის დასამხობად, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამოეყენებია კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 10 დეკემბრისათვის[2]. ბოლშევიკები იმედოვნებდნენ, რომ ყრილობაზე ისინი ხმის უმრავლესობას მიიღებდნენ. მიუხედავად ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მხრივ ყველა ზომის მიღებისა, ყრილობაზე ბოლშევიკებმა მართლაც მოიპოვეს ბრწყინვალე გამარჯვება.

---

[1] მამია ორახელაშვილი, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები" 1917 წ., გვ. 51, 1927 წ.

[2] ყრილობა მიმდინარეობდა 10—23 დეკემბერს. პირველი ყრილობა ჩატარდა აპრილ-მაისში.

„ყრილობა, — წერდა ს. შაუმიანი სტატიაში „კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობა“, — ჩატარდა ბოლშევიზმის გამარჯვების ნიშნით“[1].

ყრილობამ დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხზე— მიმდინარე მომენტის შესახებ (მოხსენებელი იყო მ. ცხაკაია) მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც ცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა კავკასიელი ობორონცების პოლიტიკას და გმობდა ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციურ ხელისუფლებას. ყრილობამ კავკასიის არმიის სახელით მისალმება გაუგზავნა პეტროგრადში სახალხო კომისართა საბჭოს.

ყრილობაზე ბოლშევიკების მიერ მხილებულ იქნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც მეფის გენერლის პრჟევალსკის მეშვეობით იარაღს აწვდიდა ყარაულოვს, კალედინს და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა კონტრრევოლუციონურ-მემამულურ გენერლებს, რომლებიც შეტევას აწარმოებდნენ საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ. ყრილობამ აირჩია დელეგაცია მ. ცხაკაიას მეთაურობით და გაგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილზე შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად და მუშათა საბჭოების აღდგენაში მონაწილეობის მისაღებად.

ყრილობამ სამხარეო საბჭოში აირჩია 100 წევრი, აქედან 52 ბოლშევიკი და მათი მომხრეები ბოლშევიკ კორგანოვის მეთაურობით, ხოლო 48 მენშევიკი და მემარჯვენე ესერი.

ყრილობამ თავისი მუშაობა დაამთავრა ინტერნაციონალის სიმღერით და ლოზუნგებით: „ძირს ამიერკავკასიის კომისარიატი! „გაუმარჯოს სახალხო კომისართა საბჭოს!“, „გაუმარჯოს დაუყოვნებლივ მშვიდობას და ხალხთა მეგობრობას!“.

ყრილობა მოასწავებდა ბოლშევიკთა დიდ გამარჯვებას არმიაში. მას შეეძლო ბოლშევიკებისათვის ახალი, უფრო დიდი გამარჯვების მოტანა, მაგრამ მენშევიკებმა და ესერებმა, ისარგებლეს რა თავიანთი ფაქტიური ძალაუფლებით[2], ყრილობის დამთავრების მეოთხე დღეს, 27 დეკემბერს გარეკეს

---

1 გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“, 1917 წლის 25 დეკემბერი.

2 აქ თავი იჩინა მენშევიკებისათვის არსენალის ჩაბარების შედეგებმა.

სამხარეო საბჭოს ბოლშევიკური უმრავლესობა[1] და ხელი იგდეს სამხარეო საბჭო.

ამრიგად, ბოლშევიკებმა დაკარგეს კავკასიის არმიასთან უშუალო გავლენის საშუალება, რითაც მათ მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შანსი კიდევ უფრო შემცირდა.

კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის პარალელურად თბილისში მიმდინარეობდა მუშათა დეპუტატების საბჭოების მეორე სამხარეო ყრილობა[2]. ეს ყრილობაც ბოლშევიკების ინიციატივით იქნა მოწვეული. კერძოდ ყრილობის მოწვევის ინიციატივა ეკუთვნოდა ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომლის თავმჯდომარე იყო ს. შაუმიანი. ბოლშევიკები ამ შემთხვევაშიც იმედოვნებდნენ, რომ უმრავლესობას მიიღებდნენ, მუშათა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრში. ეს იქნებოდა ბოლშევიკების უდიდესი გამარჯვება მუშებში.

მაგრამ მენშევიკებმა, ესერებმა და სხვა კონტრრევოლუციონურმა პარტიებმა ისარგებლეს რა იმით, რომ მათ გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ მუშათა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრში, სხვადასხვა კომბინაციებისა და მატყუარობის გზით ამჯერადაც აიცდინეს თავიდან გარდუვალი დამარცხება. მათ წარმომადგენლობის სისტემა ისე შეადგინეს, რომ ყრილობაზე მათ მიერ უმრავლესობის მოპოვება წინდაწინვე იყო გადაწყვეტილი. მენშევიკებმა თბილისის მუშებს ყოველ 500 ამომრჩეველზე მისცეს ერთი დელეგატის წამოყენების უფლება, ეს მაშინ, როცა ბაქოსა და ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელებს ერთი დელეგატი უნდა წარმოეგზავნათ 2.000 — 2.500 ამომრჩეველზე. ამრიგად, ბაქოს 80 ათას ორგანიზებულ მუშას ყრილობაზე ჰყავდა 37 დელეგატი, ხოლო თბილისის გუბერნიის 47 ათას ამომრჩეველს კი 90[3].

---

1 მენშევიკების მიერ გარეკილ სამხარეო საბჭოს წევრებს მოღვაწეობის ცენტრი გადააქვთ ბაქოში, სადაც ისინი დიდ მუშაობას ეწევიან ჯარის ნაწილებში.

2 ყრილობა მიმდინარეობდა 19—23 დეკემბერს.

3 ა. სურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წწ), გვ. 166, 1954 წ.

ბოლშევიკებმა ყველა ზომა მიიღეს, რათა ხელმეორედ ჩატარებულიყო არჩევნები, მაგრამ ყრილობაზე მენშევიკურ-ესერულმა უმრავლესობამ უარყო ბოლშევიკების მოთხოვნა, რის გამოც ბოლშევიკები სტოვებენ ყრილობას და უარს აცხადებენ მის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. ბოლშევიკების მიერ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა არ შეიძლება სავსებით გამართლებულ ნაბიჯად ჩაითვალოს. ბოლშევიკებს შეეძლოთ ნაწილობრივ მაინც გამოეყენებიათ ყრილობა როგორც ტრიბუნა მენშევიკებისა და ესერების ანტიხალხური, გამცემლური პოლიტიკის სამხილებლად.

ყრილობაზე უმრავლესობის მოპოვებით მენშევიკებმა და ესერებმა კიდევ უფრო განამტკიცეს პოზიციები რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების საქმისათვის ლენინის წინადადებით რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 16 დეკემბრის სხდომაზე კავკასიის შესახებ სტალინის მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას და კავკასიის საქმეების დროებით საგანგებო კომისრად ს. შაუმიანის დანიშვნას. ს. შაუმიანმა პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტთან ერთად ბევრი ისეთი „მტკიცე და გაბედული“[1] ღონისძიება განახორციელა, რომ მან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ლენინის მხრივ. მაგრამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების, პირველ რიგში მენშევიკების მიერ მიღებული კონტრზომების შედეგად სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში.

ამრიგად, ამიერკავკასიის ბოლშევიკების მრავალგზის ცდები — ხელთ ჩაეგდოთ ძალაუფლება მშვიდობიანი გზით — უშედეგოდ დამთავრდა.

ასე დამთავრდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლების პირველი პერიოდი. დაიწყო ხელისუფლებისათვის ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების ახალი პერიოდი. აზერბაიჯანში ეს ბრძოლები მიმდინარეობდა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 349.

თითქმის ორნახევარი წელი, სომხეთში — სამი წელი, ხოლო საქართველოში თითქმის სამნახევარი წელი.

როგორ მოხდა, რომ ამიერკავკასიის მუშებმა და გლეხებმა, რომლებსაც რევოლუციური ბრძოლების უდიდესი გამოცდილება ჰქონდათ, ვერ მოახერხეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება ოქტომბერში, ან კიდევ მის მომდევნო თვეებში, როცა სოციალისტური რევოლუცია, ლენინის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ტრიუმფალური მარშით“ ვრცელდებოდა ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში?

მთელი რიგი მიზეზებიდან, რომლებიც აფერხებდნენ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას უნდა აღინიშნოს შემდეგი მთავარი მიზეზები.

პირველი. ამიერკავკასიის მუშები და გლეხები არ იყვნენ სავსებით მზად შეიარაღებული აჯანყების გზით ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. აქ „ობორონცული“ პარტიებისადმი მუშებისა და გლეხების მიმნდობ დამოკიდებულებას უფრო ძლიერი ფესვები ჰქონდა გადგმული ვიდრე რუსეთის სამრეწველო რაიონებში. აქ ძლიერი იყო აგრეთვე რწმენა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და მენშევიკურ-ესერული საბჭოებისადმი. ამიერკავკასიაში მუშებსა და გლეხებს დიდხანს სჯეროდათ, რომ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და მენშევიკურ-ესერული საბჭოები მალე განახორციელებდნენ მუშებისა და გლეხების სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

მეორე. ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და განსაკუთრებით კი მის გატარების პერიოდში ვერ გამოიჩინეს ის „სამმაგი გამბედაობა“, რომელსაც გენიალური ლენინი თვლიდა რევოლუციის გამარჯვების ძირითად პირობად. ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ რა ძალაუფლების საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის, ამიერკავკასიის ბოლშევიკები ვერ ახორციელებენ ძალაუფლებისათვის ბრძოლის გზაზე გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას, ამ ბრძოლასთან დაკავშირებული რადიკალური ღონისძიებების გატარებას. მათ ვერ მოახერხეს შეენარჩუნებინათ შეიარაღებული აჯანყების ისეთი ბასტიონი, როგორიც

იყო თბილისის არსენალი. იგი ბოლშევიკებმა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თითქმის უბრძოლველად დაუთმეს მენშევიკებს. ბოლშევიკებმა ვერ გამოიყენეს ჯარის ნაწილები, რომელთა დიდი ნაწილის ბოლშევიზაციის პროცესი ოქტომბრისათვის დამთავრებული იყო. ბოლშევიკების მხრივ სერიოზული წინააღმდეგობის გაუწევლად მენშევიკებმა შესძლეს ბოლშევიკურად განწყობილი სამხედრო ნაწილების დაშლა და განიარაღება.

მესამე. მალე ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის შეიქმნა კონტრრევოლუციური ზონა. მთელი სამხრეთ რუსეთი აღმოჩნდა თეთრგვარდიელი გენერლების ხელში. ამან შეუძლებელი, ან თითქმის შეუძლებელი გახადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან კავშირის დამყარება და სათანადო დირექტივების მიღება რევოლუციის ისეთ საპასუხისმგებლო პერიოდში, როცა ძალაუფლების ხელში ჩაგდების ბედს წყვეტდა არა კვირეები, არამედ დღეები და საათებიც კი. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა, მნიშვნელოვნად არ გაეძნელებია ამიერკავკასიაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების საქმე, მუშებისა და გლეხების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების საქმე. სამაგიეროდ სამხრეთში კონტრრევოლუციური ზონის არსებობამ მნიშვნელოვნად განუმტკიცა მდგომარეობა ხელისუფლების სათავეში მდგომ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ პარტიებს.

თ ა ვ ი II

საქართველოს ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლებისათვის მუშებისა და გლეხების ბრძოლის სათავეში

(1918—1920 წლები)

მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის ნაციონალისტურმა პარტიებმა საბოლოოდ ხელთ იგდეს ძალაუფლება და განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები, ისინი სულ უფრო და უფრო ააშკარავებდნენ თავიანთ თავს, როგორც კონტრრევოლუციური პარტიები. თუ აქამდე ისინი რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, უფრთხილდებოდნენ „დემოკრატიულ“ ნიღაბს, მორიდებულად ექცეოდნენ მუშებს, გლეხებს, ბოლშევიკებს, მოტყუებით ახერხებდნენ ბატონობას, ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ კი ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიები საბოლოოდ იხსნიან „დემოკრატიულ“ ნიღაბს და დგებიან ბურჟუაზიულ-მემამულური კლასების სამსახურში. იწყება ძალადობის გზით ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ბატონობის პერიოდი. ისინი მუშების, გლეხების, რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცების და ბოლშევიკების მიმართ იარაღით ანგარიშის გასწორების პოლიტიკას დაადგნენ.

1918 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა შამქორთან განაიარაღეს და სისხლში ჩაახრჩვეს კავკასიის არმიის რევოლუციური ჯარისკაცები, რომლებიც თურქეთის ფრონტიდან ბრუნდებოდნენ საზავო მოლაპარაკების დაწყების შემდეგ. ამ ჯარისკაცებს უნდა გამოევლოთ თბილისზე. ბოლშევიკების ხელში ისინი შეიძლებოდა სერიოზული საფრთხე გამხდარიყვნენ

ამიერკავკასიის შეძლებული კლასებისა და ᲫᲐᲗᲘ კონტრრევოლუციური პარტიების არსებობისათვის. მაგრამ მთელი რიგი დამაბრკოლებელი მიზეზებისა და აგრეთვე ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის მიერ მიღებული ზომების შედეგად ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს რევოლუციის საქმისათვის ამ ჯარისკაცების გამოყენება. ეს ათასობით ჯარისკაცი მუსლიმანთა შეიარაღებულმა ბანდებმა ელიზავეტპოლის მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტის წევრების შეთაურობითა და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გაგზავნილ ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით ძალით განაიარაღეს და დახვრიტეს შამქორთან, თბილისსა და ელიზავეტპოლს შუა.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების მუხანათურად განიარაღებითა და დახვრეტით დიდი სამსახური გაუწია რუსეთის კონტრრევოლუციას, კერძოდ კარაულოვსა და კალედინს და ამავე დროს კიდევ უფრო „განიმტკიცა“ თავის საშინაო მდგომარეობა. ამიერკავკასიის კომისარიატმა რუსული რევოლუციური არმიის იარაღით შეიარაღა ქართული, სომხური და მუსლიმანური ნაციონალური პოლკები[1].

ამიერკავკასიის კომისარიატი შეეცადა, რომ დაეფარა სიმართლე შამქორის ამბების შესახებ, დაეფარა თავისი საზიზღარი საქმეები. მაგრამ ამ დანაშაულებრივი ავანტურის მთავარ გმირებს — ჟორდანიას, ჩხეიძეს, გეგეჭკორს და სხვ. ნიღაბი ჩამოხადა და გააშიშვლა ი. ბ. სტალინმა თავის განთქმულ სტატიაში „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით“, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „პრავდის“ 1918 წლის 26 და 27 მარტის ნომრებში. „მუხანათობა“, „საზიზღარი საქმე“, „დანაშაულებრივი ავანტურა“, „კონტრრევოლუციური საქმე“ და სხვ. — ასეთი სიტყვებით შეაფასა ი. ბ. სტალინმა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ჩადენილი დანაშაული.

დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის მშრომელებისა-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 64.

თვის შამქორის ამბებთან დაკავშირებით მენშევიკების ჯალათური საქციელის განმარტების საქმეში გაზეთებმა „ბაკინსკი რაბოჩიმ“ და „კავკაზსკი რაბოჩიმ“.

„როდემდე აპირობს ამიერკავკასიის კომისარიატი (სეიმი) რუსი ჯარისკაცების სისხლის ღვრას?“ — ასეთი სათაურის სტატია მიუძღვნა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩიმ“ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების მხილებას მათ მიერ შამქორთან ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით. ამ სტატიის დაბეჭდვისათვის 8 თებერვალს მენშევიკების მიერ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი“ დახურულ იქნა. ამავე დღეს დახურულ იქნა აგრეთვე გაზეთები „ბრძოლა“ და „ბანვორ კრივი“. დარბეული და დახურული იქნა კავკასიის სამხარეო კომიტეტის სტამბა. ამავე ღამეს ადგილი ჰქონდა დაპატიმრებებსაც. გაიცა ორდერები კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრების: მახარაძის, ნაზარეტიანის, შავერდოვისა და სხვათა დაპატიმრებაზე.

ამიერკავკასიის კომისარიატმა წინადადება მისცა სტ. შაუმიანს და ნ. კუზნეცოვს 24 საათში დაეტოვებიათ ამიერკავკასიის საზღვრები. გაცემულ იქნა ორდერები მათს დაპატიმრებაზე. შაუმიანი და კუზნეცოვი გადადიან არალეგალურ მდგომარეობაზე. თებერვლის შუა რიცხვებიდან მათ თავიანთი მოღვაწეობის ცენტრი გადააქვთ ბაქოში.

მიუხედავად რეპრესიებისა, 9 თებერვალს პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტები სცემენ ახალ გაზეთს „კავკაზსკაია პრავდას“[1] სახელწოდებით. გაზეთის პირველ ნომერში იბეჭდება რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდება მუშების, ჯარისკაცების და გლეხებისადმი. მასში მენშევიკები შეფასებულნი არიან, როგორც „თავისუფალი სიტყვის მტრები“, „მუშების, სალდათების და გლეხების მტრები“, „ბურჟუაზიის, მემამულეების და ბეკების მსახურნი“. მოწოდებაში მხილებულია ამიერკავკასიის კომისარიატის და ნაციონალური საბჭოების ანტიხალხური ხასიათი.

---

1 გაზ. „კავკაზსკაია პრავდა“ გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი, რის შემდეგ იგი მენშევიკების მიერ დახურული იქნა.

„ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო!, — ვკითხულობთ მოწოდებაში, — ნუთუ თქვენ ნებას მისცემთ ჩაჭკლან რევოლუციის დიადი მონაპოვარი — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები? ნუთუ იმისათვის იღვრებოდა საუკუნეობით პატიოსან რევოლუციონერების სისხლი, რომ რუსეთის მუშებისა და გლეხების დიადი ზეიმის დღეებში... შესაძლებლობა მისცეთ ობორონცებს ამიერკავკასიის მუსულმან ბეგების, სომეხ მდიდრების, ქართველი თავადების საამებლად ტალახში ამოსვარონ წითელი დროშა?

ძირს ამიერკავკასიის კომისარიატი და ბუტაფორული სეიმი!

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს!

მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“

კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ბოლშევიკური გაზეთების დახურვასთან დაკავშირებით 9 თებერვალს გამოსცა აგრეთვე მეორე მოწოდება მუშებისადმი. ამ მოწოდებაში კავკასიის სამხარეო კომიტეტი მიმართავდა თბილისის მუშებს. რევოლუციის ყველა ერთგულთ, რომ აღემართათ ბრძოლის დროშა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ. „ამას მოითხოვენ ამიერკავკასიის პროლეტარიატის სახელი და ღირსება. ამას მოითხოვენ რევოლუციის ინტერესები“ — ვკითხულობთ მოწოდებაში.

ამ მოწოდების პასუხად თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში შედგა მიტინგი, რომელსაც 3.000-მდე მუშა დაესწრო. მიტინგმა ერთხმად გადაწყვიტა გამოეცხადებინათ გაფიცვა, მოეთხოვათ ამხანაგების განთავისუფლება და ბოლშევიკური გაზეთების გამოშვების განახლება. გადაწყდა გაფიცულიყვნენ, სანამ მენშევიკები მოთხოვნებს არ შეასრულებდნენ. გაფიცვა კიდეც შედგა. იმავე დღეს შედგა ასოთამწყობთა და მბეჭდავთა კრება, რომელმაც გადასწყვიტა ერთი დღის გაფიცვა—პროტესტის გამოცხადება იმავე მოთხოვნებით. ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება გაფიცვის გამოცხადების შესახებ ელექტრიკოსებმა, მეტყავეებმა, მ[illegible]ერავებ-

მა, არსენალის სახელოსნოებმა, ტოლეს, ზარგარიანცის, ვასენ-ცოვის, მამედბეკოვის ქარხნებმა და სხვ.[1].

ამიერკავკასიის კოხტრრევოლუციურმა პარტიებმა მალე ახალი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს. იგი მიმართული იყო უკვე უშუალოდ მუშების წინააღმდეგ, რომელთა წინაშე ისინი აქამდე ერთგულებას ფიცულობდნენ. მათ 10 თებერვალს დახვრიტეს ალექსანდროვის ბაღში (ამჟამად კომუნარების სახელობის ბაღი) მუშათა მიტინგი, რომელიც ბოგუევის რკინიგზის სახელოსნოებისა და თბილისის სხვა წამყვანი დარგის მუშებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიებისა და საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მიტინგში მონაწილეობა მიიღო 3.000-მდე კაცმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების წარმომადგენლები და თბილისის მოწინავე მუშები. ისინი ამხელდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ პარტიებს და მოუწოდებდნენ მიტინგის მონაწილეებს ძალაუფლების ხელში ჩაგდების აუცილებლობის შესახებ.

ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით მიტინგის დასაშლელად გამოყვანილ იქნა სასახლის მილიციონერები და „წითელ გვარდიელები" (ასე უწოდებდნენ მენშევიკები თავიანთ შეიარაღებულ ძალებს), რომლებიც მხეცურად გაუსწორდნენ მიტინგის მონაწილეებს. მოკლულ და დაჭრილ იქნა რამდენიმე ათეული კაცი. მიტინგის დარბევის შემდეგ ბევრი მისი მონაწილე დააპატიმრეს.

„სისხლით შეღებილი შაბათი — 10 თებერვალი", — ასე უწოდეს ამ დღეს საქართველოს მშრომელებმა, ასე შეაფასეს იგი ბოლშევიკებმა. ამ დღეს თბილისის მუშებმა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიებისაგან მიიღეს სისხლიანი გაკვეთილი. ეს იყო პეტროგრადის 1917 წლის ივლისის ამბების განმეორება ამიერკავკასიაში.

მიტინგის დახვრეტის მთავარი ინიციატორები იყვნენ ქართველი მენშევიკები. მიტინგს რომ არბევდნენ, ისინი

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფ. 11, საქმე 303, ფ. 55.

მიზნად ისახავდნენ უმოძრაობა და მყუდროება დაემყარებინათ თბილისში — ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის ციტადელში და ხელთ ჩაეგდოთ პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტის წევრები, პირველ რიგში ამიერკავკასიის საქმეების დროებითი საგანგებო კომისარი სტ. შაუმიანი, მათი ვარაუდით როგორც მიტინგის მონაწილე. მაგრამ მენშევიკები ანგარიშში მოსტყუვდნენ. ჯერ ერთი, მენშევიკებმა ვერ ჩაიგდეს ხელთ შაუმიანი, რომლის დაპატიმრების შესახებ ჯერ კიდევ ადრე იყო გაცემული ორდერი, რის გამოც იგი არალეგალურ მდგომარეობაზე იყო გადასული; ხელთ ვერ ჩაიგდეს აგრეთვე კავკასიის სამხარეო კომიტეტის სხვა ხელმძღვანელები. მენშევიკები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდნენ მუშებსა და გლეხებში, მიტინგის დარბევით სავსებით ააშკარავებენ თავიანთ თავს მუშებისა და გლეხების თვალში, როგორც კონტრრევოლუციური პარტია.

სწორედ ამან განაპირობა საქართველოში მუშათა და გლეხთა მოძრაობის სულ უფრო და უფრო მზარდი აღმავლობა 1918 წელს.

იძლეოდა რა მენშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ჩადენილ დანაშაულობათა შეფასებას, ი. ბ. სტალინი 1918 წლის მარტში წერდა: „უკანასკნელმა აბებმა საბოლოოდ ჩამოჰგლიჯა სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკ სოციალ-კონტრრევოლუციონერებს, და ახლა მთელ რევოლუციურ სამყაროს შესაძლებლობა აქვს თვალნათლივ დარწმუნდეს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და მის „სეიმურ-ნაციონალურ“ დანამატთა სახით საქმე გვაქვს ყველაზე ბოროტ კონტრრევოლუციურ ბლოკთან, რომელიც ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ არის მიმართული“[1].

ამიერკავკასიის კომისარიატი, თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხედავდნენ რა მათ მიერ თბილისში ჩადენილი საშინელი ბოროტმოქმედებისათვის სამაგიეროს

---

[1] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 4, გვ. 70—71.

მიზღვევის გარდუვალობას, ყოველნაირად ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი სისხლიანი დანაშაულობანი. ამ მიზნით ისინი უტიფრად ავრცელებდნენ ხელოვნურად შეთითხნილ, ყოვლად პროვოკაციულ ხმებს, რაღაც მუშათა შეიარაღებული გამოსვლის შესახებ, გორისა და ქუთაისის ამბების შესახებ, ბოლშევიკების რაღაც ბოროტ განზრახვების შესახებ, სადღაც თბილისიდან 300 კილომეტრით დაშორებით და სხვ. და სხვ.

მაგრამ ეს ბინძური ხერხი ნაკლებ შედეგიანი გამოდგა. ამ გზით ამიერკავკასიის კომისარიატმა ვერ დაფარა თავისი სისხლიანი დანაშაულობანი.

პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა ამიერკავკასიის კომისარიატის ეს საშინელი ბოროტმოქმედება მთელი სისრულით ამხილეს და საჯაროზე გამოიტანეს.

მიტინგის დახვრეტასთან დაკავშირებით პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა იმავე დღესვე გაგზავნეს პროკლამაცია, რომელშიც აღწერილი იყო მიტინგის დახვრეტის შესაზარი სურათი. პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „მიტინგის მთელი ადგილი წარმოადგენდა სისხლის გუბეს; ბალის ხეივანი, სკამები შეშხეფებული იყო მოკლულთა და დაჭრილთა სისხლით, ხორცის ნაჭრებითა და ტვინით“[1]. პროკლამაციაში პარტიის სამხარეო და თბილისის კომიტეტები მოუწოდებდნენ მუშებსა და ჯარისკაცებს, რომ მათ მენშევიკების წინააღმდეგ სისხლიანი დანაშაულისათვის თავიანთ პროლეტარულ რევოლუციურ სასამართლოზე გამოეტანათ შესაფერი განაჩენი.

მიტინგის დახვრეტასთან დაკავშირებით 1918 წლის 10 და 18 თებერვალს ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა მოწოდებები გამოუშვა თბილისის მუშებისადმი. 14 თებერვალს თბილისის კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია 10 თებერვლის დახვრეტის მსხვერპლთა დაკრძალვასთან დაკავშირებით. რსდმპ(ბ) ქუთაისის კომიტეტმა გამოსცა ბროშურა „სისხლით შეღებილი შაბათი —10 თებერვალი თბილისში“. თებერვლის

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფ. 11 ს. საქმე 307, ფ. 45.

ბოლოს პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა კვლავ გამოსცეს პროკლამაციები მიძღვნილი მიტინგის დახვრეტისადმი.

ეს და მრავალი სხვა დოკუმენტი, რომლებიც 10 თებერვლის დახვრეტასთან დაკავშირებით საქართველოსა და ამიერკავკასიაში იქნა გამოცემული, წარმოადგენდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ მიმართულ ყოველმხრივ დასაბუთებულ საბრალდებო აქტს.

მუშათა ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტამ ახალი აღშფოთება გამოიწვია თბილისის მუშებში. ქალაქში ყველგან სახელდახელო მიტინგები იმართებოდა. ქალაქის თვითმმართველობის შენობასთან მოეწყო ქალთა დემონსტრაცია. 11 თებერვალს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სამხედრო ეშელონებში შედგა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ექვსი ათასამდე ჯარისკაცმა. მიტინგის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მოეთხოვათ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება, გაზეთების გამოშვების განახლება და მიტინგის დახვრეტის ფაქტის გამოძიება.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის მიერ თბილისში ჩადენილი სისხლიანი ბოროტმოქმედების საშინელი ამბავი ამიერკავკასიის ყოველ ქალაქსა და სოფელში ელვის სისწრაფით გავრცელდა. ეს ცნობა ყველგან აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევდა.

მუშათა მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტის დღეს, 10 თებერვალს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ახალი, კიდევ უფრო დიდი დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ ამჯერად უკვე მთელი ამიერკავკასიის მშრომელების წინაშე. ამ დღეს გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმის პირველი სხდომა. თავის მეორე სხდომაზე, 13 თებერვალს სეიმმა გამოაქვეყნა განცხადება ამიერკავკასიის სეიმის შექმნის შესახებ. სეიმი ეს იყო ამიერკავკასიის უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც ფლობდა სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას მთელი სისრულით. თავისი შემადგენლობით იგი კონტრრევოლუციური იყო. იგი შედგებოდა დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი ესერ-მენშევიკ-დაშნაკ-ხან წევრთაგან. სეი-

ძის შექმნასთან ერთად 13 თებერვალს გაუქმდა ამიერკავკასიის კომისარიატი.

ამიერკავკასიის სეიმის შექმნა მიზნად ისახავდა საბჭოების საბოლოოდ გაუქმებას და რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ამიერკავკასიის შეძლებული კლასების და, თუ მოხერხდებოდა, ამიერკავკასიის მთელი მოსახლეობის გაერთიანებას.

სეიმში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ ბოლშევიკებიც. ჯერ კიდევ 22 იანვარს სეიმის მომწვევმა კომისიამ[1] წინადადებით მიმართა პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტს, რომ მას გაეგზავნა თავისი დეპუტატები სეიმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 23 იანვრის საპასუხო წერილში კომისიას უარი განუცხადა სეიმში მონაწილეობის მიღებაზე.

„...ბოლშევიკების კავკასიის კომიტეტი,— ვკითხულობთ წერილში,— აცხადებს შემდეგს: იღებს რა მხედველობაში 1) რომ ამჟამად მოწვეულ ამიერკავკასიის სეიმს არავითარი უფლებები არა აქვს ამიერკავკასიის ხალხისაგან, ვინაიდან დამფუძნებელი კრების მომავალ დეპუტატებს სრულებითაც არ ირჩევდნენ ამიერკავკასიის სეიმისათვის; 2) რომ ეს სეიმი არის მხოლოდ ამიერკავკასიის კომისარიატის გაგრძელება, რომელსაც საბოლოოდ გაუტყდა სახელი მცხოვრებთა შორის; 3) ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა რუსეთში შექმნილი მდგომარეობის დროს მოასწავებს ამიერკავკასიის რუსეთიდან ფაქტიურად ჩამოშორებას და ხალხის სურვილებისა და ნების გარეშე დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას, ამავე დროს მოასწავებს საბჭოების ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, ე. ი. სხვანაირად, რომ ვთქვათ, მუშებისა და გლეხების მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას კონტრრევოლუციონერებისა, ბურჟუაზიისა და მემამულეებთან ერთად; 4) ამიერკავკასიის სეიმს იწვევენ რუსეთში გამოცხადებულ საბჭო-

[1] კომისია არჩეულ იქნა ამიერკავკასიაში რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დეპუტატების კრებაზე. რომელიც შედგა 1878 წლის 22 იანვარს. სწორედ ამ კრების გადაწყვეტილებით გაიხსნა 10 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმი.

ოა რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად, [illegible] ღებს რ. ყოველივე ამას მხედველობაში რსდმპ(ბ) კავკასიის კომიტეტი უარს აცხადებს ყოველგვარ მონაწილეობაზე ამიერკავკასიის სეიმში, რომელსაც ამჟამად იწვევენ და ამასთანავე აცხადებს, რომ ბოლშევიკების პარტია მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ გამოააშკარავოს ამიერკავკასიის სეიმის ინიციატორები, თუ როგორ ატყუებენ ისინი ხალხს"[1].

მართლაც პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი, როგორც ყველა სხვა მანამდელ დიდ თუ პატარა მოვლენას, ეხლაც დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამიერკავკასიის სეიმის შექმნას. სეიმის გახსნის დღეს კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ერთდროულად გამოსცა მოწოდება და პროკლამაცია, რომლებშიც ამხილა სეიმი, როგორც ამიერკავკასიაში რევოლუციის ლიკვიდაციისა და მუშებისა და გლეხების დათრგუნვის ახალი საშუალება. კავკასიის სამხარეო კომიტეტი მოუწოდებდა ამიერკავკასიის მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს, რომ დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადებიათ სეიმისათვის და ეხმარათ ყველა ზომა რევოლუციის ხსნისათვის, ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიების მიერ დიდი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან ხელოვნურად დარღვეული კავშირის აღდგენისათვის.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების დამოკიდებულება სეიმისადმი შესანიშნავად გამოხატა ბოლშევიკურმა გაზეთმა „სუხუმსკაია პრავდამ" თავის ერთ-ერთი ნომრის მოწინავე სტატიაში „ამიერკავკასიის სეიმი", სადაც წერდა: „ბრძოლა, შეუპოვარი ბრძოლა ბეკების, თავადების, მდიდრებს წინააღმდეგ, ბრძოლა ამ კლასების აღმასრულებელი კომიტეტის — ამიერკავკასიის სეიმის წინააღმდეგ — აი ჩვენი დღიური ლოზუნგი"[2].

1918 წლის 9 აპრილს სეიმმა თავის სხდომაზე განიხილა საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. ამ საკითხის გარშემო მიღებული დადგენილებით სეიმმა ამიერკავ-

---

1 ს. თ ო დ რ ი ა, ალიონიდან გათენებამდე. იხ. ჟურ. „რევოლუციის მატიანე", № 4—5 (9—10), გვ. 253—254, 1924 წ

2 გაზ. „სუხუმსკაია პრავდა", 1918 წ. 17 აპრილი.

კასია გამოაცხადა დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკად[1]. ეს ანტიხალხური, კონტრრევოლუციური დადგენილება სეიმის სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული.

ამრიგად, სეიმმა პრაქტიკულად გადაჭრა რუსეთისაგან ჩამოშორების შესახებ ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ დაყენებული საკითხი.

სეიმის გადაწყვეტილებამ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ უკმაყოფილების ახალი ტალღა გამოიწვია საქართველოს მშრომელებში. თბილისში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, გორში, დუშეთში და საქართველოს მთელ რიგ სხვა ადგილებში მოწყობილ მიტინგებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები, გმობდნენ სეიმს, რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფას და გადაჭრით მოითხოვდნენ რეფერენდუმს.

სეიმის მიერ გამოცხადებულმა ამიერკავკასიის დამოუკიდებელმა დემოკრატიულ ფედერაციულმა რესპუბლიკამ იარსება სულ რაღაც თვეზე ცოტა მეტი. სეიმის შიგნით მალე იჩინა თავი წინააღმდეგობებმა მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში, რამაც დღის წესრიგში დააყენა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაშლის აუცილებლობა.

26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. სეიმმა მოვალეობა მოიხსნა და თავის თავი დაშლილად გამოაცხადა. სეიმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში ამიერკავკასიის ერთა შორის გამოაშკარავდა არსებითი უთანხმოებანი, და ამიტომ შეუძლებელი გახდა მოქმედება ერთი ავტორიტეტული მთავრობის, რომელიც ილაპარაკებდა მთელი რესპუბლიკის მცხოვრებთა სახელით, სეიმი ადასტურებს

---

1 იხ. ამიერკავკასიის სეიმის 9 აპრილის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

ამიერკავკასიის მთლიანობის დარღვევის ფაქტს და აცხადებს სეიმს დაშლილად"[1].

სეიმის დაშლის დღესვე გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს[2] სხდომა, რომელმაც გამოაქვეყნა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შემუშავებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ამ აქტით გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის" დამყარება. არჩეულ იქნა საქართველოს მენშევიკური მთავრობა ნ. რამიშვილის მეთაურობით[3].

ამრიგად, „საქართველოს ეროვნული საბჭო სრულიად მოულოდნელად ევლინება ქვეყანას, როგორც „სამშობლოს მხსნელი" დაწესებულება! მენშევიკებს, ამ დახელოვნებულ ჯამბაზებს, გამოჰყავდათ იგი ისტორიის სცენაზე"[4].

მალე, საქართველოს შემდეგ ფორმდება აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები ნაციონალური მთავრობებით.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაშლით კონტრრევოლუციონურმა პარტიებმა ახალი დარტყმა მიაყენეს რევოლუციის საქმეს. ამით მათ ხელოვნურად დაარღვიეს ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში შექმნილი რევოლუციური ძალების ერთიანი ფრონტი და კიდევ უფრო გააძნელეს აქ. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების საქმე. ამავე მიმართულებით მოქმედებდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ყველა სხვა ღონისძიებებიც.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაშლის დღიდან ნაციონალისტური მთავრობები — ამიერკავკასიის ხალხების ეს გამცემლები და მოღალატეები ეწეოდნენ რა

---

[1] გაზ. „ერთობა", 1918 წლის 28 მაისი.

[2] ეროვნული საბჭო არჩეულ იქნა 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ. ყრილობა მოიწვია ინტერპარტიულმა საბჭომ, რომელიც შეიქმნა 1917 წლის აგვისტოში.

[3] 24 ივნისიდან მთავრობის თავმჯდომარე ხდება ნ. ჟორდანია.

[4] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 125, 1924 წ.

ნაციონალურ ჩაგვრას ახალი, მაგრამ სამაგიეროდ უფრო საშიში ფორმით, ნერგავდნენ ამიერკავკასიის ხალხებში მტრობას, ურთიერთუნდობლობასა და სიძულვილს. ამ სისხლიანი პოლიტიკის შედეგი იყო ხშირი შეტაკებები სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. ამ პოლიტიკის შედეგად 1918 წლის შემოდგომაზე მოხდა სომხეთსა და საქართველოს შორის შეიარაღებული შეჯახება, რომელიც უფრო მიაგავდა ნამდვილ ომს. ეს იყო პირველი შემთხვევა სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. ამ ომის ორგანიზატორები იყვნენ ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიები, პირველ რიგში მენშევიკები და დაშნაკები. ნაციონალისტურმა პარტიებმა თავიანთი ვერაგული შოვინისტური პოლიტიკით ამიერკავკასიის ხალხებს შორის არსებული ისტორიული მეგობრობა მნიშვნელოვნად შეარყიეს.

აფასებდა რა ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიების ნაციონალური პოლიტიკის შედეგებს, ი. ბ. სტალინი 1921 წლის 6 ივლისს თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამბობდა: „ახლა, თბილისში ჩამოსვლისას, გამაოცა იმან, რომ ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის აღარ არის წინანდელი სოლიდარობა. მუშებსა და გლეხებში განვითარებულია ნაციონალიზმი, გაძლიერებულია უნდობლობის გრძნობა თავისი სხვადასხვა ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და ყოველგვარი სხვა ნაციონალიზმი ახლა ჭარბზე ჭარბადაა. ძმური ნდობის ძველი კავშირი გაწყვეტილია, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შესუსტებულია. ჩანს ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია... საკვირველი არ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება ნაციონალიზმის შხამით მოწამლული აღმოჩნდა“[1].

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 104—105.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების მიერ ბურჟუაზიულ კლასობრივი პოლიტიკის გატარებამ და მრავალმა რეპრესიამ გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, გამოიწვია საპასუხო ტალღა მუშებისა და გლეხების მხრივ. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს რევოლუციური მოძრაობა საქართველოში. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აქ ხშირად ეწყობა გაფიცვები, მატულობს საგაფიცვო ბრძოლებში მუშების შეუპოვრობა. მარტო 1918 წლის პირველ ნახევარში საქართველოში მოეწყო 60-მდე მუშათა გაფიცვა და მიტინგი, რომლის მონაწილეთა საერთო რიცხვი რამდენიმე ათეულ ათას კაცს აღწევდა.

კიდევ უფრო მწვავე ხასიათს ატარებდა მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლები. გლეხები, რომლებიც თითქმის იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მიწის სივიწროვის მხრივ, როგორც ბატონყმობის დროს[1], განუწყვეტლივ აწყობდნენ შეიარაღებულ გამოსვლებს. 1918 წლის განმავლობაში საქართველოში 20-ზე მეტ შეიარაღებულ გამოსვლას ჰქონდა ადგილი. მათს შორის აღსანიშნავია შეიარაღებული აჯანყება ლეჩხუმში, ცხინვალში, დუშეთის მაზრაში, საჩხერეში, სამეგრელოში, აფხაზეთში და სხვ. ზოგიერთ ადგილებში აჯანყებულებმა გამოაცხადეს მუშებისა და გლეხების რევოლუციური ხელისუფლება და ინარჩუნებდნენ მას მთელი თვეობით.

1918 წელს გლეხთა პირველ შეიარაღებულ გამოსვლას ადგილი ჰქონდა ლეჩხუმის მაზრაში. იგი დაიწყო თებერვლის მეორე ნახევარში: აჯანყებულებმა დაიკავეს სამაზრო ცენტრი — ცაგერი, დაამხეს იქ მენშევიკების ადგილობრივი ხელისუფლება და შექმნეს საბჭოების ძალაუფლება. სამაზრო სამხედრო რევოლუციური შტაბის ხელმძღვანელობით აჯანყება მალე მაზრის უკლებლივ ყველა სოფელს მოედო.

მიწისათვის, თავისუფლებისათვის ლეჩხუმელი გლეხების ბრძოლა მენშევიკებმა შეაფასეს, როგორც „ბნელი ძალების

[1] ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-მემამულურმა მთავრობამ 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მაისამდე სამჯერ განიხილა მიწის რეფორმის საკითხი. მაგრამ ეს საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა.

უწესო მოქმედება“ და წესიერების აღდგენის მიზნით მაზრა კანონს გარეშე გამოაცხადეს. როგორც ბოლშევიკური გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“[1] წერდა, ეს ნიშნავდა „...მაზრის მცხოვრებლების ყოველგვარი უფლების გაბათილებას, მათი ხოცვა-გლეჯის, დარბევა-გადაწვის თავისუფლების აღიარებას“[2], მაზრის კანონს გარეშე გამოცხადებამ ვერ გატეხა აჯანყებული გლეხების გადაწყვეტილება—ბოლომდე მიეყვანათ მიწისათვის, თავისუფლებისათვის დაწყებული ბრძოლა.

„დემოკრატიისათვის“, „სოციალიზმისათვის“ მებრძოლმა მენშევიკებმა აჯანყების ჩასაქრობად გამოიყენეს ჯარის ნაწილები. აჯანყებულები თითქმის მთელი თვენახევრის განმავლობაში სისხლით იცავდნენ მათ მიერ შექმნილ საბჭოების ხელისუფლებას. უთანასწორო ბრძოლა აპრილის პირველ რიცხვებში დამარცხებით დამთავრდა. ერთი თვის შემდეგ, მაისის პირველ ნახევარში ლეჩხუმელი გლეხები კვლავ აწყობენ შეიარაღებულ აჯანყებას. ეს თავისი მასშტაბით კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე თებერვალ-მარტის აჯანყება. მაზრაში აჯანყებულებმა ხელმეორედ აღადგინეს საბჭოების ძალაუფლება. ამჯერად ბრძოლა აჯანყებულ გლეხებსა და ჯარის ნაწილებს შორის თითქმის სამთვე ნახევარს გრძელდებოდა. აგვისტოს ბოლოსათვის აჯანყება დამარცხებით დამთავრდა.

მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელეს სამხრეთ-ოსეთის მშრომელმა გლეხებმა, რომლებმაც აჯანყების დროშა აღმართეს 1918 წლის თებერვალში[3]. აჯან-

---

[1] გაზ. „ჩვენი ბრძოლა“ იყო რსდმპ(ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ორგანო. გამოდიოდა ქუთაისში 1918 წლის 8 მარტიდან. მენშევიკების მიერ ამ გაზეთის დარბევის შემდეგ, 8 აპრილიდან არალეგალურად გამოდის გაზ. „მუშის ბრძოლა“.

[2] გაზ. „ჩვენი ბრძოლა“, 1918 წლის 8 მარტი.

[3] აჯანყების მოწყობაში დიდი როლი შეასრულა სამხრეთ ოსეთის გლეხთა რევოლუციურმა კავშირმა, რომელიც შეიქმნა 1917 წლის 23 აგვისტოს გ. კულუმბეგოვის, ი. ბერუაშვილის, ი. ხარებოვის, გ. პაპუაშვილის და ზ. ვალიევის ხელმძღვანელობით. იხ. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1956 წლის 30 მაისი.

ება დაიწყო სოფ. ყორისში. მარტის შუა რიცხვებში თბილისიდან აჯანყების ჩასაქრობად ოსეთში გაიგზავნა მენშევიკური სახალხო გვარდიის დიდი შენაერთი, რომელიც შეიარაღებული იყო ტყვიამფრქვევებითა და არტილერიით. აჯანყებულების შეუპოვრობა იმდენად დიდი იყო, რომ მიუხედავად მტრის რიცხვობრივი და შეიარაღების მხრივ უპირატესობისა სასტიკად დაამარცხეს იგი და შეტევა გააგრძელეს ცხინვალის (ამჟამად სტალინირი) მიმართულებით. 18 მარტს ცხინვალი ხელთ ჩაიგდეს აჯანყებულებმა და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღესვე თბილისიდან გაიგზავნა აჯანყების ჩასაქრობად ჯარის გაცილებით უფრო დიდი შენაერთი, ვიდრე პირველ შემთხვევაში. აჯანყება არაადამიანური სისასტიკით იქნა ჩახშობილი. მენშევიკებმა თავისუფლებისათვის მებრძოლი ოსი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალი სისხლიანი ფურცლები ჩასწერეს თავიანთ ხანმოკლე, მაგრამ ქართველი ხალხისათვის მუდამ ავად მოსაგონარ ისტორიაში.

თავისი მასშტაბით და შეუპოვრობით გლეხთა დიდ აჯანყებას ადგილი ჰქონდა აფხაზეთში. იგი დაიწყო 1918 წლის 18 თებერვალს და მოედო მთელ აფხაზეთს. აჯანყების შედეგად, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოხუმის ოლქის სამხედრო რევოლუციური კომიტეტი[1], დამხობილ იქნა ხელისუფლების ადგილობრივი მენშევიკური ორგანოები და დამყარდა საბჭოების ხელისუფლება თითქმის მთელს აფხაზეთში. სოხუმში საბჭოთა ხელისუფლებამ იარსება თვენახევარი. იყო ისეთი რაიონიც, სადაც საბჭოების ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტ ხანს იარსება.

აფხაზეთის ამბებმა მალე საგონებელში ჩააგდო არა მარტო მენშევიკური მთავრობა, არამედ მისი საზღვარგარეთელი პატრონებიც. აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნილ იქნა ჯარის ნაწილები. მათ აჯანყებულების წინააღმდეგ განახორ-

---

[1] სოხუმის ოლქის სამხედრო რევოლუციურ კომიტეტს ჰქონდა საკუთარი გაზეთი „სოხუმსკაია პრავდა". იგი გამოდიოდა 1917 წლის 16 აპრილიდან 17 მაისამდე.

ციელეს ერთდროული შეტევა ხმელეთიდან და ზღვიდან. „მთელი აფხაზეთი — დიდი და პატარა — აჯანყდა სამხრეთიდან მოსულ დამპყრობთა ორიათასიანი ბანდის წინააღმდეგ და უკვე 8 დღეა იცავს სოხუმის მისადგომებს 20 ვერსზე სოხუმის სამხრეთით"[1], — წერდა იმ დღეებში სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, ეშბა.

აჯანყებულების შეუპოვარი წინააღმდეგობა, რაც 1918 წლის მაისამდე გაგრძელდა, გატეხილ იქნა, რასაც მოჰყვა მკაცრი რეპრესიები მთელი აფხაზეთის მოსახლეობის წინააღმდეგ.

გლეხთა დიდ შეიარაღებულ გამოსვლას ჰქონდა ადგილი სამეგრელოში. იგი დაიწყო 1918 წლის აპრილის პირველ რიცხვებში და მალე მოედო მთელ სამეგრელოს. აჯანყება სამეგრელოს მაზრების მთელ რიგ სოფლებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა. მენშევიკური მთავრობა მყისვე შეუდგა ზომების მიღებას გლეხთა შეიარაღებული გამოსვლების ჩასაქრობად. მენშევიკურმა მთავრობამ სამეგრელოში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა ცნობილი იეზუიტის კონიაშვილისა და ოსი ხალხის ჯალათის ჯუღელის მეთაურობით კბილებამდე შეიარაღებული რაზმი. აჯანყება გადაიქცა ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად, სისხლისმღვრელ შეტაკებად ერთი მხრივ აჯანყებულ გლეხებსა და მეორე მხრივ მძიმე არტილერიითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ მენშევიკური მთავრობის ჯარს შორის. გლეხების შეუპოვარი წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. მენშევიკებმა შეიარაღებული სამხედრო ძალების დახმარებით შესძლეს მიწისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლ სამეგრელოს მშრომელ გლეხობაზე გამარჯვება. აი რას წერდა სამეგრელოში გლეხთა აჯანყების ჩაქრობის შესახებ 1918 წლის 1 ოქტომბერს გენერალი გედევანოვი მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარისათვის გაგზავნილ დეპეშაში: „ბოლშევიკური გამოსვლები სენაკისა და ზუგდიდის მაზრებ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 104.

ში საბოლოოდ ჩამქრალია. აჯანყების მეთაურების უმრავლესობა დაპატიმრებულია"[1].

მაგრამ სამეგრელოს გლეხებს მაინც არ დაუყრიათ იარაღი. აჯანყებულთა ნაწილი აფხაზეთში გადავიდა და აფხაზეთის მშრომელებთან ერთად გააგრძელა მენშევიკების რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. აჯანყებულთა მეორე ნაწილი პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის წინადადებით 1918 წლის ივნისის ბოლოს საშა გეგეჭკორის ხელმძღვანელობით გადავიდა მამისონის უღელტეხილით თერგის ოლქში, იმ დროს დუშეთში დაწყებული გლეხთა აჯანყებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. გეგეჭკორის რაზმმა რამდენიმე ასეული კილომეტრი გაუგონრად მძიმე ბრძოლებით გაიარა. თერგის ოლქიდან გეგეჭკორის რაზმი, რომელსაც შეუერთდა შემდეგში რაჭისა და ლეჩხუმის აჯანყებული გლეხებიც, საქართველოს სამხედრო გზით გადმოვიდა დუშეთის მაზრაში, რათა დახმარება გაეწია დუშეთის აჯანყებული გლეხებისათვის. ყაზბეგთან გეგეჭკორის რაზმს მოუხდა ბრძოლა მენშევიკური მთავრობის რეგულარულ ჯარის ნაწილებთან, რომლებიც თავისი შემადგენლობით ათჯერ აღემატებოდნენ გეგეჭკორის რაზმს. აჯანყებულები იძულებული გახდნენ დაეხიათ თერგის ოლქში, სადაც მათ, იმყოფებოდნენ ზრა პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის განკარგულებაში, დიდი როლი შეასრულეს თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებული კონტრრევოლუციური ყაზახების და თეთრი ოფიცრების წინააღმდეგ ბრძოლაში[2].

დუშეთის მაზრის გლეხთა დიდ აჯანყებას, რომელიც დაიწყო 1918 წლის ივნისის შუა რიცხვებში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ რაიონებში, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება მოჰყვა. აჯანყებულები მთელი თვის განმავლობაში იცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას ამ მაზრის მთელ

---

1 საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფ. 142, ფურც. 242.

2 ს. გეგეჭკორის რაზმს კავკავის ბოლშევიკების ორგანომ „ტერსკაია პრავდამ" გლეხთა „სოციალისტური რაზმი" უწოდა. იხ. 1918 წლის 5 ივლისის ნომერი.

ტერიტორიაზე. დუშეთის აჯანყება თითქმის მცხეთამდე გავრცელდა და თვით თბილისსაც ემუქრებოდა. მაგრამ მენშევიკებმა მალე გამოიყენეს მთელი თავიანთი ძალები, როგორც სახალხო გვარდია, ისე ჯარი, არტილერია, კავალერია, გამოიყენეს გერმანიის თვითმფრინავები და მხოლოდ ამ გზით შესძლეს აჯანყების დამარცხება და მაზრაში მენშევიკური რეჟიმის აღდგენა[1].

საქართველოში, ამ წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ასეთი ფართო და შეუპოვარი ხასიათი აიხსნება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ გლეხებმა ვერ მიიღეს მიწები, რომლისთვისაც ისინი საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ და სისხლსა ღვრიდნენ. მენშევიკების ფუჭი დაპირებანი გლეხებისათვის მიწის გადაცემის შესახებ, ცხადია ვეღარ დააკმაყოფილებდა მათ. ისინი მოითხოვდნენ არა დაპირებებს, არამედ მიწებს. მენშევიკების მიერ გატარებული ბურჟუაზიულ-აგრარული რეფორმა კი მიმართული იყო გლეხების წინააღმდეგ.

საქართველოს მშრომელ გლეხობაზე დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა საბჭოების სრულიადრუსეთის II ყრილობის მიერ მიღებულმა დეკრეტმა მიწის შესახებ, რომლის მიხედვით გაუქმებულ იქნა მიწის მემამულური საკუთრება. ეს კანონი მალე გახდა ცნობილი საქართველოს მშრომელი გლეხობისათვის.

აი რატომ დაიწყეს გლეხებმა ბატონყმური ნაშთების საყრდენებზე გადამწყვეტი იერიში. აი რატომ გამოუცხადეს მათ შეუპოვარი ბრძოლა მენშევიკების, ამ წვრილბურჟუაზიული პარტიის რეჟიმს.

მენშევიკური მთავრობისათვის სახარბიელო სურათს არც ჯარის ნაწილებში ჰქონდა ადგილი. მუშებთან და გლეხებთან ერთად ხშირად აწყობდნენ გამოსვლას ჯარისკაცებიც. ხშირად ეს გამოსვლები მენშევიკური მთავრობისათვის მრისხანე მასშტაბს ღებულობდა. ასე მაგალითად, 1918 წლის თე-

1 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი 1917—1918 წლებში, იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის „შრომები", № 1, გვ. 27, 1948. წ.

ბერვალს ქუთაისში მოხდა ბოლშევიკური პოლკების აჯანყება. აჯანყებულებმა ხელთ ჩაიგდეს ქალაქი. მაგრამ მენშევიკებმა მალე შესძლეს აჯანყებულთა წინააღმდეგ მთავრობის ერთგული სამხედრო ნაწილების გამოყვანა და აჯანყების ჩაქრობა.

საქართველოში მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ასეთი მძლავრი აღმავლობის ვითარებაში ბაქოს გმირი პროლეტარიატის ბრძოლები საბჭოთა ხელისუფლებისათვის აპრილის პირველ რიცხვებში გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ბაქოს პროლეტარიატის ამ ისტორიული გამარჯვების შესახებ სტ. შაუმიანი 1918 წლის 13 აპრილს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სწერდა: „ამიერკავკასია შევიდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიური შეიარაღებული ბრძოლის პერიოდში. სამი დღის განმავლობაში — 30 და 31 მარტს და პირველ აპრილს ქალ. ბაქოში გააფთრებული ბრძოლა იყო. იბრძოდნენ, ერთი მხრით, საბჭოთა წითელი გვარდია, ჩვენ მიერ შექმნილი წითელი ინტერნაციონალური არმია, წითელი ფლოტი, რომლის რეორგანიზაციაც ჩვენ მოვახერხეთ მოკლე ვადაში... მეორე მხრით, ველური... დივიზია, რომელშიც ბევრი რუსი ოფიცერია, და ბანდები... რომელთაც „მუსავატის“ პარტია ხელმძღვანელობდა. ორივე მხრიდან ქალაქის ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა 20.000-ზე მეტი კაცი... მოწინააღმდეგე მთლიანად და სავსებით განადგურებულ იქნა“[1].

მართალია, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება ივლისის ბოლოს შინაგანმა კონტრრევოლუციურმა ძალებმა და უცხოელმა ინტერვენტებმა დაამარცხეს, ხოლო მისი ორგანიზატორები—26 ბოლშევიკი კომისარი—ჩვენი პარტიისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები ბარბაროსულად დახვრიტეს ინგლისის იმპერიალიზმის აგენტებმა, მაგრამ ამიერკავკასიის პროლეტარულ ცენტრში — ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დიდი გამარე-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის შრომები XII, გვ. 120, 1948 წ.

ვოლუციონერებელი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის მუშებზე და გლეხებზე, განსაკუთრებით საქართველოს მუშებზე და გლეხებზე. მან ხელი შეუწყო ბრძოლებში მათი შეუპოვრობის ამაღლებას.

მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლებისათვის ხელმძღვანელობას ბოლშევიკები ორგანულად უხამებდნენ პარტიულ-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას. პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების ხელმძღვანელობითა და დახმარებით საქართველოში ტარდება მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებას და პარტიის წევრთა რიცხობრივ ზრდას.

1918 წლის 20—23 თებერვალს ქუთაისში ჩატარდა რსდმპ(ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის ორგანიზაციების კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 60 დელეგატი. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო პარტიის 6000-ზე მეტი წევრი. კონფერენციამ განიხილა მთელი რიგი ორგანიზაციული და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი. კონფერენციამ აირჩია რსდმპ(ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის კომიტეტი.

ამავე პერიოდში ბათუმში ტარდება ბათუმის ოლქისა და დასავლეთ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების კონფერენცია.

ძლიერ ორგანიზაციად ითვლებოდა ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია. მისი მხრივ 1918 წლის იანვარ-თებერვალში ადგილი ჰქონდა ბათუმში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ცდას. მაგრამ მენშევიკებმა ამჯერადაც იხსნეს თავი დამარცხებისაგან[1]. ამის შემდეგ ბათუმში ძლიერი რეპრესიები დაიწყო. მიუხედავად ამისა, რსდმპ(ბ) ბათუმის კომიტეტი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. იგი სხვადასხვა დროს სცემდა საკუთარ გაზეთებს: „ბურეევესტნიკს“, „მუშის სიმართლეს“, „ხარავგის“ („ზარია“ — ბერძნულ ენაზე).

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი, 1917—1921 წლებში, იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, № 1, გვ. 54, 1948 წ.

1918 წლის აპრილიდან პარტიის თბილისის კომიტეტი არალეგალურად სცემს რუსულ ენაზე რკპ(ბ) ბიულეტენს, რომელიც თითქმის გაზეთის ფორმატისა იყო. ბიულეტენის გამოცემას ხელმძღვანელობდა მ. ცხაკაია. ბიულეტენი გამოდიოდა აგვისტომდე. გამოვიდა სულ 11 ნომერი. აპრილიდან გამოსვლას იწყებს აგრეთვე პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანო „კავკაზსკაია რაბოჩაია პრავდა". საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები ჰქონდათ აგრეთვე პარტიის ქუთაისისა და სოხუმის ორგანიზაციებს. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები გაზეთებს სცემდნენ აგრეთვე 1918 წლის მეორე ნახევრიდანაც.

პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების, პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით 1918 წელს საქართველოს მთელ რიგ ადგილებში იქმნება „სპარტაკის" ორგანიზაციები. გაზაფხულზე „სპარტაკის" ორგანიზაციები იქმნება ახალ სენაკში, შემდეგ კი 1918 წლის ბოლოს, ზუგდიდში, მარტვილში და ლანჩხუთში. 1918 წლის მაისში „სპარტაკის" დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობით შემდგარმა კონფერენციამ აირჩია საგუბერნიო ბიურო, რომელსაც დაევალა დასავლეთ საქართველოს „სპარტაკის" ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება და მათთვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა. საოლქო ბიუროს დაევალა აგრეთვე მჭიდრო ურთიერთობის დამყარება „სპარტაკის" თბილისის ორგანიზაციებთან.

დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რკპ(ბ) სოხუმის საოლქო კომიტეტი. აჯანყების დღეებში იგი ასრულებდა სოხუმის ოლქის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის ფუნქციებს. საგრძნობ მუშაობას აწარმოებდა რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის საორგანიზაციო ბიურო, რომელიც შეიქმნა 1918 წლის ივლისის ბოლოს.

რამდენადაც იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა და პარტიული მუშაობა საქართველოში, იმდენად მენშევიკები აძლიერებდნენ რეპრესიებს. ისინი სახავენ ღონისძიებათა მთელ სისტემას მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძ-

რაობის წინააღმდეგ, ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. 14 მაისს მენშევიკებმა, ე. წ. ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით, „გარეგანი საფრთხისაგან საქართველოს უზრუნველყოფის“ საფარით მოიწვიეს კაიზერის გერმანიის ჯარები გენერალ გოფმანის სარდლობით. უკვე ივნისის პირველ რიცხვებში გერმანიის ჯარის ნაწილები ჩამოდიან თბილისში. ამასთან დაკავშირებით მენშევიკურმა მთავრობამ 13 ივნისს მოსახლეობას აუწყა, რომ თბილისში ჩამოსული გერმანელთა ჯარის ნაწილები მოწვეულია თვით საქართველოს მთავრობის მიერ და მიზნად ისახავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების დაცვას. საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებელი საქართველო მალე გადაიქცა იმპერიალისტური გერმანიისაგან დამოკიდებულ რესპუბლიკად.

ვ. ი. ლენინმა გერმანელთა ჯარების შემოსვლა საქართველოში შეაფასა, როგორც მისი „ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“[1].

გერმანელი ჯარების დახმარებით მენშევიკებმა საქართველოში მალე დაამკვიდრეს უსასტიკესი რეჟიმი. თბილისში ჩამოსვლის მესამე დღეს ქართულ ნაწილებთან ერთად გერმანელთა ორი ეშელონი გაგზავნილ იქნა ბორჩალოს მაზრაში, მაგრამ არა საქართველოს საზღვრების დასაცავად, არამედ ამ მაზრის მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ, რომლებმაც პროტესტის ხმა აღიმაღლეს ადგილობრივ მემამულეთა წინააღმდეგ. როგორც გერმანიის ჯარის ოპერატიულ ცნობა № 1-ში ვკითხულობთ, „ქართველმა და გერმანელმა ჯარებმა იერიშები (იგულისხმება გლეხების წინააღმდეგ — გ. ჟ.) შეთანხმებით და ენერგიულად ჩაატარეს“[2]. ამის შემდეგ გერმანელთა ჯარის ნაწილები ხშირად ღებულობდნენ მონაწილეობას საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 8.
[2] გაზ. „ერთობა“, 1918 წლის 18 ივნისი.

მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ თითქმის ყველა დიდ თუ პატარა ოპერაციაში.

რეპრესიების სისასტიკე პირველ რიგში თავს ატყდებოდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რის გამოც ისინი 1918 წლის მეორე ნახევრისათვის არალეგალურ მდგომარეობაზე გადადიან. პარტიის სამხარეო კომიტეტის მთელი რიგი წევრები მახარაძე, ქავთარაძე, თოდრია, ნაზარეტიანი, მრავიანი და სხვ. ივნისის დამდეგს გადადიან ვლადიკავკაკში[1], სადაც უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. თბილისში კი დარჩა სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიურო მ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით.

მიუხედავად უსასტიკესი რეპრესიებისა სამხარეო კომიტეტის ბიუროს ხელმძღვანელობით მუშათა გაფიცვები და მიტინგები 1918 წლის მეორე ნახევარში ფართო ხასიათს ღებულობს. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მუშებსა და მეწარმეებს შორის წინააღმდეგობა. კერძოდ თბილისში 1918 წლის ბოლო თვეებში ყოველდღიურად საშუალოდ 180-დე კონფლიქტს ჰქონდა ადგილი მუშებსა და მეწარმეებს შორის. თითქმის ასევე ხშირად ეწყობოდა მეწარმეთა წინააღმდეგ მუშების გამოსვლები ქუთაისში, სოხუმში და ბათუმში. გრძელდებოდა გლეხთა შეიარაღებული გამოსვლებიც. „საქართველოში გლეხთა აჯანყება გრძელდება“[2],— წერდა ს. ორჯონიკიძე ვლადიკავკაკიდან 1918 წლის 15 სექტემბერს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში.

მართალია, მუშათა და გლეხთა 1918 წლის ბრძოლები დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლებმა ცხადჰყვეს, თუ რამდენად დიდი იყო საქართველოს მშრომელების აღშფოთება მენშევი-

---

1 თბილისის ბიურო შეიქმნა პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით მაისში, სამხარეო კომიტეტის ვლადიკავკაკში გადასვლასთან დაკავშირებით.

2 სსრ კავშირის ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფ. 130, აღწ. 2, საქმე 569, ფ. 31.

კური რეჟიმის წინააღმდეგ, თუ რამდენად დიდი იყო პროტესტის ტალღა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, რომლებმაც წინააღმდეგ ხალხის სურვილისა, საბჭოთა რუსეთს ძალით მოსწყვიტეს საქართველო და დაამყარეს აუტანელი რეჟიმი. ამ პერიოდის ამბები ცხადჰყოფდნენ აგრეთვე ბოლშევიკების სულ უფრო და უფრო მზარდ ავტორიტეტს საქართველოში.

1918 წელს საქართველოში გაშლილი რევოლუციური მოძრაობა ნიშნავდა მენშევიკური რეჟიმის კრიზისს. ამ კრიზისმა მოამზადა პირობები მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მუშებისა და გლეხების უფრო გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

ამრიგად, მენშევიკური მთავრობის შინაგან ძლიერებას სულ უფრო და უფრო ეთხრებოდა ძირი. მენშევიკებმა დაკარგეს საკუთარი ძალების იმედი. მათთვის ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა გერმანელთა ჯარი. მაგრამ ეს უკანასკნელიც ვერ აღმოჩნდა სავსებით საიმედო მენშევიკებისათვის. 1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ანტანტის ჯარების მიერ ავსტრია-გერმანიის კოალიციის ჯარების განადგურებამ, რევოლუციამ გერმანიაში, წითელი არმიისა და აჯანყებული ხალხის მიერ გერმანელი ოკუპანტების განდევნამ უკრაინის ტერიტორიიდან — ყველაფერმა ამან გამოიწვია გერმანელი ოკუპანტების გაქცევა საქართველოდან.

მენშევიკური მთავრობა იძულებული ხდება ორიენტაცია აიღოს ანტანტის ქვეყნებზე — ინგლისზე და საფრანგეთზე. გერმანელთა ჯარების გასვლასთან ერთად „საკუთარი ბედის ამარა დარჩენილ“ საქართველოში შემოსვლა იწყო ინგლისის, შემდეგ იტალიის, საბერძნეთის, ხოლო შემდეგ საფრანგეთის ჯარებმა.

საბჭოთა რუსეთისაგან ხელოვნურად მოწყვეტილი და „დამოუკიდებლად“ გამოცხადებული საქართველო სავსებით დამოკიდებული აღმოჩნდა ანტანტის სახელმწიფოების იმპერიალისტებზე.

ყველაფერი ეს მენშევიკური მთავრობის მტკიცებით კეთდებოდა ვითომცდა ქართველი ხალხის სასარგებლოდ, „დე-

მოკრატიული საქართველოს. ინტერესებისათვის". ანტანტის სახელმწიფოებთან საქართველოს მენშევიკური მთავრობის ამგვარმა კავშირმა, რომელიც უფრო მიაგავდა „მონებისა და ლაქიების"კავშირს „თავიანთ ბატონებთან", ვიდრე სახელმწიფოთა კავშირს, კოშმარული სურათი შექმნა საქართველოში.

* * *

1919 წელს მოვლენათა განვითარება საქართველოში კიდევ უფრო ჩქარი ხდება. კვლავ, კიდევ უფრო ახალი ძალით გრძელდება მუშებისა და გლეხების ბრძოლა. 1919 წლის დასაწყისიდანვე ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თბილისის ფაბრიკებსა და ქარხნებში ეწყობა მუშათა მიტინგები, საპროტესტო კრებები და დემონსტრაციები. მარტო თბილისის საწარმოებში საშუალოდ თვეში მუშათა 3—4 გაფიცვა ეწყობოდა.

თავისი მასშტაბით ყველაზე დიდი და საგულისხმო იყო თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც დაიწყო 1919 წლის 24 მარტს. მენშევიკურმა მთავრობამ გაფიცვის ჩასაქრობად დაუყოვნებლივ მიიღო საჭირო ზომები. პირველ ხანებში მთავრობა შეეცადა გაფიცვა ჩაექრო მშვიდობიანი გზით, დაპირებების საშუალებით. მაგრამ, როცა ამ გზით ვერ მიაღწია გაფიცვის ჩაქრობას, მთავრობამ მუქარას მიმართა. მაგრამ, როცა მუქარაც არა საკმაო აღმოჩნდა, მთავრობამ გაფიცულების წინააღმდეგ ძალდატანებითი ზომები, რეპრესიები გამოიყენა.

მიუხედავად მთავრობის მიერ მიღებული ამგვარი ზომებისა, გაფიცვის ჩაქრობა ვერ მოხერხდა. გაფიცულებმა დიდი მხარდაჭერა ჰპოვეს თბილისის სხვადასხვა დარგის მუშების მხრივ. მუშათა ცალკეულ კავშირებს გამოჰქონდათ მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებშიც ისინი თანაგრძნობას უცხადებდნენ გაფიცულებს და პირდებოდნენ მათ მორალური და მატერიალური დახმარების გაწევას ყველა ზომით, თვით გაფიცვის გამოცხადებითაც კი. ასეთი რეზოლუციები გამოიტანეს შემდეგმა კავშირებმა: მელითონეების, მეტყავეების, ქალაქთა კავშირმა, მრეცხავებისა და მღებავების, ფარმაცევ-

ტების, ელექტრიკოსების, „ნემსის პროლეტარების“, მჭედავების და სცენის მოღვაწეების კავშირებმა[1].

თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვამ განსაკუთრებით დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ბაქოს პროლეტარიატის მხრივ. თბილისის გაფიცვის შესახებ განიხილეს საკითხი და სათანადო რეზოლუციები გამოიტანა ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმმა, მუშათა კონფერენციის პლენუმმა, ამიერკავკასიის, დაღისტანისა და იმიერკავკასიის პროფესიული კავშირების ყრილობამ (1919 წლის 15 აპრილი), ბაქოს პროფესიული კავშირების საბჭოს კომიტეტის პრეზიდიუმმა.

ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმი უგზავნის თავის მხურვალე სალამს თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებსა და მუშებს, რომლებიც გაფიცულნი არიან თავისი სამართლიანი მოთხოვნებისათვის. ბაქოს პროლეტარიატი ყოველთვის დაგიჭერთ მხარს და თქვენთან იქნება თქვენს ბრძოლაში“[2].

დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო სხვა რეზოლუციებიც, რომლებსაც ბაქოში ღებულობდნენ.

თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვა გაგრძელდა თითქმის მთელი თვენახევარი. გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.

საქართველოს სხვა ადგილებშიც არ იყო სიმშვიდე და უმოძრაობა. გაფიცვებსა და მიტინგებს ადგილი ჰქონდა ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ხაშურში და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშების საკმაოდ დიდი ნაწილის პოლიტიკური შეგნებულობის დონე კვლავ დაბალი რჩებოდა. შეუპოვარ ხასიათს ღებულობს მშრომელი გლე-

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი 1917—1921 წლებში, იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები № 81, გვ. 38—39, 1948 წ.

[2] ციტირებულია ფ. მახარაძის სტატიის — „საქართველოს მუშათა კლასი 1917—1928 წლებში“ მიხედვით. იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქართველოს ფილიალის შრომები № 1, 1948 წ. გვ. 43.

ნობის ბრძოლა. საქართველოს მთელ რიგ მაზრების სოფლებში გლეხები აწყობენ შეიარაღებულ გამოსვლებს.

დიდი გამოცოცხლება და დარაზმულობა დაეტყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, თუმცა 1919 წლის დასაწყისისათვის პარტიის წევრთა რაოდენობა, რეპრესიების შედეგად, ბევრად შემცირდა. პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა 1919 წლის იანვარში რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადმოსვლამ ვლადიკავკაზიდან თბილისში.

1919 წლის დასაწყისისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრის ა. მიქოიანის ვრცელი წერილი, რომელიც მან 1919 წლის 22 მარსს ბაქოდან გაუგზავნა რკპ(ბ) ცკ-ს, პირადად ვ. ი. ლენინს.

ა. მიქოიანი წერდა: „პარტიის მუშაობა მიმდინარეობს არალეგალურ პირობებში. ჩვენი ამხანაგებიდან ბევრი ციხეებში ზის. პარტიის რიგებში ირიცხება 4.000-მდე მუშა და ვლეხი"[1].

ა. მიქოიანის წერილი როდი ეხებოდა მარტო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობას. მასში შესანიშნავად იყო აგრეთვე გადმოცემული პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებისა და მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის სურათი მთელს ამიერკავკასიაში.

მიუხედავად რეპრესიებისა, 1919 წლის დასაწყისიდან წარმატებით მიმდინარეობდა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების მშენებლობა საქართველოში. 1919 წლის იანვარში „სპარტაკის" ორგანიზაციები იქმნება ოზურგეთსა და ჩოხატაურში. 1919 წლის დასაწყისში „სპარტაკის" პირველი ორგანიზაციები შეიქმნა სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგაში. დაახლოებით ამ ხანებში იქმნება „სპარტაკის" ორგანიზაციები თელავის მაზრაში. 1919 წლის დასაწყისისათვის „სპარტაკის" ორგანიზაცია ჩამოყალიბდა სამხრეთ ოსეთშიც — ჯავის რაიონში.

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 461, საქმე 45452, ფ. 1.

1919 წლის აპრილის პირველ რიცხვებში „სპარტაკის“ ორგანიზაციების თბილისის პირველი საერთო-საქალაქო კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს საქართველოში. კონფერენციაზე არჩეულ იქნა კომკავშირის თბილისის კომიტეტი, რომელიც პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით აპრილის ბოლოს გადაკეთდა „ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკის“ ამიერკავკასიის დროებით ცენტრალურ კომიტეტად“. კომკავშირის ამიერკავკასიის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი მოღვაწეობის მანძილზე, რაც დაახლოებით 5 თვეს გრძელდებოდა, ძრავალი მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა. მისი ინიციატივით 1919 წლის 22 სექტემბერს ბაკოში შედგა ამიერკავკასიის რევოლუციური ახალგაზრდობის პირველი საოლქო კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენცია მიმდინარეობდა ამხანაგ ანასტას მიქოიანის ხელმძღვანელობით. იგი მიესალმა კონფერენციას რკპ(ბ) ბაქოს კომიტეტის სახელით. კონფერენციის მუშაობაში ხელმძღვანელი მონაწილეობა მიიღო ბორის ძნელაძემ. იგი გამოდიოდა კონფერენციის დღის წესრიგის თითქმის ყველა საკითხის გარშემო გამართულ კამათში. კონფერენციამ საპატიო თავმჯდომარეებად აირჩია ლენინი, ლუნაჩარსკი და მიხა ცხაკაია. მუშაობის დაწყების წინ კონფერენციამ მიიღო მისალმების დეპეშა ამხანაგ მიხა ცხაკაიასაგან, რომელიც მაშინ თბილისში მეტეხის ციხეში იმყოფებოდა.

კონფერენციამ შეაჯამა ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების განვლილი მუშაობის შედეგები და განიხილა მომავალ მუშაობასთან დაკავშირებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები.

კონფერენციის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საკითხმა მუშა ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ მიმდინარე მომენტთან დაკავშირებით. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხანაგმა მიქოიანმა. მან თავის მოხსენებაში დი-

და ადგილი დაუთმო ახალგაზრდობის როლს რევოლუციაში და ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც კონფერენციამ განიხილა, იყო ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების ორგანიზაციული გაერთიანებისა და მათი სახელწოდების შეცვლის საკითხი.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების ორგანიზაციული გაერთიანებისა და მათთვის საერთო სახელწოდების — „რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაციის" დარქმევის შესახებ. გარდა ამისა, ამ საკითხთან დაკავშირებით კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან მჭიდრო ორგანიზაციული კავშირის დამყარების შესახებ. კონფერენციამ ამ მიზნით მოსკოვში გაგზავნა თავისი ერთ-ერთი დელეგატი, რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის II ყრილობაზე დასასწრებლად, რომელიც უნდა შემდგარიყო ოქტომბრის პირველ რიცხვებში. კონფერენციის დავალებით ამ დელეგატს ყრილობისათვის უნდა მოეხსენებია ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების მდგომარეობისა და საოლქო კონფერენციის მუშაობის შედეგების შესახებ.

ამრიგად, საოლქო კონფერენციამ აღნიშნულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებებით ბოლო მოუღო ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების ორგანიზაციულ განცალკევებულობას და დასაბამი მისცა ამიერკავკასიისა და რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო ორგანიზაციული კავშირის დამყარებას.

კონფერენციამ ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების მთელი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და სრულიად რუსეთის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან და ამიერკავკასიის საზღვრებს გარეთ არსებულ ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან კავშირის

დასამყარებლად აირჩია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი.

საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის პირველმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც შედგა ბაქოში 1919 წლის 7—8 მაისს[1]. კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ს. ორჯონიკიძე და ა. მიქოიანი. კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები კავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობის შესახებ, მიმდინარე მომენტის შესახებ, ნაციონალურ საკითხზე, ამიერკავკასიაში პარტიული მუშაობის მდგომარეობის შესახებ და სხვ.

კონფერენციამ კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია ა. მიქოიანი, მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, გ. სტურუა, ს. ქავთარაძე და სხვ. არჩეულ იქნა აგრეთვე კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიურო[2].

კავკასიის სამხარეო კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მრავალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანია ჩაატარა. ამათაგან ერთ-ერთი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი იყო ბრძოლა საერთაშორისო კონტრრევოლუციის მიერ ზურგგამაგრებული დენიკინის წინააღმდეგ, რომელიც სამხრეთიდან უტევდა საბჭოთა რუსეთს.

როგორც ცნობილია, ანტანტის ქვეყნების მიერ ქვემეხებით, ტანკებით, თვითმფრინავებითა და სხვა სახის საომარი საშუალებებით ყოველმხრივ უზრუნველყოფილი დენიკინის ასიათასიანი არმია 1919 წლის ზაფხულში ფართო ფრონტით დაიძრა საბჭოთა რუსეთის გულისაკენ — მოსკოვისაკენ.

საბჭოთა რუსეთი კვლავ აღმოჩნდა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში. როგორც ლენინი აღნიშნავდა, დადგა სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვე-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 461, საქმე 45452, ფ. 1.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, საქმე 30, გვ. 7.

ტი მომენტი. დენიკინის შეტევის პასუხად ლენინმა 9 ივლისს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით პარტიულ ორგანიზაციებს მიმართა მგზნებარე მოწოდებით: „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

ვ. ი. ლენინის მოწოდებას მთელი ქვეყანა გამოეხმაურა. კომუნისტები და კომკავშირლები ათასობით წავიდნენ სამხრეთის ფრონტზე, დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამხრეთის ფრონტზე მიდიოდნენ პეტროგრადის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკის, იაროსლავლის, ტვერისა და სხვა ქალაქების მოწინავე მუშათა პოლკები. მშრომელი გლეხობაც ფრონტზე გზავნიდა თავის საუკეთესო ადამიანებს.

ვ. ი. ლენინის მოწოდებას გამოეხმაურნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელები, პარტიული ორგანიზაციები, ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციები. ლენინის მგზნებარე მოწოდების,—„ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად!“,— საპასუხოდ პარტიის სამხარეო კომიტეტმა და მისი მითითებით ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი რიგი ღონისძიებები დასახეს.

ივნისის პირველ რიცხვებში თბილისის კომიტეტმა, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობდა საქართველოს მთელს პარტიულ ორგანიზაციას, მოწოდებით მიმართა მუშებს, რათა გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადებიათ მენშევიკური მთავრობისა და დენიკინის თეთრგვარდიული კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ. მოწოდებაში, რომელიც იწყებოდა „გაუმარჯოს დენიკინის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას“, ვკითხულობთ: „მოითხოვეთ მთავრობისაგან დენიკინის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის გამოცხადება! მოითხოვეთ მისგან უაღრესად მკაცრი ზომების მიღება შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ! მოითხოვეთ მისგან, რომ დაადგეს დენიკინისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გზას!

ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრებისათვის არ შეიძლება არსებობდეს მერყეობა და ეჭვი დენიკინის მიმართ. ჩვენი წმინდა მოვალეობაა ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ სისხლის უკა-

ნასკნელ წვეთამდე. ასეთია ჩვენი რევოლუციური და პარტიული მოვალეობა, მოვალეობა ჩვენი რუსეთელი ამხანაგების წინაშე, რომლებიც ეყრდნობიან რა მხოლოდ თავიანთ ძალებს, ასე თავგანწირვით, დაუღალავად, უკვე ორი წელია იბრძვიან დენიკინელი, კოლჩაკელი ბანდებისა და მათი დამხმარე იაპონია-ამერიკის, ინგლის-საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის და სხვა ჯარების წინააღმდეგ. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ რათა წმინდად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა"[1].

პარტიის თბილისის კომიტეტის ამ მოწოდების პასუხად თბილისის ფაბრიკებსა და ქარხნებში დაიწყო მუშათა საერთო კრებების ჩატარება, სადაც ღებულობდნენ რეზოლუციებს, რომლებიც მთავრობისაგან მოითხოვდა დენიკინის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გამოცხადებას.

რეზოლუციები გამოჰქონდათ როგორც თბილისის, ისე სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, ფაბრიკა-ქარხნების მუშებს. ასეთივე რეზოლუციები გამოჰქონდათ ადგილობრივ პარტორგანიზაციებსაც. რეზოლუციები სისტემატურად ქვეყნდებოდა ბოლშევიკური გაზეთების „ვოლნასა" და „რაბოჩის" ფურცლებზე. ამ გაზეთებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოს მშრომელ მასებში დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფართოდ გაშლის საქმეში.

დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ პარტიის მოწოდებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციებში. კომკავშირის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის სამხარეო კომიტეტის მითითებით მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომელიც ამიერკავკასიის ქალაქებისა და სოფლების პროლეტარულ ახალგაზრდობას მოუწოდებდა გარეშე და შინაგანი კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. რეზოლუცია ამიერკავკასიის მშრომელი ახალგაზრდობის სახელით საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობებისაგან მოითხოვდა რევოლუციური ომის დაუყოვ-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 3, საქმე 23, ფ. 185.

ნებლივ გამოცხადებას დენიკინის რეაქციის წინააღმდეგ, ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტას დენიკინთან და მთელი რეაქციული ძალების დაუყოვნებლივ დაპატიმრებას.

რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ამ მრისხანე მომენტში, როდესაც ამიერკავკასიის ჰორიზონტს აწვება კონტრრევოლუციის შავი ღრუბლები, როდესაც წითელი რუსეთის არმიისაგან დამარცხების შემდეგ ოდნავ გონს მოსული დენიკინის ბრბოები ანტანტის იმპერიალისტების აშკარა კარნახით ცდილობენ გააცამტვერონ რევოლუციის მონაპოვართა მცირე ნასახიც კი, ჩვენ, ახალგაზრდა კომუნისტები „სპარტაკის“ ორგანიზაციისა, ვგრძნობთ რა, რომ დენიკინის რეაქცია საზრდოობს ანტიპროლეტარული ძალებით (ნაგულისხმევია საქართველოს მენშევიკური მთავრობა), რომ დენიკინი წარმოადგენს ანტანტის ბრძანებათა უბრალო ამსრულებელს და, ამასთანავე, ვცნობთ რა, რომ ამიერკავკასიაში რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია საბჭოთა რუსეთის გამარჯვებაზე, რომ ამიერკავკასიის მშრომელი მასები მთელი თავისი არსებით დაინტერესებული არიან მონაწილეობა მიიღონ წითელი არმიის ბრძოლაში საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებისაგან მოვითხოვთ: 1) რევოლუციური ომის დაუყოვნებლივ გამოცხადებას დენიკინის რეაქციის წინააღმდეგ; 2) ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტას დენიკინთან; 3) მთელი რეაქციული ძალების დაპატიმრებას და დევნას; 4) ამიერკავკასიის ყველა ერის მუშათა და გლეხთა ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას.

ჩვენ მხურვალე რევოლუციური მოწოდებით მივმართავთ ყველა მშრომელს და, კერძოდ, ამიერკავკასიის ქალაქებისა და სოფლების პროლეტარულ ახალგაზრდებს, რათა გაერთიანდნენ გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისათვის.

ჩვენ მოვუწოდებთ: „ძირს დენიკინი! გაუმარჯოს რევოლუციურ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ!“

დროებითი ცენტრალური კომიტეტის ამ მოწოდებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოსა და სომხეთის ახალ-

გაზრდობის კომკავშირულ ორგანიზაციებში. ანალოგიური ხასიათის რეზოლუცია მიიღო ახალგაზრდობის მრავალმა ორგანიზაციამ, როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში.

მართალია მენშევიკური მთავრობა გარკვევით მტრულად იყო განწყობილი დენიკინის მიმართ და ამის გამო მზათ იყო ებრძოლა მის წინააღმდეგ, რამდენადაც იგი ემუქრებოდა მის „დამოუკიდებლობას"[1], მაგრამ მენშევიკურ მთავრობას ანტანტის სახელმწიფოებთან მისი დამოკიდებული მდგომარეობა იძულებულს ხდიდა მხარი დაეჭირა დენიკინისათვის. გარდა ამისა, დენიკინისათვის მხარდაჭერისაკენ მას უბიძგებდა საბჭოთა რუსეთისადმი სიძულვილი. ამიტომ ბუნებრივი იყო დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებმა, რომელთაც პარტიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით საქართველოს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ატარებდნენ, მენშევიკური მთავრობის სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია.

მენშევიკურმა მთავრობამ კვლავ დაიწყო მასობრივი რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ. მთელს საქართველოში დაიწყო დაპატიმრებები, აპატიმრებდნენ კომუნისტებს, პროფესიონალური კავშირების მოღვაწეებს, არბევდნენ მუშათა და პარტიულ ორგანიზაციებს. დაპატიმრებებს ადგილი ჰქონდა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში და საქართველოს მთელ რიგ სხვა ადგილებში. ქუთაისში დაპატიმრებულ იქნენ მ. ცხაკაია და მ. ორახელაშვილი. დარბეულ იქნა გაზეთების „ვოლნას" და „რაბოჩის" რედაქციები. აკრძალულ იქნა ამ გაზეთების გამოცემა. როგორც გაზეთი „რაბოჩი" პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში წერდა: „დემოკრატიულ" საქართველოში მენშევიკებმა ინგლისის მილიტარიზმის თვალწინ და ამ უკანასკნელის საამებლად აღადგინა შურისგებისა და მართლმსაჯულების საშუალოსაუკუნოებრივი მეთოდი, რომელიც პრაქტიკაში იყო შემოღებული მხოლოდ შავი რეაქციის ქვეყანაში და დენიკინის ბანაკში"[2].

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 461, საქმე 45452, ფ. 1.
[2] გაზ. „რაბოჩი", 1919 წლის 3 ივლისი.

მენშევიკური მთავრობის რეპრესიებმა მალე საპროტესტო ტალღა გამოიწვია. ყველგან, მუშათა კრებებზე, პროფესიონალური კავშირების სხდომებზე, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კრებებზე ქალაქად და სოფლად გამოჰქონდათ რეზოლუციები, რომლებიც მთავრობისაგან მოითხოვდნენ რეპრესიებზე დაუყოვნებლივ ხელის აღებას.

პარტიის კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა მოწოდებებით მიმართეს მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს, რათა გაეძლიერებინათ ბრძოლა მენშევიკური მთავრობის თეთრი ტერორის წინააღმდეგ. მოწოდება გამოუშვა კომკავშირის საოლქო კომიტეტმაც. ამ მოწოდებებში მენშევიკები შეფასებული არიან, როგორც ცრუ სოციალისტები, ბურჟუაზიის დაქირავებული მოჯამაგირენი, სოციალისტების ნიღაბს ამოფარებულნი, ფერადი სიტყვებით მასების გამაბრუებელნი, სოციალ-გამცემლები, როგორც მოღალატეთა და ჯალათთა ხროვა.

ეს მოწოდებები წარმოადგენდა მენშევიკებისა და მათი სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ მიმართულ ნამდვილ საბრალმდებლო აქტს. მოწოდებები გამოიცა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, და დიდი რაოდენობით გავრცელდა მთელს საქართველოში.

მიუხედავად მუშებისა და პარტიული ორგანიზაციების მიერ ასეთი ზომების მიღებისა, რეპრესიები გრძელდებოდა მთელს საქართველოში. სექტემბერში რეპრესიებმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია, როცა მოხდა თავდასხმა გენერალ ბარათოვზე, რომელიც ჩამოვიდა თბილისში, როგორც დენიკინის წარმომადგენელი[1]. თავდასხმის მოწყობაში ბრალს სდებდნენ ბოლშევიკებს. ამიტომ მარტო ერთ ღამეს მთავრობის მიერ დაპატიმრებულ იქნა 500-მდე კაცი, რომლებიც ეპყმიტანილნი იყვნენ ბოლშევიკობაში. დაპატიმრებული კო-

---

[1] თავდასხმა ბოლშევიკების გადაწყვეტილებით მოხდა. იგი განახორციელა ა. ელბაქიძემ. თავდასხმის მოწყობით ბოლშევიკები მიზნათ ისახავდნენ დენიკინსა და მენშევიკურ მთავრობას შორის მოლაპარაკების ჩაშლას. იხ. ფ. მახარაძის ნაშრომი „საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში", გვ. 191, 1927 წ.

მუსლიმანების დიდი ნაწილი გაგზავნილ იქნენ დენიკინის მოქმედების ზონაში, სადაც მათ, როგორც შემდეგში გამოირკვა, სახრჩობელებზე ჰკიდებდნენ.

მენშევიკურმა მთავრობამ ასეთი ზომები არასაკმაოდ ჩათვალა და მიიღო გადაწყვეტილება ბოლშევიკების წინააღმდეგ თეთრი ტერორის გამოცხადების შესახებ. ამასთან დაკავშირებით კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც მთავრობის მისამართით ნათქვამი იყო:

„ხედავს რა საქართველოს მთავრობის მოქმედებაში, განსაკუთრებით კი ზემოხსენებულ განკარგულებაში, და აგრეთვე ნ. რამიშვილისა და არსენიძის ოფიციალურ განცხადებებში, როგორც მთავრობის, ისე მენშევიკთა მმართველი პარტიის აშკარა განზრახვას — დაიწყონ თეთრი ტერორი ჩვენი პარტიის წევრთა მიმართ, კავკასიის სამხარეო კომიტეტი აცხადებს: ჩვენი პარტიის წევრთა ყოველგვარ მკვლელობას მთავრობის აგენტების ან მენშევიკთა პარტიის წევრთა მიერ, სადაც და რა ფორმაშიც უნდა მოხდეს იგი, ჩვენ მივიჩნევთ, როგორც თეთრ ტერორს, რაც ჩვენი პარტიის თავდაცვის მიზნით ჩვენს სათანადო პასუხს გამოიწვევს“[1].

კავკასიის სამხარეო კომიტეტის ასეთმა გადაწყვეტილებამ და აგრეთვე მასების მხრივ პროტესტმა მენშევიკური მთავრობა აიძულა ნაწილობრივ ხელი აეღო რეპრესიებზე.

ამრიგად, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ჩატარებით დიდი საქმე გააკეთეს. მათ ამ კამპანიის ჩატარებით, ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად შეასუსტეს დენიკინის ზურგი, რითაც ერთგვარი დახმარება აღმოუჩინეს საბჭოთა არმიას დენიკინის განადგურებაში, მეორე, სავსებით ნიღაბი ახადეს მენშევიკებს მასების წინაშე, და ბოლოს მნიშვნელოვნად წასწიეს წინ საქართველოს მშრომელების პოლიტიკური შეგნებულობა და დარაზმულობა.

დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია პარტიულმა

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი ფ. 3, საქმე 246, ფ. 20.

ორგანიზაციებმა ჩაატარეს შეიარაღებული აჯანყებისათვის მასების მობილიზაციის ნიშნით.

* * *

მდგომარეობა 1919 წლის შემოდგომისათვის საქართველოში კიდევ უფრო გამწვავდა. რევოლუცია თანდათან სულ უფრო იზრდება. შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები შეიარაღებული აჯანყებისათვის.

1918 წლის დამარცხებებითა და რეპრესიებით დათრგუნვილი მუშები და გლეხები კვლავ ფეხზე დგებოდნენ საბრძოლველად. დიდი გარევოლუციონერება დაეტყო გურიის გლეხობას, რომელიც 1918 წელს თითქმის ბრძოლის გარეშე იდგა. კვლავ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მენშევიკურ ჯარის ნაწილებში ბოლშევიკური პროპაგანდისათვის, სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. აფხაზეთისა და ოსეთის მშრომელები მზათ იყვნენ ახალი მსხვერპლი გაეღოთ მათთვის ესოდენ საძულველი მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აჯანყებისათვის ხელსაყრელ ვითარებას ჰქმნიდა ისიც, რომ ინგლისის ჯარები ამ დროს უკვე თბილისიდან გასული იყვნენ.

აჯანყებისათვის ასეთი ხელსაყრელი ვითარების არსებობამ ბოლშევიკების წინაშე გადაჭრით დააყენა საკითხი შესდგომოდნენ მზადებას.

„...აჯანყების აუცილებლობის ძირითადი მოტივი,— ვკითხულობთ ა. ი. მიქოიანის მოხსენებაში „კავკასიის საკითხისათვის", რომელიც მან 1919 წლის 25 დეკემბერს ვ. ი. ლენინსა და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გაუგზავნა,— იყო არა ის მიზანი, რომ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ და კომუნიზმი განემტკიცებინათ,— რაც შეუძლებელია კავკასიის ყველა ხალხის მონაწილეობისა და საბჭოთა რუსეთის მხრივ სწრაფი მხარდაჭერის გარეშე,— არამედ ის ამოცანები, რომ აჯანყების საშუალებით დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ წითელ არმიას, თუნდაც ამისათვის საფრთხეში ჩაეგდოთ საქართველოს რევოლუციის ბედი".

კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 15 აგვისტოს პლენარულ სხდომაზე და 9 სექტემბრის საერთო-კავკასიის პარტიულ თათბირზე, რომელსაც თბილისის საგუბერნიო კომიტეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, დაადგინა: „დაიწყოს აჯანყების აპარატის მომზადება საქართველოში ისე, რომ აჯანყების გამოცხადების დღე არ იქნას განსაზღვრული და აჯანყების საკითხი დადებითად გადაწყდეს“.

სექტემბრის ბოლოს კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ.

აჯანყებისათვის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გასაწევად პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი. მის ამოცანას შეადგენდა პარტიის საოლქო კომიტეტის დირექტივების თანახმად ეხელმძღვანელა აჯანყების მომზადებისა და გატარებისათვის, აჯანყების ყველა ორგანოსათვის.

აჯანყებისათვის მზადებაში ნამდვილი გმირობისა და თავდადების შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენეს საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი კომკავშირის თბილისის ორგანიზაციებმა, რომლებიც პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტისაგან ღებულობდნენ უაღრესად რთულ და საპასუხისმგებლო დავალებებს. კერძოდ, პარტიის სამხედრო-რევოლუციური შტაბისათვის კომკავშირს უნდა მიეწოდებინა ცნობები მენშევიკური მთავრობის ჯარების რაოდენობისა და განლაგების შესახებ. პარტიის ამ დავალების შესასრულებლად კომკავშირის საოლქო კომიტეტის თბილისის ბიუროს გადაწყვეტილებით შეიქმნა კომკავშირელთა სპეციალური რაზმები, რომლებიც ამ ამოცანას დროზე და უნაკლოდ ასრულებენ.

პარტიის სამხედრო-რევოლუციურ შტაბს ზუსტი ცნობები ესაჭიროებოდა არსენალისა და საიუნკრო სკოლის შესახებ. პარტიის ამ დავალების შესასრულებლად კომკავშირის თბილისის ბიურომ შექმნა კონტრმზვერავების სპეციალური

ჯგუფი, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა დავალება. პარტიის სამხედრო შტაბს ესაჭიროებოდა ზუსტი ცნობები მოწინააღმდეგის შეიარაღების, იარაღის მარაგისა და არტილერიის ბაზების შესახებ. ეს დავალებაც კომკავშირმა პირნათლად შეასრულა. კომკავშირის მიერ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხედრო შტაბისათვის მიწოდებული ცნობები იმდენად მნიშვნელოვანი და ზუსტი იყო, რომ მენშევიკები, რომლებმაც აჯანყების დამარცხების შემდეგ ხელთ იგდეს ეს ცნობები, თავიანთ ორგანო „ერთობაში" დიდი გულისწყრომით წერდნენ: „ჩვენ გაკვირვებული ვართ, რომ კომუნისტურმა ორგანიზაციებმა აქ, ჩვენთან, შესძლეს ასე ბრწყინვალედ შეესრულებინათ მუშაობა სამხედრო შპიონაჟის დარგში"[1].

მაგრამ აჯანყებისათვის მზადების პერიოდში არც მენშევიკურ მთავრობას ეძინა. მენშევიკურმა მთავრობამ, რომელიც საკუთარი და ინგლისელი ჯაშუშების დახმარებით მოქმედებდა, აჯანყებამდე ორი დღით ადრე, 22 ოქტომბერს, დაატიმრა სამხედრო-რევოლუციური შტაბი — აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი. მენშევიკურმა მთავრობამ გარდა სამხედრო-რევოლუციური შტაბის დაპატიმრებისა, მიიღო მთელი რიგი კონტრზომები თბილისსა და ადგილებზე აჯანყების თავიდან ასაცილებლად. 23 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპეშებით აცნობა ყველა სამაზრო მილიციის უფროსებს 24 ოქტომბერს შეიარაღებული აჯანყების დაწყების მოსალოდნელობის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრო წინადადებას აძლევდა მათ, რომ მიეღოთ აჯანყების თავიდან ასაცილებლად ყველა საჭირო ზომა[2].

მენშევიკური მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა თითქმის ჩაშალეს აჯანყების საქმე. უკვე შეუძლებელი იყო პირვანდელი გეგმით, ე. ი. 24 ოქტომბრისათვის აჯანყების დაწყება. კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული გახდა გადა-

---

1 გაზ. „ერთობა", 1920 წლის 7 დეკემბერი.

2 საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფ. 11 ს., საქმე 311, ფ. 38.

ედო აჯანყება. მაგრამ იმის გამო, რომ სამხარეო კომიტეტმა ვერ მოახერხა დროზე ეცნობებია ყველა მაზრისათვის თავისი გადაწყვეტილება აჯანყების გადადების შესახებ, 24 ოქტომბერს მთელ რიგ მაზრებში დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები. აჯანყებას ადგილი ჰქონდა ლაგოდეხში, ფოთში, სამტრედიაში, სენაკში, დუშეთში, თელავში, როკის რაიონში. ამ უკანასკნელში აჯანყებულებმა ჩამოაგდეს მენშევიკების ხელისუფლება და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება[1].

რადგან აჯანყება უმთავრესად ცალკეულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ რაიონებში მოხდა, მენშევიკურმა მთავრობამ ინგლისელი ინტერვენტების დახმარებით, იგი შედარებით იოლად და თანაც მთელი არაადამიანური სისასტიკით ჩაახშეს.

პარტიის სამხარეო კომიტეტის მიერ 24 ოქტომბრისათვის დანიშნული აჯანყების იძულებითი გადადება არ ნიშნავდა მის მოხსნას. საოლქო კომიტეტი კვლავ შეუდგა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას.

აჯანყების საკითხის განსახილველად ოქტომბრის ბოლოს თბილისის გარეუბანში უაღრესად კონსპირაციულ პირობებში ჩატარდა პარტიის სამხარეო კომიტეტის სხდომა, რომელმაც მოისმინა პარტიის თბილისის საგუბერნიო კომიტეტის წარმომადგენლის ინფორმაცია გუბერნიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. სამხარეო კომიტეტის ამ სხდომაზე შეიქმნა სამხედრო შტაბი, შემუშავებულ იქნა აჯანყების კონკრეტული გეგმა, რომლის საფუძველზე აჯანყება უნდა დაწყებულიყო კახეთის მაზრებში 8—9 ნოემბერს და მას დაუყოვნებლივ უნდა გამოხმაურებოდა თბილისი და საქართველოს დანარჩენი მაზრები[2].

მიუხედავად იმისა, რომ ადგილებზე პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს აჯანყების ორგანიზებულად ჩასატარებლად, აჯანყების საქმე ჩაიშალა. აჯან-

---

1 გაზ. „საბჭოთა ოსეთი", 1956 წლის 30 მაისი.

2 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 184, 1927 წ.

ყება მოხდა მხოლოდ გურიაში, გორში, ახალქალაქში და სხვ. ე. ი. უმთავრესად იმ მაზრებში, სადაც ოქტომბერში აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. ნოემბრის აჯანყება დამარცხდა უმთავრესად იმის გამო, რომ სამხარეო კომიტეტმა გაძლიერებული რეპრესიების გამო ვერ უზრუნველყო მისი ყოველმხრივ მომზადებულად ჩატარება.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, მან მაინც უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ერთი მხრივ, იგი მოასწავებდა დენიკინის თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ მიმართულ მრისხანე მუქარას ზურგიდან, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველი ხალხის გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისს მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ.

აჯანყების დამარცხების შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ ახალი ლაშქრობა მოაწყო რევოლუციური საქართველოს წინააღმდეგ, ველური სისასტიკით შეუტია აჯანყების მონაწილეებს, აჯანყების ორგანიზატორებსა და ხელმძღვანელებს, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მათს თანამგრძნობებს, პროფესიონალური კავშირის წევრებს. დაპატიმრებულ იქნა პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელი ცენტრების თითქმის მთელი შემადგენლობა. ათობით და ასობით კომუნისტი და კომკავშირელი გმინავდა მენშევიკური მთავრობის დილეგებში. აჯანყებასთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა რიცხვმა 1919 წლის 11 ნოემბრისათვის 3000-მდე კაცს მიაღწია.

მენშევიკურმა მთავრობამ აამოქმედა სამხედრო-საველე სასამართლოები. ამ სასამართლოებს პარტიული და კომკავშირული მუშაკებისათვის, აჯანყების აქტიური მონაწილეებისათვის ხშირად სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ.

მენშევიკები თეთრი ტერორის გზით ვარაუდობდნენ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის შეჩერებას, კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების განადგურებას, რევოლუციურად განწყობილი პროფესიული კავშირების ლიკვიდაციას. მაგრამ მენშევიკები ამ გზაზე წააწყდნენ მუშებისა და რევოლუციური გლეხობის,

პარტიისა და კომკავშირის მედგარ წინააღმდეგობას. კიდევ მეტი, მასების ინიციატივით პარტიის საოლქო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მენშევიკური თეთრი ტერორის საპასუხოდ წითელი ტერორის გამოყენების შესახებ. ამ მიზნით შეიქმნა მებრძოლთა სპეციალური რაზმები, რომელთა დევიზი იყო: ყოველი მოკლული კომუნისტის სანაცვლოდ 10 მენშევიკი მოხელის მოკვლა.

ამ და მსგავსმა ზომებმა მენშევიკური მთავრობა აიძულა ნაწილობრივ ხელი აეღო რეპრესიებზე, რამაც პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა მისცა 1920 წლის დასაწყისისათვის ერთგვარად გამოეცოცხლებინათ თავიანთი მუშაობა. იწყება პარტიულ ორგანიზაციათა შემადგენლობის რიცხობრივი ზრდა და ორგანიზაციული გამტკიცება. საქართველოს უმთავრეს ადგილებში იქმნება პარტიის ბრავალი ახალი ორგანიზაცია. საგრძნობი გამოცოცხლება დაეტყო თბილისში არალეგალური პარტიული ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების საქმეს. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის კომკავშირს.

1920 წლის იანვარში პარტიის თბილისის კომიტეტის მითითებით კომკავშირის თბილისის კომიტეტმა, საგამომცემლო საქმისათვის შექმნა „ტექნიკური კოლეგია“, რომელიც მალე შეუდგა არალეგალური ლიტერატურის გამოცემას. „ტექკოლში“, როგორც მას შემოკლებით ეძახდნენ, გაერთიანებული იყვნენ ყველაზე თავდადებული და ბეჭდვითი საქმის ტექნიკას დაუფლებული კომკავშირლები. „ტექკოლს“ მუშაობა მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა. პარტიული გამომცემლობის უქონლობის გამო იგი პროკლამაციებს, ფურცლებს, მოწოდებებსა და სხვა სახის პარტიულ და კომკავშირულ გამოცემებს ბეჭდავდა მენშევიკების სტამბებში მათივე შრიფტითა და ქაღალდით.

„ტექკოლის“ განკარგულებაში იყო თბილისის თითქმის ყველა სტამბის საიდუმლო გასაღებები, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღწევდა. საკმარისი იყო რომელიმე ამ გასაღების ამოქმედება, და რამდენიმე საათში პარტიის ან კომკავშირის დავალება „ტექკოლს“ შესრულებული ჰქონდა.

კონსპირაციული მოსაზრებით „ტექკოლი“ ყველა გამოცემას ბოლოში აწერდა: „რუსეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის სტამბა“.

მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის აგენტებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ბოლშევიკური ლიტერატურის სამჭედლოს წარმოადგენდა არა რუსეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის „საიდუმლოებით მოცული სტამბა“, არამედ მათივე პარტიის — მენშევიკების ცენტრალური ორგანოების — „ერთობის“ და „ბორბას“ სტამბები. მენშევიკებმა „რუსეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის სტამბის“ აღმოსაჩენად ბევრი იცოდვილეს, თუმცა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს, რადგან ასეთი სტამბა თბილისში არ არსებობდა.

„ტექკოლი“ მენშევიკების სტამბებში არალეგალური მასალების ბეჭდვით როდი კმაყოფილდებოდა; მან მოახერხა შრიფტის შოვნა მენშევიკების სტამბებში, მბეჭდავთა დახმარებით, და ავლაბარში შექმნა საკუთარი არალეგალური სტამბა. მაგრამ როცა ეს სტამბა ვერ უზრუნველყოფდა პარტიის „შეკვეთების“ შესრულებას, „ტექკოლი“ კვლავ მენშევიკურ სტამბებს მიმართავდა.

„ტექკოლისათვის“ კიდევ უფრო მეტ საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენდა დაბეჭდილი არალეგალური პარტიული ლიტერატურის განაწილებისა და გავრცელების ორგანიზაცია. მაგრამ „ტექკოლმა“ ეს ამოცანაც წარმატებით გადაჭრა ამ საქმისათვის საგანგებოდ შექმნილი „მფრინავი რაზმების“ დახმარებით. ამ რაზმებში შედიოდნენ კომკავშირის ყველაზე უფრო გამოცდილი და თავდადებული მუშაკები. „მფრინავი რაზმების“ წევრები პროკლამაციებს, ფურცლებს, მოწოდებებს და სხვა სახის არალეგალურ ლიტერატურას დიდი რაოდენობით ავრცელებდნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშებში, თეატრის მაყურებელთა შორის სპექტაკლების დროს, მგზავრებში, რკინიგზის სადგურებზე, ხალხმრავალ ქუჩებში, აგრეთვე პროკლამაციებს აკრავდნენ მრავალ სხვა ნიშვნე-

ლოვან ადგილას. ამ საქმის ერთ-ერთი მონაწილის, იაშა ოქოევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მფრინავი რაზმების“ წევრთა მუშაობის შედეგად იმ დროს „არ იყო დარჩენილი ღირსშესანიშნავი ადგილი საქართველოს არც ერთ ქალაქში და რაიონში და, მით უმეტეს თბილისში, რომ იქ გაკრული არ ყოფილიყო პროკლამაციები“. „მფრინავი რაზმები“ ხშირად აკრავდნენ პროკლამაციებს მენშევიკური მთავრობის სამინისტროთა შენობების შესასვლელებთანაც კი.

კიდევ მეტი, „მფრინავი რაზმები“ ხშირად აყენებდნენ პირად უსიამოვნებას მენშევიკური მთავრობის მინისტრებს, მათ შორის თავისი სისასტიკით ყველაზე უფრო ცნობილ შინაგან საქმეთა მინისტრსაც კი, იმით, რომ მათ ზოგჯერ ჯიბეში აღმოაჩნდებოდათ ხოლმე „მფრინავი“ რაზმელების მიერ ჩადებული პროკლამაციები.

მთელი ეს მუშაობა, რა თქმა უნდა, დაკავშირებული იყო სერიოზულ სიძნელეებთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომკავშირი დროზე და უნაკლოდ ასრულებდა პარტიის ამ საპასუხისმგებლო და საპატიო დავალებას.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში პარტიული მუშაობის განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მუდმივმა დახმარებამ. 1919 წლის ბოლოსა და 1920 წლის დასაწყისში ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიაში პარტიულ სამუშაოზე გამოგზავნა 13 კაცი.

ამაღლდა საქართველოში რევოლუციური ძალების მორალური განწყობილება, რასაც დიდად შეუწყო ხელი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა სამოქალაქო ომის ფრონტებზე და განსაკუთრებით დენიკინის ბანდების განადგურებამ. წითელი არმიის გამარჯვებები ამზადებდნენ და აჩქარებდნენ საქართველოს მშრომელების გამარჯვებას მენშევიკურ რეჟიმზე.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1920 წლის თებერვალს კვლავ მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების შესახებ. პარტიის სამხარეო კომიტეტის ამ გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს პარტიულ-

მა ორგანიზაციებმა მარტის პირველი რიცხვებიდან დაიწყეს აჯანყებისათვის გაძლიერებული მზადება. კვლავ დაიგზავნა მაზრებში პარტიის საოლქო კომიტეტის რწმუნებულები, შეიქმნა სამხედრო შტაბები. 23 მარტს სამხრეთ ოსეთში შეიქმნა რევკომი[1]. პარტიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით კომკავშირის თბილისის ბიურომ შექმნა ახალგაზრდა კომუნისტების წითელი გვარდია, რომელშიც შექმნის პირველ დღეებშივე უკვე 800-ზე მეტი კომკავშირელი გაერთიანდა. თბილისის ბიუროს დადგენილებით შეიქმნა აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტების გვარდიის მთავარი შტაბი, რომლის ამოცანა იყო ახალგაზრდობის სამხედრო ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. ასევე შეიქმნა სამაზრო და საგუბერნიო შტაბები, რომლებმაც კომკავშირის ყველა ადგილობრივი კომიტეტი გადააკეთეს წითელი გვარდიის შტატებად და ადგილებზე შექმნეს წითელი გვარდიის შეიარაღებული რაზმები.

აჯანყებისათვის მზადების პერიოდში ბოლშევიკებმა განსაკუთრებით გააძლიერეს მუშაობა ჯარის ნაწილებში და გვარდიაში. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჯარისა და გვარდიის ცალკეულ ნაწილებში არალეგალურად ეწყობოდა კრებები, სადაც. ღებულობდნენ რეზოლუციებს, რომლებშიც მიესალმებოდნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გამარჯვებებს და სამხარეო კომიტეტისაგან მოითხოვდნენ, რომ თხოვნით მიემართნათ წითელი არმიისათვის, რათა მას დახმარება აღმოეჩინა საქართველოს მშრომელებისათვის მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. აი მრავალთაგან რამდენიმე რეზოლუცია:

1920 წლის 25 მარტს სახალხო გვარდიის მეორე სამთო ბატარეის ამხანაგების კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში ეკითხულობთ: „მოვისმინეთ რა ამხ. ბ.-ს მოხსენება მიმდინარე მომენტზე და ვიღებთ რა მხედველობაში ერთი მხრით იმ გარემოებას, რომ უკვე მოაღწია დრომ საქართველოს მშრომელი მასების გასათავისუფლებლად დენიკინის მოკავ-

---

1 იხ. გაზ. „საბჭოთა ოსეთი", 1956 წლის 30 მაისი.

შირე ფლიდი მთავრობისაგან და მეორე მხრით იმასაც, რომ აუცილებლად საჭიროა ბოლო მოეღოს იმ კონტრრევოლუციონურ ბუდეს, რომელიც ჩვენში ახლა მყარდება დენიკინელ ოფიცერთა ბრბოების შემოსევით საქართველოში, დავადგინეთ: მივმართოთ გარნიზონის სხვა ნაწილებთან ერთად ბოლშევიკების — კომუნისტების ადგილობრივი ორგანიზაციის საშუალებით ამხანაგებს წითელარმიელებს, რომლებიც აქთავრებენ ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელ მასათა განთავისუფლებას ჯალათებიდან, მხურვალე მოწოდებით — გვიშველონ, რომ ჩვენც განვთავისუფლდეთ"[1].

1920 წლის 19 მარტს საპირორების ბატალიონის კომუნისტური უჯრედების წარმომადგენლების სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „სალამს ვუძღვნით წითელ არმიას, რომელიც გამარჯვებით გვიახლოვდება ჩვენ და ვეუბნებით მას: ამხანაგებო! როცა თქვენ საბოლოოთ გაანადგურებთ დენიკინის კონტრრევოლუციურ ბრბოებს და მოადგებით საქართველოს საზღვრებს, მაშინ დაგვეხმარეთ ჩვენც, რომ თავიდან მოვიშოროთ ქართველი მენშევიკების სოციალ-მუბანაური მთავრობა. ჩვენც თავის მხრით გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ ამავე მიზნის განსახორციელებლად"[2].

1920 წლის 21 მარტს პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით თბილისში შედგა თბილისის გარნიზონის წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია. მასში ვკითხულობთ:

„ვუძღვნით მხურვალე სალამს წითელ მებრძოლთ, რომლებმაც დაამარცხეს რუსეთის კონტრრევოლუცია და რომლებიც მოდიან ამიერკავკასიის მშრომელ მასსათა გასათავისუფლებლად. კონფერენცია აცხადებს, რომ იგი ერთხმად უერთდება კავკასიის მშრომელ მასსათა მიმართვას რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხკაცობისადმი.

გაუმარჯოს წითელ არმიას!

---

[1] ეურ. „რევოლუციის მატიანე", № 4—5 (9—10), გვ. 396, 1924 წ.

[2] იქვე.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას კავკასიაში!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!"[1].

ეს რეზოლუციები ცხადჰყოფენ, რომ მენშევიკურ მთავრობას არა მხოლოდ მუშები და გლეხები აქცევდნენ ზურგს, არამედ ჯარის ნაწილებიც. მენშევიკური მთავრობაც კარგად გრძნობდა თავისი არმიის განწყობილების შეცვლას.

1920 წლის 15 მარტს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა კავკასიის მშრომელთა სახელით გამოსცა მიმართვა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი, სახალხო კომისართა საბჭოს, კომუნისტური ინტერნაციონალის და წითელი არმიისადმი. თავის მიმართვაში კავკასიის სამხარეო კომიტეტი კავკასიის მშრომელების სახელით რუსეთის გმირ პროლეტარიატს და მის გმირ წითელ არმიას სიხოვდა, რომ აღმოეჩინათ მათთვის დახმარება მენშევიკებს, მუსავატისტების და დაშნაკების კონტრრევოლუციური მთავრობების წინააღმდეგ ბრძოლაში. მიმართვა იძლევა იმის ნათელ სურათს თუ რა ტანჯვა-წამების წლები გამოიარეს კავკასიის მშრომელებმა კონტრრევოლუციური მთავრობის დიქტატურის მძვინვარების პერიოდში. იგი ნათლად ასახავს აგრეთვე იმ თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლის სურათს, რომელსაც გამარჯვების უსაზღვრო რწმენით აღფრთოვანებული კავკასიის მშრომელები ეწეოდნენ „საკუთარი" ნაციონალისტური მთავრობების წინააღმდეგ ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

„ჩვენ კავკასიის ყველა ეროვნების მშრომელი მასები,— ვკითხულობთ მიმართვაში,— ამ მომართვის აქტით მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე ვაცხადებთ, რომ გვეზიზღება კავკასიის მოსახლეობის უმცირესობის მიერ ჩვენი მჩაგვრელი და მოძალადე — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „მთავრობათა" პირით აღიარებული „დამოუკიდებლობის" ლოზუნგი.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ლოზუნგით მათ სურთ, ერთი მხრით, საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებლობა კავკასიის კაპიტა-

---

[1] ჟურ. „რევოლუციის მატიანე", № 4—5 (9—10), გვ. 397. 1924 წ.

ლისტების, მემამულეებისა და ბობოლა-კულაკებისათვის და, მეორე მხრით, ასეთი გზით მათ სურთ კავკასიის მშრომელი მასების ჩამოშორება რუსეთის მუშებისა და გლეხებისაგან, რომ უფრო ადვილად დაიმორჩილონ და სამუდამოდ დაიმონონ ისინი...

ჩვენ არ გვინდა მონებად დავრჩეთ, განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენს გვერდით დგას რუსეთის განთავისუფლებული პროლეტარიატი, რომელთან ერთადაც ჩვენ გვსურს შევიდეთ ერთიან პროლეტარულ ინტერნაციონალურ ოჯახში"[1].

შემდეგ მიმართვაში ნათქვამია, რომ კავკასიის მშრომელ მასებს ურყევად და მტკიცედ სწამთ, რომ საბჭოთა მუშურ-გლეხური რუსეთი, კომუნისტური ინტერნაციონალი და გმირული წითელი არმია არ დარჩებიან გულგრილ მაყურებლებად იმ უთანასწორო ბრძოლისა, რომელსაც ისინი ეწევიან გაერთიანებულ შავ-ყვითელ კონტრრევოლუციასთან და აქტიურად დაეხმარებიან კაპიტალის ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში[2].

არ შეიძლებოდა ეს მიმართვა უყურადღებოდ დაეტოვებიათ რუს ხალხს და მის მთავრობას. მით უმეტეს რომ რუს ხალხს არა ერთი და ორი განსაცდელისაგან უხსნია ამიერკავკასიის მშრომელები და ამჯერადაც იგი დიდი თანაგრძნობითა და ყურადღებით ადევნებდა თვალს თავისუფლებისათვის მათს ბრძოლას. ამავე დროს ამიერკავკასიის მშრომელები წინააღმდეგ „საკუთარი" კონტრრევოლუციური მთავრობების სურვილისა, რითაც შეეძლოთ მხარს უჭერდნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე რუსი ხალხის გმირულ ბრძოლებს, აჩქარებდნენ მის გამარჯვებას ანტანტის უცხოელ იმპერიალისტებზე და ქვეყნის შინაგან კონტრრევოლუციაზე.

ანალოგიური შინაარსის მოწოდებით მიმართა კომკავში-

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფ. 11. ს., საქმე 307, ფ. 7, 8, 9.

[2] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფ. 11 ს., საქმე 307, ფ. 10.

რის საოლქო კომიტეტმა კავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების სახელით სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს, წითელ არმიას და რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

როცა პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოში შეიარაღებული აჯანყებისათვის გაცხოველებული მზადება მიმდინარეობდა, აჯანყებულმა აზერბაიჯანელმა ხალხმა, რუსი ხალხისა და მისი სახელოვანი მე-11 არმიის დახმარებით 28 აპრილს გაანადგურა მუსავატისტური მთავრობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. აზერბაიჯანის განთავისუფლებამ საგრძნობლად შეასუსტა ანტანტის სახელმწიფოთა პოზიციები ამიერკავკასიაში.

აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ ახალი ძალა და მხნეობა შემატა საქართველოს მშრომელებს. პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო მეტი ენერგიით შეუდგნენ აჯანყებისათვის მზადებას. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მუშათა კლასის საერთაშორისო დღეს — პირველ მაისს, რევოლუციის ძალთა დათვალიერებისა და მათი პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობის შემოწმების მიზნით თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩატარებულიყო მუშათა პოლიტიკური დემონსტრაციები. პარტიას ამ ღონისძიების გატარებაში მხარში ამოუდგა კომკავშირი.

დემონსტრაცია ჩატარდა თბილისში და ბათუმში. თბილისში მენშევიკები შეეცადნენ, რომ დემონსტრაციისათვის მშვიდობიანი ხასიათი მიეცათ და იგი მათთვის საჭირო ჩარჩოებში მოექციათ. მაგრამ, წინაღმდეგ მენშევიკების ცდისა, დემონსტრაცია მომავალი აჯანყების ძალთა ნამდვილ დათვალიერებად იქცა. დემონსტრანტებს წინ მიუძღოდა რევოლუციური დროშები და ლოზუნგები: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, „ძირს გამცემლები და მოღალატეები სოციალ-დემოკრატები!“, დაახლოებით ასეთი ლოზუნგებით ჩატარდა საპირველმაისო დემონსტრაცია ბათუმში, სადაც

დემონსტრაციაში 15 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრანტებს წინ მიუძღოდათ წითელი დროშები მარქსისა და ლენინის სურათებით.

მენშევიკურმა მთავრობამ მყისვე მიიღო ზომები დემონსტრანტების წინააღმდეგ. ამოქმედდნენ საგანგებო რაზმეულები და მილიციონერები, მათ მიერ დემონსტრაცია თბილისში დარბეულ იქნა. დაპატიმრებულ იქნა სიკვდილის პირამდე ნაცემი და დაჭრილი დემონსტრაციის 55 მონაწილე[1]. რაც შეეხება დემონსტრაციას ბათუმში, მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება მთავრობამ ვერ გაბედა.

დემონსტრაციის დარბევის მეორე დღეს, 2—3 მაისს თბილისში მოეწყო შეიარაღებული გამოსვლები მენშევიკური დიქტატურის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. ამასთან დაკავშირებით შედგენილ იქნა თოფებითა და ყუმბარებით შეიარაღებული რაზმები, რომელთაც ევალებოდათ ყველაზე უმნიშვნელოვანესი ობიექტების დაკავება და სხვადასხვა მნიშვნელოვან ოპერაციებში მონაწილეობის მიღება. ერთ რაზმს უნდა დაეპატიმრებინა თბილისის საბჭოს მთელი შემადგენლობა სხდომის დროს, რომლის მოწვევა გათვალისწინებული იყო 2 მაისის საღამოსათვის. მეორე დიდ რაზმს უნდა დაეკავებინა ფოსტა-ტელეგრაფი და საბჭოთა რუსეთისათვის, მსოფლიოსათვის უნდა ეცნობებიათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება; მესამე რაზმს ალყა უნდა შემოერტყა საგანგებო რაზმისათვის და შეეპყრო იგი, აგრეთვე თავს უნდა დასხმოდა იუნკერთა სასწავლებელს; მასვე უნდა მიეღო მონაწილეობა მთავრობის დაწესებულებათა ხელში ჩაგდების საქმეში. ამ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად მარტო კომკავშირის თბილისის ორგანიზაციებიდან მზად იყო ოთხასამდე შეიარაღებული კომკავშირელი.

იმის გამო, რომ ეს გამოსვლა არ იყო საკმაოდ მოფიქრებულად ორგანიზებული, იგი დამარცხდა.

---

1 საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფ. 130, აღწ. 4, საქმე 496, ფ. 45.

საპირველმაისო დემონსტრაციის დარბევით და 2—3 მაისს მოწყობილი შეიარაღებული გამოსვლის დამარცხებით დიდი ზარალი განიცადეს თბილისის პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა. მარტო ამ სამ დღეში დაპატიმრებულ იქნა პარტიისა და კომკავშირის თბილისის ორგანიზაციების რამდენიმე ათეული აქტიური ხელმძღვანელი მუშაკი. დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს აგრეთვე პარტიის ბევრი რიგითი წევრი და კომკავშირელი; ბევრი კიდევ ხელჩართულ ბრძოლაში დაიჭრა. თბილისში გამოცხადებული იქნა საგანგებო წესები.

თბილისის ამბებმა გამოხმაურება ჰპოვა სამხრეთ ოსეთში, სადაც გლეხთა აჯანყება მოედო მთელს სამხრეთ ოსეთს. აჯანყება გრძელდებოდა მაისის განმავლობაში. 8 ივნისს აჯანყებულებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს მთელს სამხრეთ ოსეთში. ეს იყო გამარჯვების დღე, ზეიმის დღე მთელი მოსახლეობისათვის. მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ მალე გადაისროლა სამხრეთ ოსეთში დიდძალი სამხედრო ნაწილები, რომლებმაც 12 ივნისს დაამხეს საბჭოთა ხელისუფლება და კვლავ აღადგინეს მენშევიკური წესწყობილება. მენშევიკური მთავრობა ველური სისასტიკით გაუსწორდა ოსეთის მშრომელ ხალხს. 100-ზე მეტი სოფელი სულ მთლიანად გადაბუგეს. 20 ივნისს მენშევიკებმა დახვრიტეს 13 ოსი კომუნარი. თერგის ოლქში გადავიდა დაახლოებით 20 ათასი კაცი.

ი რ ოგორ აღწერს დღიურებში მენშევიკური მთავრობის სატრაპი, თავისი იეზუიტობით ცნობილი ჯუღელი ოსეთში აჯანყების ჩაქრობის ფაქტს:

„მტერი ყველგან უწესრიგოდ გარბის. თითქმის არ გვიწევს წინააღმდეგობას.

ბანდა!...

ეს გამცემლები სასტიკად უნდა იქნან დასჯილნი“.

ასე წერდა ჯუღელი 12 ივნისს, დილით.

გვიან ღამე თავის დღიურში ჯუღელს შეაქვს: „ახლა ღამეა. ყველგან მოსჩანს ცეცხლი!.. ეს აჯანყებულთა სახლები

იწვის... მაგრამ მე ამას უკვე შევეჩვიე და ვუყურებ თითქმის დამშვიდებით“.

13 ივნისის ნაშუადღევის ჩანაწერში ვკითხულობთ: „ჩვენს ირგვლივ ყველგან იწვის ოსეთის სოფლები. მებრძოლი მუშათა კლასის ინტერესებისათვის, სოციალიზმის ზეიმის ინტერესებისათვის ჩვენ ვიქნებით სასტიკნი. დიახ ვიქნებით! მე დამშვიდებული სულით და წმინდა სინდისით ვუცქერი ნაცრად ქცეულ სოფლებს და ბოლქვებად ამოსულ კვამლს... მე სრულიად დამშვიდებული ვარ, დიახ, დამშვიდებული“.

„ხანძარი გიზგიზებს, სახლები იწვის!...

ცეცხლითა და მახვილით!..“— ჩაწერილია დღიურში 13 ივნისს საღამოს.

ასეთი სტრიქონებია ოსი ხალხის სისხლით ჩაწერილ მომდევნო დღიურებშიც.

აი დაცემის რა საზღვრამდე მივიდნენ ქართველი მენშევიკები, რომლებიც ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ფიცულობდნენ რევოლუციონერობას, მარქსიზმისადმი ერთგულებას.

მენშევიკური მთავრობა ოსი ხალხის მიმართ ასეთ ველურ სისასტიკეს იმით ამართლებდა, რომ ვითომც ოსი ხალხის შეიარაღებული გამოსვლა ნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებას, ვითომც იგი ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების მოთხოვნებს და ბოლოს, ვითომც ოსი ხალხის შეიარაღებული გამოსვლა ეს ყოფილიყოს საშუალოსაუკუნოებრივი მოძრაობა ახალი დროის დემოკრატიის წინააღმდეგ.

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამხრეთ ოსეთს, აჯანყება, რომელსაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ამზადებდნენ მარტ-აპრილში, არ მომხდარა. თბილისში ფაქტიურად ადგილი ჰქონდა აჯანყების მხოლოდ ცდას, ხოლო სამხრეთ ოსეთიდან აჯანყება საქართველოს სხვა ადგილებში არ გავრცელებულა. ცხადია, ამ მიზეზის გამო წითელი არმიის ნაწილების შემოსვლა საქართველოში გამორიცხული იყო. ასეთ შემთხვევაში წითელი არმიის ნაწილების შემოსვლა საქართველოში საერთაშორისო კონტრ-

რევოლუციას შეეძლო გამოეყენებია პროვოკაციული მიზნებისათვის.

* * *

მენშევიკური მთავრობის თხოვნით 1920 წლის 7 მაისს საომარიდობო ხელშეკრულება დაიდო საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის. სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებებმა, აგრეთვე საქართველოში გაჩაღებულმა რევოლუციურმა ბრძოლებმა მენშევიკური მთავრობა აიძულეს შერიგებოდა საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ურთიერთობის დამყარების ფაქტს და მოეთმინა თავის „დემოკრატიულ" რესპუბლიკაში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი. საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იარაღის ეღარუნის პოლიტიკამ აშკარა კრახი განიცადა.

20 ივნისს თბილისში ჩამოდის საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ს. მ. კიროვი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური რევოლუციისათვის საქართველოსა და სომხეთის მშრომელების მობილიზაციის საქმეში.

სამშვიდობო ხელშეკრულებით საქართველოს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ეძლეოდათ ლეგალური არსებობისა და მოღვაწეობის, კრებების თავისუფლად მოწყობისა და თავისუფალი საგამომცემლო საქმიანობის უფლება. „საქართველო,— ეკითხულობთ ხელშეკრულების განსაკუთრებულ დამატებაში,— ვალდებულებას კისრულობს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოქმედების უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და თავისუფალი გამომცემლობის (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის) უფლება"[1].

[1] რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, გვ. 16, 1922 წ.

- საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას დიდი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ხელშეკრულების დადებას მძიმე არალეგალური მდგომარეობიდან უნდა გამოეყვანა და ნამდვილად გამოიყვანა საქართველოს პარტიული ორგანიზაციები და შესაძლებლობა მისცა მათ აღედგინათ თავისი ძალები და გაეჩაღებინათ დიდი რევოლუციური მუშაობა მასებში. საკმარისია ითქვას, რომ ხელშეკრულების დადების პირველ დღეებში მენშევიკურმა მთავრობამ პატიმრობიდან გაანთავისუფლა 900-მდე კომუნისტი. მეორე,— კიდევ უფრო მნიშვნელოვანი — ხელშეკრულების დადებამ აიძულა მენშევიკური მთავრობა, რამდენადმე ხელი აეღო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აქტიურ კონტრრევოლუციური ღონისძიებების გატარებაზე და დადგომოდა „ლოდინის პოლიტიკას“.

საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ურთიერთობის დამყარებასთან დაკავშირებით მაისის ბოლოს მოხდა საქართველოში პარტიის ხელმძღვანელი ცენტრის რეორგანიზაცია. შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

მოხდა კომკავშირის ხელმძღვანელი ცენტრის რეორგანიზაცია. ნაცვლად რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს კომპარტიის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა ლეგალიზაციის პირობები, როგორც დროებითი შესაძლებლობა, მაქსიმალურად გამოიყენა, მიუხედავად იმისა, რომ მას მენშევიკური მთავრობა ყოველ ნაბიჯზე ურცხვად და უტიფრად არღვევდა.

საქართველოს კომპარტიის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა ლეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ახალი ტაქტიკის შემუშავების მიზნით 28 მაისს თბილისში მოიწვია პარტიის საქალაქო, სამაზრო და საგუბერნიო ორგანიზაციე-

ბის წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირი. მან პირველ საკითხად მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან. თათბირის დღის წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო მიმდინარე პოლიტიკური მომენტის საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ვრცელ რეზოლუციაში თათბირი ძიესალმა საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო პოლიტიკას და მის ბრწყინვალე გამარჯვებებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ეს რეზოლუცია საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა სისხლით მოპოვებულ მუშაობის ლეგალურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენებას.

„ახალი პირობების მიხედვით, რომელშიც უხდება ჩვენს პარტიას ბრძოლის განგრძობა,— ვკითხულობთ რეზოლუციაში,— დაუყოვნებლივ უნდა აღდგენილ იქნეს ლეგალური პარტიული ორგანიზაციები, ძლიერნი არა მარტო წევრთა რიცხვით, არამედ უმთავრესად რკინის დისციპლინით და უმტკიცესი შინაგანი სიმაგრით. საჭიროა შესვლა და ენერგიული მონაწილეობის მიღება ყველა არსებულ და მომავალში შესაძლებელ მშრომელთა კლასიურ ორგანიზაციებში, როგორც მაგალითად, მუშათა და გლეხთა საბჭოები, მუშათა პროფესიონალური კავშირები, მუშათა კოოპერატივები, გლეხთა კავშირები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ... და ყველგან წამოყენება და დაცვა მშრომელთა რევოლუციონური უფლებების, საბჭოთა ძალაუფლების იდეების, რევოლუციონურ სოციალიზმ-კომუნიზმის, ძმური სოლიდარობის და მჭიდრო კავშირის ყველა მეზობელ ხალხთა მშრომელებთან, და განსაკუთრებით მუშურ-გლეხურ რუსეთთან, რომელმაც განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურა“[1].

შემდეგ, თათბირზე განხილულ იქნა სხვადასხვა წმინდა ორგანიზაციული ხასიათის საკითხები. თათბირმა პარტიის დროებით ცენტრალურ კომიტეტს დაავალა პარტიული ყრილობის მოწვევა პირველი შესაძლებლობისთანავე. თათბირმა პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტი შეავსო ახალი

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1920 წლის 3 ივნისი.

წევრებით და საქართველოს პარტიული ორგანიზაციიდან მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად აირჩია დელეგატები.

ცენტრალური კომიტეტის მაისის თათბირმა უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. თათბირმა ზუსტი ინფორმაცია მისცა ცენტრალურ კომიტეტს ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, განსაზღვრა მისი შემდგომი მოღვაწეობის პროგრამა, რითაც მნიშვნელოვნად გააადვილა პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. თათბირის შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა ენერგიული მუშაობა გააჩაღა მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მრავალთაგან ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც განახორციელა ცენტრალურმა კომიტეტმა, იყო პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია, რაც დაიწყო ივნისის პირველი რიცხვებიდან. ცენტრალური კომიტეტის ამ ორგანიზაციულ-პოლიტიკურმა ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი პარტიიდან მერყევი და მავნე ელემენტების განდევნას და მის რიგებში მეტი სიწმინდისა და მონოლითურობის დამკვიდრებას. ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ცენტრალური კომიტეტი შეუდგა ლეგალური პარტიული ორგანიზაციების შექმნას და პარტიაში ახალ წევრთა მიღებას, რისთვისაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში შეიქმნა სარეგისტრაციო ბიუროები. ცენტრალური კომიტეტის ამ ღონისძიების შედეგმა მალე გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს: მიუხედავად იმისა, რომ მასების მხრივ აშკარა უნდობლობას ჰქონდა ადგილი მენშევიკების მიერ გამოცხადებული ლეგალიზაციისადმი, მაინც რეგისტრირებული ძველი წევრებისა და ახალი კანდიდატების რაოდენობა აღმოჩნდა მეტად საგრძნობი. კიდევ მეტი. ხშირი იყო შემთხვევები, როცა მენშევიკური პარტიის რიგებს სტოვებდნენ მისი ძველი წევრები და შედიოდნენ კომპარტიის რიგებში[1].

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 8, აღწ. 4, საქმე 106, ქ. ფ. 5.

პარტიის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა ლეგალიზაციის პერიოდში ფართო გაქანება მისცა საგამომცემლო მუშაობასაც. 1920 წლის 3 ივნისიდან თბილისში გამოსვლას იწყებს პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანო გაზეთი „კომუნისტი". ამავე სახელწოდებით 1 ივლისიდან გაზეთი იწყებს გამოსვლას რუსულ ენაზე. ივლისში გამოდის აგრეთვე გაზეთი „საქართველოს კომუნისტი". აგვისტოდან გამოსვლას იწყებს გაზეთი „ახალი კომუნისტი". ამ გაზეთებს დიდ ხანს არ უარსებიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ უაღრესად საპატიო ადგილი უჭირავთ საქართველოს ბოლშევიკური პრესის ისტორიაში. ისინი იყვნენ პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების მებრძოლი პოლიტიკური ორგანოები, რომლებიც შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ როგორც მენშევიკური შავრაზმული რეაქციული პარტიის, ისე მათი ბეჭდვითი ორგანოების წინააღმდეგ.

ლეგალიზაციის პირობები ფართოდ იქნა გამოყენებული კომკავშირის მიერ. 30 მაისს თბილისში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საქალაქო სამაზრო და საგუბერნიო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირი, რომელმაც განსაზღვრა ლეგალურ პირობებში კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის ამოცანები. 31 მაისიდან გამოსვლას იწყებს საქართველოს კომკავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტის ორგანო „მოლოდი პროლეტარი". ეს იყო ყველაზე დიდი გაზეთი, რომელიც კი გამოუცია საქართველოს კომკავშირს მენშევიკური „დემოკრატიის" პირობებში. ივნის-ივლისში ჩატარდა კომკავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.

1920 წლის 25 აგვისტოს გაიხსნა საქართველოს კომკავშირის პირველი „ლეგალური" ყრილობა. თუმცა ყრილობა რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტებმა დაარბიეს, მაინც მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს კომკავშირის ცხოვრებაში.

საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების წარმატებით მუშაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რკპ ც.კ-ის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელო-

ბას. იგი შეიქმნა 1920 წლის 8 აპრილს რკპ ც.კ-ის პლენუმის დადგენილებით[1]. როგორც ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა კავკასიის პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისათვის.

რკპ ც.კ-ის კავკასიის ბიურო ძირითად და მთავარ ამოცანად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას და განმტკიცებას და მტკიცე კომუნისტური პარტიის შექმნას კავკასიაში, ნაციონალური მშვიდობის დამყარებასა და შენარჩუნებას, მიწის საკითხის გადაწყვეტას, არმიის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას, კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ გაერთიანებას ერთმანეთთან და რსფს რესპუბლიკასთან ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობებში და სხვ.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამ, წინააღმდეგ მენშევიკური მთავრობის სურვილისა, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა საქართველოს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში. მათი მუშაობის ყველა უბანზე აშკარად იგრძნობოდა გამოცოცხლება. ამასთან ერთად რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამ წინააღმდეგ მენშევიკური მთავრობის სურვილისა, კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა რუსეთისადმი საქართველოს მშრომელი გლეხობის ნდობა და თანაგრძნობა, რომელიც ერთგვარად შერყეული იყო მენშევიკების მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ბინძური ჭორების გავრცელების შედეგად[2].

მენშევიკური მთავრობის მიერ გამოცხადებული ლეგალიზაცია ხანმოკლე გამოდგა. დაინახეს რა თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბოლშევიკებისათვის დაშვებულ ლეგალიზაციას, მენშევიკებმა საქართველოს ყველა კუთხეში დაიწყეს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დარბევა. კვლავ დაიწყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში უაღრესად მძიმე პერიოდი.

პარტიისა და კომკავშირის აქტიური წევრებით ივსებოდა

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის არქივი.

[2] იხ. „რკპ(ბ) ც.კ-ის იზვესტია", 1920 წლის 18 სექტემბერი.

თბილისის, ქუთაისის, სოხუმის და ბათუმის საპატიმროები, სადაც ისინი განიცდიდნენ წარმოუდგენელ წამებას.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ლეგალიზაციის გამოცხადებიდან სამი თვის განმავლობაში მენშევიკურმა მთავრობამ სამჯერ დააპატიმრა პარტიის თბილისის კომიტეტის თითქმის ყველა ახალი შემადგენლობა. ასეთივე რეპრესიები განიცადეს პარტიის ცენტრალურმა, საოლქო, სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტებმა.

ლეგალიზაციის გამოცხადების შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ პირველი დიდი აქტი ბოლშევიკების წინააღმდეგ განახორციელა 14 ივნისს. ამ დღეს მენშევიკური მთავრობის საგანგებო რაზმელებმა მოახდინეს ერთდროული თავდასხმა პარტიის დროებითი ცენტრალური და თბილისის საგუბერნიო კომიტეტების ბიუროებზე და გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაზე. დაპატიმრებული იქნა 50-დე კაცი, რომელთა დიდი ნაწილი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ იქნენ გადასახლებულნი.

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის გახსნის დღეს, 17 ივლისს მენშევიკურმა მთავრობამ ახალი დარტყმა მიაყენა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. დახურულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოები „კომუნისტი" და „საქართველოს კომუნისტი", დარბეული და დალუქული იქნა რედაქციები და სტამბები, დაპატიმრებულ იქნენ რედაქციების თანამშრომლები, რომლებიც დარბევის დროს აღმოჩნდნენ რედაქციებში. დაპატიმრებებს ადგილი ჰქონდა თბილისის რაიონებში, ამავე დროს რკინიგზის სახელოსნოებიდან სხვადასხვა საბაბით დათხოვნილ იქნა 1000-დე მუშა[1].

მენშევიკური მთავრობის პოლიციურ ორგანოებს ცალკეული კომუნისტების დაკითხვის ოქმში შეჰქონდათ ტრაფარეტული ბრალდებები: „შემჩნეულია შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში", „აგიტაციას ეწევა ჯარის ნაწილებში"

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი. ფ. 8. აღწ. 1. საქმე 106, კ. ფ. 4.

და ა. შ. იყო შემთხვევები, როცა კომუნისტური პარტიის ძველ წევრებს „ბრალდებად“ უყენებდნენ მატარებლების ᲨᲔᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲧᲐᲩᲐᲦᲣᲠ ᲑᲐᲜᲓᲐᲨᲘ მონაწილეობას. ასეთი ბრალდებით განსაკუთრებით ბევრი კომუნისტი იქნა ციხეში ჩაყრილი ქუთაისის გუბერნიაში. ᲮᲨᲘᲠᲘ იყო შემთხვევა, როცა ცალკეულ პირებს პასუხისგებაში აძლევდნენ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ გაზეთების წაკითხვისათვის.

მენშევიკებმა რეპრესიებს მალე მოუძებნეს გამართლება, რომ ვითომცდა ბოლშევიკებმა არ სცნეს რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების პირობები, უარყვეს ლეგალურად მუშაობა და გადავიდენ არალეგალურ მდგომარეობაზე, რომ ვითომც ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘ შეუდგნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას, რათა ამ გზით მოსპონ საქართველოს დამოუკიდებლობა და სხვ. ეს იყო სისხლიანი დანაშაულის დაფარვის უბადრუკი ხერხი.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ წინააღმდეგ მიღებული რეპრესიული ზომების შესახებ სისტემატურად ქვეყნდებოდა ინფორმაციული ხასიათის ცნობები პარტიის ბეჭდვით ორგანოებში. განსაკუთრებით ბევრი მასალა გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ (რუსულ ენაზე გამოდიოდა). ეს გაზეთი ყოველ ნომერში აძლევდა სპეციალურ განყოფილებას „მთავრობის რეპრესიების“ სახელწოდებით. განყოფილებაში ᲮᲨᲘᲠᲐᲓ 10-დე ცნობა ქვეყნდებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული მასალები:

„1. **ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.** ტერორის ქვეშაა გლეხთა მასა. ადგილი აქვს მასობრივ დაპატიმრებებს. ფასანაურში პარტიის შენობის კარზე გაკრული განცხადება კომისარ ნაზგაიძის მიერ ჩამოგლეჯილ იქნა. ᲑᲘᲣᲠᲝ დაბეჭდილია. 27 ივნისს დაპატიმრეს პასუხისმგებელი ორგანიზატორები აფციაური და სიხარულიძე...

2. **ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.** 20 ივნისი. ქალ. თელავის კომისრის მიერ გამოძახებულ იქნა ერთ-ერთი ადგილობრივი აქტიური მომუშავე ამხ. სამუმიაგინი (გიმნაზიის მასწავლებელი), რომელსაც წინადადება მისცეს — დაეტოვებია პარტია, წინააღ-

მდეგ შემთხვევაში იგი დაპატიმრებული იქნებოდა. დაპატიმრებულია 3 ამხანაგი.

3. გორის მაზრა. ვითომც გაქცევის ცდისათვის მხეცურად იქნა მოკლული პატიმრობაში მყოფი ამხ. კალიაშვილი. სურამში გაზ. „კომუნისტის“ გაყიდვისათვის დაპატიმრებულ იქნა ერთი ამხანაგი, რომელიც 8 დღის პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლეს. 27 ივნისს მიღებულ იქნა დეპეშა 26 ამხანაგის დაპატიმრების შესახებ, რომლებიც შეკრებილ იყვნენ ქალ. გორში მუშაობის მოწესრიგებისა და კომიტეტის შექმნის მიზნით.

4. ახალციხის მაზრა. სამუშაოდ მივლინებული ამხ. კაზანჯიანი 16 ივნისს დაპატიმრებულ იქნა სრულიად უმიზეზოდ და დღემდე ციხეში ზის. 28 ივნისს დაპატიმრებულ იქნა სამაზრო კომიტეტის მთელი შემადგენლობა. დაპატიმრებულია კიდევ პარიკმახერი მხოლოდ იმისათვის, რომ იგი კითხულობდა გაზ. „კომუნისტს“.

5. თიანეთის მაზრა. დაპატიმრებულია პასუხისმგებელი ორგანიზატორი მეგრელიშვილი, რომლისთვისაც არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ.

6. თბილისის მაზრა. შულავერში მთვრალი კომისარი მილიციონერებთან ერთად ღამით შეიჭრა პარტიულ ბიუროში. ჩაამტვრია პარტიული ბიუროს შენობის კარები და ფანჯრები და გაანადგურა დოკუმენტები.

7. სიღნაღის მაზრა. დაპატიმრებულია 2 პასუხისმგებელი მუშაკი — მ. ვარამაშვილი და ლ. მიროტაძე. წაიღეს საჩქმო და სხვა წიგნები და პარტიის წევრთა სია.

8. წალკის რაიონი. (თბილისის გუბერნია). მიღებული ცნობებით ადმინისტრაციის თავაშვებულობას საზღვარი არა აქვს, რის გამოც ლეგალურად მუშაობა შეუძლებელი ხდება. ამხანაგები იძულებულნი ხდებიან იმუშაონ არალეგალურად“[1].

ეს ცნობები მთლიანად გამოაქვეყნა გაზეთმა „პრავდამ“ 1920 წლის 8 აგვისტოს ნომერში.

ასეთი შინაარსის ცნობები სისტემატურად ქვეყნდებოდა

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1920 წლის 1 ივლისი.

აგრეთვე გაზეთების „საქართველოს კომუნისტისა“ და „ახალი კომუნისტის“ ფურცლებზე.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა აპატიმრებდნენ ორგანიზაციის არა რომელიმე ხელმძღვანელ მუშაკს, ან კიდევ რომელიმე რიგით წევრს, არამედ ორგანიზაციის მთელს შემადგენლობას. 26 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტები თავს დაესხნენ საქართველოს კომკავშირის I ყრილობაზე არჩეულ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და დაარბიეს; დააპატიმრეს ბორის ძნელაძე, რომელიც რამდენიმე დღის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს ბაქოში.

მენშევიკური მთავრობის მუხანათობა ხშირად იქამდე მიდიოდა, რომ იგი ყველა შესაძლო და შეუძლებელ საშუალებებით აფერხებდა საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის მუშაობასაც. აი რას წერდა ამასთან დაკავშირებით ს. მ. კიროვი თბილისიდან ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილ ერთ-ერთ პირველ წერილში: „საქართველოში ჩვენი წარმომადგენლობის ირგვლივ კვლავ იგივე ატმოსფეროა — ეჭვიანობა, პროვოკაცია და ყველაზე საზარელი ხმები“[1].

მენშევიკებმა, მიუხედავად იმისა, რომ ფიცულობდნენ საბჭოთა რუსეთთან კეთილმეგობრული ურთიერთობის შესახებ, ახალი ძალით გააჩაღეს ანტისაბჭოთა კამპანია. ისინი ბოლშევიკებს ხატავდნენ ხან დანით კბილებში, ხან, როგორც ბავშვებისა და დედების მკვლელებს; ახასიათებდნენ ბოლშევიკებს, როგორც სისხლის მსმელებს, ცივილიზაციის დაუძინებელ მტრებს, ხოლო რუსეთის საბჭოთა წყობილებას, როგორც საშუალო საუკუნეობრივ, ბარბაროსულ სისტემას. ბოლშევიკებისა და რუსეთის საბჭოთა წყობილების ასეთ დახატვაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ მენშევიკური მთავრობის ლიდერები ჟორდანია, რამიშვილი, ჯუღელი, გეგეჭკორი და სხვ. ამ დარგში ყოველგვარ ზომას გადააჭარბეს მენშევიკურმა გაზეთებმა და სატირულმა ჟურნალმა

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 461, საქმე 30611, ფ. 2.

„ეშმაკის მათრახმა". ათვალიერებ ამ ჟურნალის ნომრებს და თვალწინ წარმოგიდგება თუ რამდენად დაცემულან, ქართველი „სოციალისტები", საქართველოს „დემოკრატიული" წყობილების შემოქმედნი — მენშევიკები.

მიუხედავად ასეთი და სხვა ამგვარი უბადრუკი საშუალებებისა, მენშევიკები ვერ აღწევენ მიზანს — ვერ ახერხებენ სიძულვილი და უნდობლობა ჩაუნერგონ ქართველ ხალხს ბოლშევიზმისა და საბჭოთა რუსეთისადმი.

ქართველმა ხალხმა კარგად იცოდა, რომ მათთვის არ არსებობდა კოშმარული მენშევიკური „დემოკრატიიდან" ხსნის სხვა გზა, გარდა საბჭოთა რუსეთთან კავშირისა და ბოლშევიზმის გამარჯვებისა საქართველოში.

ასე უტიფრად არღვევდა მენშევიკური მთავრობა და მისი ადგილობრივი ორგანოები სამშვიდობო ხელშეკრულების ძირითად მოთხოვნებს. მაგრამ მენშევიკური რეპრესიების პასუხად მალე გაჩაღდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში საპროტესტო ტალღა. ყველა დიდმა ორგანიზაციამ, საარაიონო, სამაზრო, საქალაქო და საგუბერნიო კომიტეტებმა იწყეს საპროტესტო მოწოდებების გამოშვება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

მენშევიკური მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ მკაცრი პროტესტით მრავალჯერ გამოსულა ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ს. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში.

მენშევიკური მთავრობის მიერ პოლიციურმა, შავრაზმულმა დევნამ მნიშვნელოვნად გააძნელა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა საქართველოში. რეპრესიების შედეგად ერთგვარი დაღლილობა დაეტყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში. პარტიის დროებითმა ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად მისმა დროებითმა თავმჯდომარემ მ. ორახელაშვილ-

მა ივლისში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილ წერილში წამოაყენა წინადადება, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას დროებით ხელი აეღო აქტიურ პოლიტიკურ და რევოლუციურ მუშაობაზე და პარტიული კადრები გადაესროლათ ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში, სადაც უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული[1].

თავის ამ მოსაზრებას ორახელაშვილი იმით ამართლებდა, რომ საქართველოს პარტიულ კადრებს შეეძლოთ ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით ხელი შეეწყოთ ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ამავე დროს შეენარჩუნებიათ გადარჩენილი ამხანაგები, რომელთაც გარდუვლად ემუქრებოდათ ციხეში ჩაგდება, აგრეთვე შესაძლებლობა მისცემოდათ ამხანაგებს პრაქტიკულად გაევლოთ საბჭოთა მშენებლობის სკოლა და ამრიგად შექმნილიყო მომზადებული კადრები ამ დარგში[2].

იმ პერიოდში, როცა საქართველოში სულ უფრო და უფრო მწიფდებოდა პირობები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, აქტიურ პოლიტიკურ და რევოლუციურ მუშაობაზე ხელის აღების მოთხოვნა არაფრით არ შეიძლებოდა გამართლებულიყო. მაგრამ ასეთი განწყობილება მალე თვითონ დაგმო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ საქმეში მას დიდი დახმარება აღმოუჩინა რკპ(ბ) ც.კ-ის კავბიუროს პრეზიდიუმმა, რომელმაც 1920 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე სპეციალურად განიხილა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. თავის დადგენილებაში კავბიურომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას წინადადება მისცა, რომ „არავითარ შემთხვევაში“ ხელი არ აეღო „ლეგალურ მდგომარეობაზე“[3] და განეგრძო მუშაობა ლეგალურ პირობებში. კავბიუროს პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე განიხილა საკითხი „საქართველოში მოქმედების ხაზის შესახებ“. ამ საკითხთან დაკავშირებით

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 8, აღწ. 4, საქმე 106 კ., ფ. 6.

2 იქვე.

3 მარქსიზმ-ლენინიზმის არქივი, ფ. 17, აღწ. 2, საქმე 232, ფ. 1.

მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „საერთო ხაზს, რომელიც ნაკარნახევია თანამედროვე მომენტით, წარმოადგენს მშვიდობიანობის პოლიტიკა“[1]. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ეს რეზოლუცია ჯერ კიდევ ნაადრევად სთვლიდა საქართველოს პირობებში შეიარაღებული აჯანყების მოთხოვნას.

უფრო ადრე სექტემბრის პირველ რიცხვებში კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ, რისთვისაც კავბიუროსთან შეიქმნა 3 კაცისაგან შემდგარი სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის მომსახურეობის გაწევა[2]. ამავე სხდომაზე კავბიურომ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები მ. ორახელაშვილი, მ. ტოროშელიძე, ვ. სტურუა, ს. თოდრია, მარიამ ორახელაშვილი, არჩილ მიქაძე, კანდიდატები: აკირტავა, ვაშაკიძე და საბაშვილი[3].

რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის გარდაქმნის შესახებ მიღებული მთელი რიგი ღონისძიებათა შედეგად პარტიული ორგანიზაციების მუშაობა საქართველოში ახალი ძალით გაჩაღდა. აღდგენილ იქნა რეპრესიების შედეგად დაშლილი მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები. მთელ რიგ მაზრებში ჩატარდა პარტიული კონფერენციები, რომლებიც სახავდნენ ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის, მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მასების მობილიზაციის ღონისძიებებს.

1920 წლის 28 ნოემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც განიხილა მომენტის უმნიშვნელოვანესი საკითხები. კონფე-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის არქივი, ფ. 17, აღწ. 2, საქმე 232, ფ. 1.
[2] იქვე, საქმე 231, ფ. 5.
[3] იქვე.

რენციამ[1] აირჩია ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შეეიდნენ: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, თუმანოვი, ვ. სტურუა, მ. ტოროშელიძე და სხვ. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. ორახელაშვილი[2].

საგრძნობი გამოცოცხლება დაეტყო პარტიის საგამომცემლო საქმიანობას. 20 ოქტომბრიდან თბილისში გამოსვლა იწყო პარტიის დროებითი ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანომ „კომუნისტ გრუზია"; დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოცემულ იქნა სომხურ ენაზე ბოლშევიკური გაზეთი „ქარმირ ასტლი" („წითელი ვარსკვლავი"). იცემოდა აგრეთვე რუსულ და ქართულ ენებზე სხვადასხვა პოლიტიკურ მოვლენებისადმი მიძღვნილი მოწოდებები და პროკლამაციები.

რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს 3 ნოემბრის დადგენილებით თბილისში იქმნება გამომცემლობა — „სოციალისტური გამომცემლობის"[3] სახელწოდებით, რომელიც ემსახურებოდა საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს.

ამ მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წარმატებით მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობასა და დახმარებას, რომელსაც იგი უწევდა მას, როგორც ხელმძღვანელი პარტიული კადრების გამოგზავნით, ისე ყოველდღიური სახელმძღვანელო მითითებების გამოგზავნით.

1920 წლის 27 ნოემბერს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება კავკასიის საქმეების შესახებ[4]. მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა ვრცელი დადგენილება, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ძირითადი მორიგი ამოცანები.

---

[1] დელეგატების უმრავლესობის მოთხოვნით კონფერენცია გამოცხადებულ იქნა ყრილობად. იხ. მ. ორახელაშვილის წერილი რედაქციის მიმართ „პარტიის ისტორიიდან ზოგიერთი ელემენტი უნდა განეეკნიდ იყოს" (გაზ. „კომუნისტი", 1923 წლის 7 სექტემბერი).

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. არქივი. ფ. 17. აღწ. 2. საქმე 232. ფ. 90.

[3] იქვე. საქმე 231, ფ. 7.

[4] სკკპ ცენტრალური კომიტეტის არქივი.

თ ა ვ ი III

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში

1920 წლის ბოლოსათვის კიდევ უფრო მძიმე გახდა მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. საქართველო აღმოჩნდა მძიმე ეკონომიური კრიზისის კლანჭებში. გამოიფიტა, ამოიწურა მთელი ეკონომიური მარაგი, მოიშალა საგაჭრო ბალანსი, საბოლოოდ დაირღვა ქალაქსა და სოფელს შორის წინანდელი შედარებით ნორმალური ურთიერთობა. ნაციონალ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“ 1920 წლის 12 ნოემბრის ნომერში აღნიშნავდა, რომ ძირითადი მოხმარების პროდუქტები გაძვირდა 20000-დან 50000 პროცენტამდე; პური, ძაფი, ფეხსაცმელი, შაქარი და სხვ. გაძვირდა 100000 პროცენტით. 1920 წლის ბოლოსათვის ცხოვრება საქართველოში 1913 წელთან შედარებით გაძვირდა 3133-ჯერ[1]. ეს ციფრი 1919 წლის ივლისს უდრიდა 126-ს[2]. მოხდა ქაღალდის ფულის ნიშნების გაუფასურება. საკმარისია ითქვას, რომ 1920 წლის მეორე ნახევრიდან ყოველთვიურად საქართველოს მენშევიკური მთავრობა უშვებდა 9 მილიარდამდე ქაღალდის ფულს. 1917 წლის დამლევს გირვანქა სტერლინგი ფასობდა ცხრა მანეთ ნახევარი ქართული ფულით, 1918 წლის დამლევს სტერლინგის ფასი ავიდა 40

---

[1] ამიერკავკასიის საფინანსო-სტატისტიკური კრებული 1918—1923 წწ., ნაწ. 1, გვ. 13, 1924.

[2] იქვე.

მანეთამდე, 1920 წლის ივლისში სტერლინგი ფასობდა 2500 მანეთი, ხოლო აგვისტოს ორ კვირაში სტერლინგის ფასი ავიდა 7000 მანეთამდე. 1920 წლის შემოდგომისათვის მანეთის კურსი თითქმის 100-ჯერ დაეცა[1].

„სიძვირე საშინელი სისწრაფით იზრდება ჩვენში. იგი ჰბოჭავს მუშას და გლეხს, ახშობს წვრილ ხელოსნებს, მოხელეებს, აკნინებს ძუძუმწოვარ ბავშვებს"[2] — ვკითხულობთ გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე.

„მუშა საშინელ, დუხჭირ, მშიერ ცხოვრებას ეწევა, ვარდება უფსკრულში, ნადგურდება ფიზიკურად"[3] — წერდა გაზეთი „სახალხო საქმე".

„სიცივე და სიმშილი სახლში, სიცივე და სიმშილი სამსახურში, აი სურათი დღევანდელი ცხოვრებისა"—წერდა იგივე გაზეთი 1920 წლის 24 ნოემბერს.

ასე წერდნენ არა მარტო ნაციონალ-დემოკრატების ორგანო „საქართველო" და ფედერალისტების ორგანო „სახალხო საქმე", არამედ ასე წერდნენ თვით მმართველი პარტიის—მენშევიკების ორგანოები „ბორბა" და „ერთობა".

„რესპუბლიკა განიცდის ეკონომიურ კრიზისს, რომელიც მძიმე, აუტანელ ტვირთად აწვება მშრომელებს[4]"— წერდა „ბორბა".

„განსაკუთრებულ მძიმე უღლად აწევს ეს კრიზისი მშრომელ ხალხს. დღეს ბაზარზე ვაკხანალიაა, რომლის გამკლავება არ შეუძლია მომხმარებელ მუშას. სიღატაკეში ჩავარდნილი მასა ნერვიულობს"[5]—იტყობინებოდა გაზეთი „ერთობა".

ასე აღწერდნენ მენშევიკური საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის სურათს თვით რეაქციული გაზეთებიც კი. თუმცა ისინი მოწოდებული იყვნენ, რომ იდეალურ ფორმებში დაეხატათ მენშევიკური წყობილება, მისი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება.

---

1 გაზ. „ნოვაია გრუზია", 1920 წლის 18 აგვისტო.
2 გაზ. „საქართველო", 1920 წლის 12 ნოემბერი.
3 გაზ. „სახალხო საქმე", 1920 წლის 24 ნოემბერი.
4 გაზ. „ბორბა", 1920 წლის 19 დეკემბერი.
5 გაზ. „ერთობა" 1920 წლის 9 დეკემბერი.

ათეულობით და ასეულობით დეპეშებს ღებულობდა „დემოკრატიული“ საქართველოს ლიდერი ნოე ჟორდანია მუშებისა და მოსამსახურეებისაგან მათი უმწეო მდგომარეობისა და უსიხარულო ცხოვრების შესახებ. „გვშია, გვწყურია, გვცივა, იწამეთ ღმერთი, დაგვაკმაყოფილეთ გასული თვეების ჯამაგირებით მაინც“, ვკითხულობთ ხობიდან მასწავლებელთა ჯგუფის მიერ ჟორდანიას სახელზე გამოგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში. მარტო ხობში როდი იყო ასეთი მდგომარეობა. ასე იყო მთელს საქართველოში.

ეკონომიური კრიზისი განსაკუთრებით გააძწვავა იმან, რომ საქართველოს არ გააჩნდა ან თითქმის არ გააჩნდა საკუთარი მრეწველობა. „საქართველო მიდის კატასტროფისაკენ“ — ასე ჩამოაყალიბა მდგომარეობა ჟორდანიამ ეკონომიურ თათბირზე, რომელიც შედგა თბილისში 1920 წლის 16—17 ოქტომბერს.

მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ გამოიწვია რევოლუციის ბაზის გაფართოება, მუშებისა და გლეხების უკმაყოფილების ახალი ტალღა. უკვე 1920 წლის ოქტომბრიდან წინათვეებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა გაფიცვებისა და მასში მონაწილეთა რაოდენობა. ეწყობა საიდუმლო კრებები და მიტინგები.

საქართველოს მშრომელებმა მიუხედავად რეპრესიებისა, ფართოდ აღნიშნეს ოქტომბრის რევოლუციის 3 წლისთავი. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ჩატარდა კრებები, სადაც ღებულობდნენ მისალმების წერილებს საბჭოთა რუსეთისა და ვ. ი. ლენინისადმი.

7 ნოემბერს გამოცემულ იქნა ბოლშევიკური გაზეთების სპეციალური ნომრები. 7 ნოემბრის დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა სტატიების კრებული „დიდი პროლეტარული რევოლუციის“ სახელწოდებით. კრებული იხსნებოდა მარქსისა და ლენინის პორტრეტებით. მრავალი მისალმების დეპე-

---

1 საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფ. 113, საქმე 18, ფ. 1.

შები იქნა გაგზავნილი საბჭოთა მთავრობის, პირადად ვ. ი. ლენინის სახელზე საქართველოდან.

7 ნოემბერს პარტიის თბილისის კომიტეტმა მოიწვია საქალაქო პარტიული კრება ოქტომბრის რევოლუციის 3 წლისთავთან დაკავშირებით. კრებამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა რუსეთის პროლეტარიატს.

„ამხანაგებო!, — ეკითხულობთ მისალმებაში, — დღეს ოქტომბრის დიდი რევოლუციის სამი წლის თავზე საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაცია გესალმება თქვენ და გილოცავთ რუსეთის პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის გამარჯვებას! სამი წლის წინათ თქვენ ჩაუყარეთ მკვიდრი საფუძველი სოციალურ რევოლუციას და მის შემდეგ შეუდრეკლად მიდიხართ სრულ გამარჯვებისაკენ.

წინ, ამხანაგებო! ჩვენც თქვენთან ვართ!...

გაუმარჯოს გმირული რუსეთის პროლეტარიატს და მის გამობრძმედილ ბელადს ამხ. ლენინს!“[1].

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის 3 წლის თავის ასე ფართოდ აღნიშვნა ცხადად მიუთითებდა მშრომელი მასების პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებაზე, საბჭოთა რუსეთისადმი მათი სიმპათიის შემდგომ ზრდაზე.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, რომელიც მოხდა 1920 წლის 29 ნოემბერს. „დარჩა მარტო ქართველი ხალხი, რომელიც ყოველმხრივ გარშემორტყმულია მტრებით“,— ასე შეაფასეს მენშევიკური მთავრობის ლიდერებმა მშრომელი სომეხი ხალხის მიერ ბრძოლით მოპოვებული ისტორიული გამარჯვების ფაქტი.

„მტრული“ სახელმწიფოებით გარემოცული საქართველოს მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებში აშკარად იგრძნობოდა სკეპტიკური კილო, სკეპტიკური განწყობილება. მენშევიკური მთავრობა აშკარად გრძნობდა,

---

[1] გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წლის 13 ნოემბერი.

რომ დრო და ვითარება მოქმედებდა მის საწინააღმდეგოდ და რევოლუციის სასარგებლოდ.

მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის გავლენით მთავრობაში იწყება შინაური უთანხმოება. ნაწილი აზრს გამოთქვამს საბჭოთა რუსეთთან უფრო ნორმალური ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ. მეორე, მაგრამ დიდი ნაწილი ნ. რამიშვილის მეთაურობით გადაჭრით იცავდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის განგრძობის პოლიტიკას, თუ გინდ ეს მათ დასჯდომოდათ მთელი ქართველი ერის ამოხოცვის ფასად. ეს უკანასკნელი კვლავ დარჩა მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითად შინაარსად.

რამიშვილი კვლავ ჯიუტად გაიძახოდა:

— გავყვებით ვისაც გნებავთ, ოღონდ ბოლშევიკებს კი არა!

რამიშვილს არ ესმოდა, რომ „მისი უქვეშევრდომილესი" საქართველო სულ უფრო და უფრო დაბეჯითებით აცხადებდა:

— გავყვებით მხოლოდ ბოლშევიკებს და სხვას არავის![1]

1920 წლის შემოდგომაზე მენშევიკურმა მთავრობამ გამოაცხადა ჯარში 12 ასაკის მობილიზაცია[2], რამაც მენშევიკური რეჟიმის შედეგად ისედაც განადგურებული გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი გახადა. საქართველოში გამოცხადებული მობილიზაციის მიზეზების შესახებ ს. მ. კიროვის შეკითხვის პასუხად მენშევიკურმა მთავრობამ განაცხადა, რომ მან მობილიზაცია ჩაატარა მხოლოდ და მხოლოდ თავისი საზღვრების ხელუხლებლობის უზრუნველყოფის მიზნით. საერთოდ კი მას სურს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდეს ყველასთან. „საქართველო საფრთხეს ხვდება მომზადებული და ეს უნდა ახარებდეს საქართველოს ყველა მოქალაქეს", — წერდა მობილიზაციასთან დაკავშირებით გაზ. „სლოვო" 1920 წლის 12 ოქტომბრის ნომერში.

ცხადი იყო, რომ მენშევიკური მთავრობის მიერ „საზ-

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი. ფ. 80. აღწ. საქმე 11 კ., ფ. 3.

2 სკკპ ცენტრალური კომიტეტის არქივი.

ლერების დაცვის მიზნით“ მობილიზაციის გამოცხადება, იყო მხოლოდ საფარველი, რომლითაც იგი ცდილობდა დაემალა თავისი ვერაგული გეგმები ქვეყნის შიგნით რევოლუციური ძალების დათრგუნვისა და ხელსაყრელ მომენტში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ასეთი „დემოკრატიული“ ამოცანების შესასრულებლად სავსებით საიმედო ძალას მენშევიკური მთავრობისათვის არც მისი ჯარი წარმოადგენდა. ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად ხშირად დეზერტირობდნენ მთავრობის ჯარების მწყობრის ოფიცრები და ჯარისკაცები. 1920 წლის ბოლოს რეგულარული ნაწილებიდან როგორც საეჭვო პირები განაიარაღეს, სამხედრო ტანსაცმელი გახადეს და ნახტევანში გაგზავნეს 1000 ჯარისკაცი. ვერც მენშევიკური მთავრობის ხანგრძლივი მეცადინეობით შექმნილი „სოციალიზმის გვარდიელები“ (ასე უწოდებდნენ მენშევიკები სახალხო გვარდიას) ამართლებდა იმედებს, თუმცა კი იგი ჯერჯერობით ითვლებოდა მთავრობის მთავარ დასაყრდენ ძალად.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ასეთი ნაძალადევი საშინაო ვითარების დღეებში „დახმარების“ ხელი გაუწოდეს ინგლისელებმა. 1920 წლის დეკემბერს ინგლისის მთავრობამ საქართველოს მთავრობას შესთავაზა სამსახური, რომ მოამარაგებდა საქართველოს იარაღით, ტანსაცმლით, ფულით და ყველაფერი იმით, რაც საჭირო იქნებოდა არმიისათვის, რაც ესაჭირდებოდა მას თავისი არმიისათვის სრული მობილიზაციის შემთხვევაში. ამ დახმარებას ინგლისის მთავრობა საქართველოს ჰპირდებოდა სრულიად უმოკლეს დროში — თვე, თვენახევარ, მაქსიმუმ ორ თვეში.

ჰქონდა რა ასეთი დაპირება ინგლისის მხრივ, მენშევიკური მთავრობა არ გრძნობდა თავს მარტოდ მარტო მოახლოებულ რევოლუციური ქარიშხლის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა გრძნობდა, რომ მისი დამარცხების შანსი სულ უფრო და უფრო მატულობდა. მენშევიკური საქართველოს მიმართ დიდ გულუხვობას იჩენენ ევროპის სახელმწიფოების ბანკირებიც. მათ მენშევიკურ მთავრობას სესხად შეპირდნენ

5 მილიონი გირვანქა სტერლინგი „გადაუდებელი ხარჯებისათვის“ — ე. ი. რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მენშევიკური მთავრობისათვის ასეთ მძიმე ვითარებაში დიდ მორალურ მხარდაჭერას წარმოადგენდა სექტემბერში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში. ჟორდანიამ, რამიშვილმა და მენშევიკური მთავრობის სხვა მესვეურებმა გადაწყვიტეს ღირსეული შეხვედრა მოეწყოთ თავიანთი მასწავლებლებისათვის — რენოდელის, ტომ. შოუს, ვანდერველდეს, მაკდონალდის, ჰუისმანსის და სხვებისათვის. პირველი შეხვედრა „დიდი წარმატებით“ ჩატარდა ფოთის ნავსადგურში, სადაც საზეიმო შეხვედრაში 600-მდე ორგანიზებულ მუშიდან მონაწილეობა მიიღო 15 „მუშამ“. ასეთივე „წარმატებით“ იქნა ჩატარებული შეხვედრა თბილისში — მენშევიკური მთავრობის ციტადელში, სადაც 50—60 ათასამდე ორგანიზებული მუშიდან, როგორც მ. ცხაკაია წერდა: „ერევნის მოედანზე (ამჟამად ლენინის მოედანი) თავი მოიყარა რამდენიმე ასეულმა მუშამ და ქუჩის დოყლაპიებთან და სპეკულიანტებთან ერთად შეადგინეს 700—800 კაცისაგან მიტინგი“[1].

„გამარჯვებული იმპერიალიზმის დელეგაცია“ — ასე შეაფასეს საქართველოს ბოლშევიკებმა მენშევიკების „ძვირფასი სტუმრები“ — II ინტერნაციონალის დელეგაცია.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა მეორე ინტერნაციონალის ბელადი — რენეგატი კაუცკი.

მეორე ინტერნაციონალის ლიდერებმა საქართველოში „სოციალიზმის ამ მზიურ ქვეყანაში“, როგორც მას ვანდერველდემ უწოდა, მალე დაინახეს ქვეყნის კატასტროფიული სურათი, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მდგომარეობის მხრივ. კაუცკიმ II ინტერნაციონალის კომიტეტს ლონდონში დეპეშა გაუგზავნა საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროების შესახებ.

ეს მოვალეობის მოხდას ჰგავდა, ვინაიდან მენშევიკურ მთავრობას ასეთი მხარდაჭერა არ აკლდა ანტანტის სახელ-

---

[1] მ. ცხაკაია, საქართველო, სომხეთი, ანტანტა და საბჭოთა რუსეთი, იხ. ჟურ. „კომუნისტური ინტერნაციონალი“, 1920 წ. № 5.

ბწიფოებისაგან, მაგრამ იგი, ეს მხარდაჭერა კატასტროფის გზაზე მდგომი მენშევიკური რეჟიმისათვის არ აღმოჩნდა საკმარისი. კაუცკი სულ უფრო რწმუნდებოდა მენშევიკური მთავრობის უიმედო მდგომარეობაში, რაც მან მიუხედავად ბოლშევიზმისადმი დიდი სიძულვილისა, სავსებით სწორად გამოხატა საქართველოდან გამგზავრების წინ სამ სიტყვაში: „ბოლშევიზმი ამიერკავკასიაში გარდუვალია“.

მენშევიკების სამი წლის ბატონობის შედეგად საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას ამომწურავი შეფასება მისცა ი. ბ. სტალინმა გაზეთ „პრავდას“ თანამშრომელთან საუბარში 1920 წლის ნოემბრის ბოლოს. ი. ბ. სტალინმა განაცხადა: „საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა,— ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის, ტყუილად კი არ მოხდა, რომ მომაკვდავი II ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა ბ-ნმა კაუცკიმ, რევოლუციის ტალღის მიერ ევროპიდან გატყორცნილმა, თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ, ანტანტის ბადეში გახვეულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუქნეებთან. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“[1].

1920 წლის 15 დეკემბერს რკპ(ბ) კავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების შესახებ[2].

რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე 1921 წლის იანვრის პირველი რიცხვებიდან საქართველოს პარტიული ორგანიზაციები შეუდგნენ აჯანყებისათვის მზა-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 446—447.

[2] სკკპ ცენტრალური კომიტეტის არქივი.

ღებას. აჯანყებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს წითელი რაზმების შექმნა უმნიშვნელოვანეს ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად ყველა დიდი პუნქტის დასაკავებლად. წითელ რაზმებში ფართოდ ნაკადად შედიოდნენ მუშები, გლეხები, კომუნისტები, კომკავშირელები, მშრომელი ახალგაზრდები. ისინი წითელ რაზმებში სწავლობდნენ სამხედრო საქმეს, ყოველნაირი გზით შოულობდნენ იარაღს, ვაზნებს, ხელყუმბარებს, ეცნობოდნენ შაშხანას, ემზადებოდნენ ბრძოლისათვის.

მენშევიკურმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რათა თავიდან აეცილებინა მრისხანე აჯანყება, რომელსაც საქართველოს ბოლშევიკები ამზადებდნენ. ყველა ზომა მიიღო რაც მასზე იყო დამოკიდებული აჯანყების ორგანიზატორების — ბოლშევიკების გასანადგურებლად. 11—12 დეკემბერს თბილისში 70-ზე მეტი კომუნისტი დააპატიმრეს და სასწრაფოდ გაგზავნეს ქუთაისის საკატორღო ციხეში. დააპატიმრეს ბოლშევიკური გაზეთების თანამშრომლები, რედაქციების მდივნები, კორექტორები, ასოთამწყობები. დააპატიმრეს აგრეთვე რევოლუციონერი კომუნისტები და მათი თანამგრძნობნი. 11 დეკემბერს საგანგებო რაზმის უფროსი ეწვია თავის აგენტებთან ერთად თბილისის კომიტეტის ბიუროს, ჩაიწერეს ყველა იქ მყოფი პარტიის წევრების გვარები. ხოლო მეოთხე დღეს, 14 დეკემბერს ყველა ისინი დააპატიმრეს. ასე მოიქცნენ პარტიის თბილისის რაიონული კომიტეტების ბიუროებშიც. თითქმის ყველა პარტიული ბიუროების ბინები ალყაშემორტყმულ იქნა საგანგებო რაზმის აგენტების მიერ. თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოს სხვა ადგილებშიც.

1921 წლის პირველი იანვრისათვის მენშევიკური მთავრობის ციხეებში გმინავდა 400-მდე კომუნისტი. მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა[1].

თავისი სისასტიკით ცნობილმა მენშევიკური მთავრობის

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, აღწ. 3, საქმე 421, ფ. 7.

შინაგან საქმეთა მინისტრმა რამიშვილმა ფეხზე დააყენა ძალმომრეობისა და დარბევის მთელი აპარატი — საგანგებო რაზმელები, მილიცია, სახალხო გვარდია და ჯარის ნაწილები. დეკემბრისათვის მენშევიკურ მთავრობას იარაღსქვეშ ყავდა 150 ათასი ჯარისკაცი. იანვრის დასაწყისისათვის არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილები უკვე განაწილებული იყო რესპუბლიკის ფრონტებზე. განსაკუთრებით გაძლიერებულ იქნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრონტები.

თებერვალში მენშევიკურმა მთავრობამ გამოაცხადა 21 ასაკის (19-დან 40 წლამდე) მობილიზაცია. გამოცხადდა სამხედრო წესები, შეიქმნა სამშობლოს ხსნის კომიტეტი. მრავალი სხვა ასეთი ღონისძიება იქნა გატარებული მენშევიკების მიერ, მაგრამ ეს იყო უიმედო ცდები მენშევიკური მთავრობისა, რომლის არსებობის დღეები უკვე დათვლილი იყო.

აჯანყება, რომელიც გადაიქცა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის დასაწყისად, მოხდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ბორჩალოს მაზრაში. იგი დაიწყო ღამე 11 — 12 თებერვალს. აჯანყება სწრაფად იზრდებოდა. მას უერთდებოდნენ სხვა მაზრების გლეხები. „წითელ აჯანყებულთა ტალღა ფართოვდება და უახლოვდება თბილისს“ — წერდა გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩი“ 1921 წლის 12 თებერვლის ნომერში.

მენშევიკურმა მთავრობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ ჩაექრო აჯანყებები. ამ მიზნით მან აჯანყების ადგილებზე გაგზავნა ჯარის რეგულარული ნაწილები და სპეციალური დამსჯელი რაზმები, რომლებიც ველური სისასტიკით უტევდნენ აჯანყებულებს.

მენშევიკების სიმხეცის შესახებ ს. ორჯონიკიძე 16 თებერვალს პირდაპირი მავთულით საუბრის დროს ს. კიროვს აცნობებდა: „საქართველოს მენშევიკებმა თავი მოუყარეს დიდ ძალებს და გაგზავნეს აჯანყებულების წინააღმდეგ. მხეცობა, რომელსაც სჩადიან სახალხო გვარდიელები აუღწერელია“[1].

---

[1] წითელი არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, მოსკოვი, ფ. 109, საქმე 505, ფ. 59.

საქართველოს რევოლუციონურმა კომიტეტმა[1] თხოვნით მიმართა ვ. ი. ლენინს საქართველოს მშრომელებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

„საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც იშვა მენშევიკების კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ხალხთა მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლში, — ეკითხულობთ მიმართვაში, — აღფრთოვანებულ სალამს უგზავნის დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადს. საერთაშორისო იმპერიალიზმის სამი წლის მანძილზე ნასაზრდოებმა მენშევიკების მთავრობამ შექმნა საკუთარი პოლიციური და სამხედრო აპარატი მშრომელთა დასათრგუნავად. საერთაშორისო რეაქციის და ქართველი მენშევიკების კოალიციის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელები სუსტი იყვნენ და ყველა ცდა დაემსხოთ მოძალადეთა უღელი, დამარცხებით მთავრდებოდა. მაგრამ ხალხის მასების უკანასკნელი აჯანყება ძლევამოსილი აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობის დასახმარებლად ისწრაფვიან ევროპის რეაქციის ძალები. გაერთიანებული შავი ლაშქარის დაწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ შეერთებულ წითელ სოციალისტურ ლაშქარს შეუძლია. ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციისა, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობების ქვეყანა, არ დაგვტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას“[2].

ამ თხოვნის საფუძველზე 17 თებერვალს XI არმიის ნაწილები აჯანყებულებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით გადმოდიან საქართველოს საზღვარზე. მშრომელები XI არმიას ყველგან ეგებებოდნენ, როგორც წყეული მენშევიკური რეჟიმისაგან განმათავისუფლებლებს.

---

[1] საქართველოს რევკომი შეიქმნა 16 თებერვალს. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ა. ნაზარეტიანი, ბ. კვირკველია და სხვ.

[2] „უახლოესი დროის საერთაშორისო პოლიტიკა ხელშეკრულებებსა, ნოტებსა და დეკლარაციებში“, ნაწ. III, გვ. 87. მოსკოვი, 1928.

18 თებერვალს რევოლუციურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს, საქართველოს ყველა მშრომელს, რომ იარაღისათვის მოეკიდათ ხელი, დაემხოთ ადგილებზე მენშევიკების ხელისუფლება, შეექმნათ ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები და ხელთ ჩაეგდოთ ძალაუფლება.

მოწოდების დასასრულს ვკითხულობთ: „ამხანაგებო, ძმებო,— ქალაქისა და სოფლის მშრომელნო! განაწამებ, მენშევიკური რეაქციის ყინულით შეკრულ საქართველოში ამობრწყინდა პროლეტარული რევოლუციის მზე. ნუ მისცემთ საშუალებას რეაქციის შავ ძალებს კვლავ დააბნელონ იგი, კვლავ ჯოჯოხეთში ჩააგდონ. დაამხეთ ყველგან მენშევიკების ხელისუფლება! ხელთ აიღეთ ადგილებზე მთელი ძალაუფლება! შექმენით ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები! ხელი მოჰკიდეთ იარაღს, ამხანაგო მშრომელებო! წინ საბჭოთა ხელისუფლებისათვის!“[1].

რევკომის მოწოდების პასუხად აჯანყდა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები, აჯანყდა აფხაზეთის მშრომელები, აჯანყდა სამეგრელო, აჭარა, გურია... ყველგან, საქართველოს ყველა კუთხეში იქმნებოდა რევკომები.

მენშევიკური მთავრობა სულ ახალ-ახალ კონტრზომებს მიმართავდა რევოლუციის წინააღმდეგ. 19 თებერვალს მთავრობამ შექმნა რამდენიმე მინისტრისაგან სპეციალური კოლეგია, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს „დასაცავად“ ძალების მობილიზაციის საქმისათვის. კოლეგიის რეზიდენცია იყო ქუთაისი. მენშევიკური მთავრობა სცემდა მოწოდებას მოწოდებაზე. ამ მოწოდებებს ჰქონდა დამახასიათებელი წარწერები: „ყველას, ყველას, ყველას...“, „მოწოდება, მოწოდება, მოწოდება!“

ბოლშევიკების მიერ სამნახევარი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები იმდენად დიდი იყო, რომ მენშევიკური მთავრობის ეს მოწოდებები გააფთრებას იწვევდა მუშებსა და გლეხებში. მუშები და გლეხები უკვე წარმოა-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 54.

დგენდნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის არმიას. იმ ძალადობისა და დამცირებისათვის შურისმგებელ არმიას, რაც მენშევიკებმა მიაყენეს საქართველოს მშრომელ ხალხს, მთელ ერს სამნახევარი წლის განმავლობაში. რაც შეეხება ბურჟუაზიას, იგი გარბოდა თბილისიდან ბათუმისაკენ. „მოწოდების" სიმაღლეზე აღმოჩნდნენ მხოლოდ მენშევიკური და ბურჟუაზიული გაზეთები: „ერთობა", „ბორბა", „საქართველო", „სლოვო", „ბათუმის ცხოვრება", „ეხო ბატუმა" და სხვ. მაგრამ ამ გაზეთების უკვე არავის სჯეროდა.

ისტორიის მიერ განწირულმა მენშევიკურმა მთავრობამ ხრწნის პროცესში მყოფი საკუთარი ძალების სულიერი განწყობილების ამაღლების მიზნით 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების საღამოს სხდომაზე მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. მეორე დღეს მთავრობამ მსოფლიოს აცნობა: „ახლა საქართველო მთელი მსოფლიოს თვალწინ საბოლოოდ გაფორმდა და დამკვიდრდა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო.

ბევრის მთქმელ სიმბოლოს წარმოადგენს ის, რომ საქართველოს კონსტიტუცია დაიბადა ქვემეხების გრიალში".

ვერ იხსნა მენშევიკური მთავრობა კონსტიტუციის მიღებამ. ქვემეხების გრიალში დაბადებული ეს კონსტიტუცია მენშევიკურ მთავრობასთან ერთად მალე ჩაესვენა ქვემეხების გრიალშივე. კანონის მქონე მენშევიკურმა მთავრობამ მხოლოდ ოთხი დღე იარსება.

მენშევიკური მთავრობის კონტრრევოლუციურ ძალებში სიმხნევის შეტანას ისახავდა მიზნად 22 თებერვალს ჟორდანიას მიერ დამფუძნებელ კრებაზე წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს მდგომარეობა ბრწყინვალეა, რომ თბილისი „აუღებელი სიმაგრეა, ვერდენია". ეს იყო ჟორდანიას უკანასკნელი ოფიციალური გამოსვლა საქართველოში. მისი სიტყვებიდან მოსაგონრად მენშევიკების ლიდერის წინდაუხედაობის მეტი არაფერი არ დარჩენილა.

1921 წლის 25 თებერვალს საუკუნეობით განაწამებმა

საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხისა და მისი გმირი საბჭოთა არმიის დახმარებით სამუდამოდ გაანადგურა საერთაშორისო რეაქციის მიერ ზურგგამაგრებული მენშევიკური მთავრობის სისხლიანი დიქტატურა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. გაუგონრად ბევრი უბედურების მოწმე საქართველოს დედაქალაქში — თბილისში კომუნიზმის დიადი დროშა აფრიალდა.

25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვში ლენინსა და სტალინს გაუგზავნა დეპეშა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“[1].

მესამე დღეს, 27 თებერვალს ს. ორჯონიკიძემ ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას, განაცხადა:

„მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. დაეცა საქართველოს მენშევიზმის სიმაგრე, „ვერდენი“ — თბილისი. საქართველოს მუშებისა და გლეხების ნებით დაემხო მენშევიკ-მედუქნეების ბატონობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა“[2].

ვ. ი. ლენინმა 2 მარტს წერილი გამოუგზავნა ორჯონიკიძეს, სადაც იგი თხოვდა მას: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“[3].

ვ. ი. ლენინის წერილი მარტო მისალმებას როდი შეიცავდა, იგი წარმოადგენდა საქართველოს მშრომელებისათვის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლის კონკრეტულ გეგმას. ვ. ი. ლენინს ასეთი სახელმძღვანელო მნიშვნელობის არა ერთი და ორი წერილი გამოუგზავნია საქართველოს ბოლშევიკებისათვის შემდეგშიც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში დიდი როლი შეასრულეს კომუნისტური პარტიის გა-

---

1 გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. რჩეული სტატიები და სიტყვები, გვ. 98.

2 გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“, 1921 წლის 1 მარტი.

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 189.

მოჩენილმა მოღვაწეებმა, ვ. ი. ლენინის მოწაფეებმა და თანამებრძოლებმა — ი. ბ. სტალინმა, გ. კ. ორჯონიკიძემ, ა. ი. მიქოიანმა და ს. მ. კიროვმა.

ი. ბ. სტალინს, როგორც „კავკასიის განსაკუთრებულ მცოდნეს“[1] სისტემატურად მიმართავდნენ რჩევისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული მოღვაწეები, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ორგბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე თითქმის ყოველთვის ი. ბ. სტალინის უშუალო მონაწილეობით იხილებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობისა და სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარებისათვის ბრძოლის საკითხები.

საქართველოში ყველა ადგილას ერთბაშად არ მომხდარა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მაგრამ სრულიად მალე საბჭოების ძალაუფლება გავრცელდა ყველგან აჯანყებული მუშებისა და გლეხების მიერ წითელი არმიის უშუალო მონაწილეობით. 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთში, 5 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა სამხრეთ ოსეთში, 18 მარტს ბათუმის რევკომის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აჭარაში. აქ, აჭარის დედაქალაქ ბათუმში[2] ჩაესვენა საბოლოოდ მენშევიკური მთავრობის მზე. აქ მათ საკუთარ ჯარმაც კი შეაქცია ზურგი[3].

ამრიგად, დაახლოებით სამ კვირაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მთელს საქართველოში. საქმემ, რომლისათვისაც იბრძოდნენ საქართველოს მუშები, გლეხები, ყველა

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის არქივი.

[2] საზღვარგარეთ გაქცევის წინ მენშევიკებმა ბათუმის ოლქი და ბათუმი მიჰყიდეს თურქეთს. ეს იყო მენშევიკების დაცემულობის უმაღლესი წერტილი.

[3] ობილისში მენშევიკებს 30 ათასიანი არმია ჰყავდა. აქედან ბათუმში მათ ჩაჰყავა 350 ჯარისკაცი. მთავრობასთან ერთად საზღვარგარეთ წასვლის სურვილი გამოსთქვა მხოლოდ 20-მა ჯარისკაცმა.

მშრომელი გაიმარჯვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა წითელმა არმიამ. თუ წითელი არმია არა, ძნელი იყო, უფრო მეტი, თითქმის შეუძლებელი იყო, რომ გაემარჯვათ საქართველოს მშრომელებს საერთაშორისო იმპერიალისტების მიერ ზურგგამაგრებულ მენშევიკურ მთავრობაზე.

აფასებდა რა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში წითელი არმიის გმირულ როლს, სერგო ორჯონიკიძე 1921 წლის 12 აგვისტოს კავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე კავბიუროს პოლიტიკური მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამბობდა: „თუ რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის წითელი არმია არის საყვარელი პირმშო, კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებისათვისაც იგი საყვარელ პირმშოდ ითვლება“[1].

სწორედ ამიტომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ამიერკავკასიის მშრომელები, დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით მოსავდნენ წითელი არმიის გმირებს.

როგორ მოხდა, რომ მენშევიკებმა თითქმის მთელი სამნახევარი წელი უზრუნველყვეს ძალაუფლების შენარჩუნება?

ამას ხელი შეუწყვეს შემდეგმა მიზეზებმა:

პირველი. მენშევიკებმა შექმნეს ქვეყნის შიგნით ფედერალისტებთან, ესერებთან და სხვა კონტრრევოლუციურ პარტიებთან ბლოკი. შექმნეს ამ პარტიებისა და გაბატონებული კლასების ერთიანი ფრონტი მუშების, გლეხებისა და მათი ავანგარდის — ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. მენშევიკებმა დაამკვიდრეს უსასტიკესი რეჟიმი, რითაც დიდად გააძნელეს ბოლშევიკების მიერ რევოლუციისათვის მასების ორგანიზაციისა და მობილიზაციის საქმე.

მეორე. მენშევიკებს მთელი სამნახევარი წლის განმავლობაში მხარს უჭერდნენ და ყველა საჭირო საშუალებებით ეხმარებოდნენ უცხოეთის — გერმანიის, ხოლო შემდეგ ინგლი-

---

[1] ჟურნალ „სოვეტსკი კავკაზ“, № 1, გვ. 13, 1921 წ.

ხის, საფრანგეთის, ამერიკის, — იმპერიალისტ მტაცებლები. თუ უცხოეთის სახელმწიფოები არა, მენშევიკურ მთავრობას არამც თუ სამნახევარი წელი, არამედ მაქსიმუმ სამნახევარ თვესაც არ შეეძლო ძალაუფლების შენარჩუნება.

მესამე. საბჭოთა რუსეთი თავიდანვე ჩაბმული აღმოჩნდა ქვეყნის შინაგანი კონტრრევოლუციური ძალებისა და კბილებამდე შეიარაღებული ანტანტის სახელმწიფოების სამხედრო ლაშქრობების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რის გამოც საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო შეიარაღებული დახმარება აღმოეჩინა მენშევიკების წინააღმდეგ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში ჩაბმული საქართველოს მშრომელებისათვის. ასეთი დახმარების გარეშე კი ძნელი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, რომელიც განხორციელდა 1921 წლის თებერვალ-მარტში.

☆

36-ზე მეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. ამ ხნის განმავლობაში საქართველომ, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი ლენინური კავშირის განუყრელმა წევრმა, კომუნისტური პარტიისა, დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების უანგარო დახმარების შედეგად უდიდეს წარმატებებს მიაღწია მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, კულტურის ზრდისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დარგში. მოკლე ისტორიულ ვადაში საქართველო გადაიქცა რამორჩენილ, აგრარული ქვეყნიდან მძლავრი ინდუსტრიის, მსხვილი, მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მოწინავე სოციალისტური კულტურის რესპუბლიკად.

გენიალური ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკების დიადი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელები თავის უფროს ძმასთან — დიდ რუს ხალხთან ერთად, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად შეიარაღებულნი პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, წარმატებით აშენებენ თავიანთ ბედნიერ და ნათელ მომავალს — კომუნისტურ საზოგადოებას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

თ ა ვ ი I. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში (1917 წლის მარტი—ოქტომბერი) . 3

თ ა ვ ი II. საქართველოს ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლებისათვის მუშებისა და გლეხების ბრძოლის სათავეში (1918—1920 წლები) 36

თ ა ვ ი III. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში . . 103

რედაქტორი გ. შალამბერიძე
მხატვარი რ. ზედელაშვილი.
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი გ. იაშვილი
კორექტორი ნ. მიქელაძე

*

გადაეცა წარმოებას 13/IV—1957 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 21/VI — 1957 წ. ანაწყობის ზომა
5 1/2×9. ქაღალდის ზომა 84×108 1/32. ნაბეჭდი
თაბახი 5,95. სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,5.
უე 01480 ტირაჟი 4000 შეკვ. № 568
ფასი 3 მ. 25 კ.

*

საქ. კპ ცკ გამომცემლობის ა. ფ. მიასნიკოვის სახ. სტამბა
„ზარია ვოსტოკა“, თბილისი, რუსთაველის პრ., 42.

Типография Издательства ЦК КП Грузии „Заря Востока“
им. А. Ф. Мясникова, Тбилиси, пр. Руставели, 42.

Жвания Григорий Кондратьевич

Октябрьская революция и борьба большевиков Грузии за установление Советской власти

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1957